

ალექსანდრე ოსტროვსკი



უღანაულო ღამნაუავენი
კომედია ოთხ მოქმედებად



პირველი მოქმედების მოქმედნი პირნი:

ლიუბოვ ივანოვნა ოტრადინა—კეთილშობილი ჩამომავლობის ქალიშვილი.
ტაისა ილინიშნა შელაგინა—გასათხოვარი ქალი, ოტრადინას ამხანაგი.
გრიგორი ლვოვიჩ მუროვი—ახალგაზრდა კაცი. საგუბერნიო მოხელე.
ანუშკა—ოტრადინას მოახლე.
არინა გალჩინა—მდაბიო.

დანაკრძენ მოქმედებათა მონაწილენი:

ელენა ივანოვნა კრუჩინინა—პროვინციის გამოჩენილი აქტრისა.
ნილ სტრატონიჩ დუდუკინი—მდიდარი მებატონე.
მუროვი.
ნინა პავლოვნა კორინკინა—აქტრისა.
გრიგორი ნეწნამოვი } პროვინციის თეატრის არტისტები.
შმაგა }
მილოვწოროვი პეტია—პირველი აშოკის როლების ამსრულებელი.
გალჩინა.
ივანე—სასტუმროს მსახური.

სტუმრები და მოსამსახურეები.

მოქმედება პირველი

(პროლოგის მაგიერი)

მოქმედება წარმოებს საგუბერნიო ქალაქში. არამდიდრული ბინის ოთახი ქალაქის განაპირა უბანში. მარცხნივ და მარჯვნივ შიდა ოთახების კარგები. სიღრმეში ფანჯარა და შემოსასვლელი კარი. დგამი უბრალო, მაგრამ მართებული. ოთახში სისუფთავე და მყუდროებაა.

გამოსვლა 1-ლი

ოტრადინა მაგიდასთან ზის, საყელოს კერავს. მის გვერდით ანუ შკა ზის, კაბას კერავს

ანუ შკა — (ძაფს მოკვებტავს). აი, ქალბატონო, მზად არის. თქვენვე გამოსჭერით და თქვენვე შეჭკერეთ უკეთესად, ვიდრე რომელიმე მკერავმა.

ოტრადინა — რასაკვირველია, უკეთესად.

ანუ შკა — მერე რა შესანიშნავი კაბა გამოვიდა!

ოტრადინა — არც ისეთი შესანიშნავი!.. ეს კი არა და, გუშინ მკერავთან საყელოს თარგისათვის რომ ვიყავი, იქ კაბა ვნახე, აი, ის მართლაც რომ შესანიშნავი იყო. ტაისი ილინიშნას ჯვარსაწეოდ უკერავენ.

ანუ შკა — გაგონილი მაქვს, გაგონილი, კაბა კი არ მინახავს. ალბათ ძვირფასია.

ოტრადინა — დიახ, ძვირფასია. ექვსასი მანეთი ღირს, თუ შეტი არა.

ანუ შკა — უჰ, რას ამბობთ? ექვსი ფარატინა ახიანი?

ოტრადინა — თეთრი ფაის კაბაა, მერე რამ დენი მოუნდა! ნამდვილი ბრიუსელის მაქმანით არის მორთული.

ანუ შკა — ექვსი ასიანი! ოხ, ხო-ხო-ხო! მაგ ფულებით ხომ მთელი მზითევი შეიკერება ერთი კეთილშობილი ქალიშვილისათვის საკმაო, და ის კი მხოლოდ ერთ კაბას იკერავს.

ოტრადინა — თუ კი ისეთი მდიდარია, რატომაც არ უნდა იკოპწიას?!
ანუშკა — თავი ცოტა მოკრძალებით მაინც დაიჭიროს, თავის სიმდიდრეს ვერც უცებ როდი უნდა აჩენდეს.

ოტრადინა — ნეტა რას როტავ!

ანუშკა — მართლაც, საკვირველ არიან საქმენი ქვეყნად.

ოტრადინა — რა არის აქ საკვირველი? ჩვეულებრივი ამბავია. მდიდარი ნათესავი გარდაეცვალა და მემკვიდრეობით ყველაფერი მაგას ერგო.

ანუშკა — როგორ თუ მემკვიდრეობით, როცა ორი დედის მეტი ნათესავი არავინა ჰყავს?

ოტრადინა — საიდან იცი?

ანუშკა — დუნიაზე არაფერი დაიმალება.

ოტრადინა — ბევრ აბდა-უბდასაც ამბობენ, ანუშკა.

ანუშკა — არა, იმას, რაც არ მომხდარა, არავინ იტყვის. ვის რაში სჭირდება? ტაისა ილინიშნა, თავისი დედიტ, ერთ დროს ხომ ღარიბად ცხოვრობდა. ყველა იცნობდა, მეც ვიცნობდი. არც ისე დიდი ხნის ამბავია, სულ სამი წლის ამბავი იქნება. მაშინ ეგენი ერთმა ციმბირიდან ჩამოსულმა მოხუცმა და თან მდიდარმა მებატონემ გაიცნო, ოქროს მადნის პატრონი ყოფილიყო, და ეგენი აქედან წაიყვანა... თუმცა დეიდა მოსკოვიდან მალე დაბრუნდა, ტაისა ილინიშნა კი მასთან ერთად თბილ წყლებზე წავიდა. იქ მოხუცი გარდაეცვალა და მთელი თავისი ფულები და ოქროს მადანი ტაისა ილინიშნას ანდერძით დაუტოვა. აი როგორ გამდიდრდა. ახლა ჩამოვიდა და აქ დაქრის... დეიდა კი თითქმის მოსამსახურედ ჰყავს.

ოტრადინა — ახალგაზრდა ხარ, რასაც გაიგონებ, ყველაფერი კი არ უნდა წამოროშო, სირცხვილია.

ანუშკა — რაა სასირცხვილო, თუ ყველაფერი მართალია! იმას კი არ უნდა რცხვენოდეს, ვინც ლაპარაკობს, რცხვენოდეს იმას, ვინც სამარცხვინო საქმეებს ჩადის.

ოტრადინა — მაინც სიჩუმე სჯობია. ის ჩემი ნაცნობია, ერთად ვსწავლობდით. ნაცნობობას ახლაც განვაგრძობთ.

ანუშკა — განა შეუძლია მას თქვენი ვაგება? თქვენს ნაც-

ნობობას ის განა დააფასებს? აგერ თვე შესრულდება რაც
აქ ერთხელაც არ შემოსულა.

ოტრადინა — არა სცალია, მზითვს იმზადებს, თხოვდება.

ანუშკა — მისი გათხოვების ამბავიც მკერავისაგან გაიგეთ.
ეგვეც თქვენი ნაცნობი! ჯერ თქვენთან უნდა მოსულიყო, ეთქვა,
ასე და ასეა ჩემი საქმე, ფიქრობ გათხოვებას, ამა და ამ კაცს
კოლად მივყვები და როგორ მირჩევო? კეთილი ხალხი ეგრე
ჩადის.

ოტრადინა — მართლა, ვისზე თხოვდება? არ გაგიგია?

ანუშკა — ზოგი იძახის ოფიცერიაო, ზოგი — საგანგებო
დაეალებათა მოხელეო.

ოტრადინა — რაო?.. საგანგებო დავალებათა მოხელე?

ანუშკა — დიახ, თურმე ეგეთი მოხელეებიც არსებობენ.
ნეტავ ერთი მაგათი ქორწილისთვის მაყურებინა; მაგრამ,
აიზობენ, ქორწილს თავის მამულში გადაიხდიანო; აქედან
რკინიგზით 50 ვერსი ყოფილა, ხოლო შემდეგ 20 ვერსი კიდევ
სხვა გზაა.

ოტრადინა — ასე დაწვრილებით ყველაფერი საიდან იცი?

ანუშკა — ჩვენ ყველაფერი თქვენზე ადრე ვიცით. კაბას
რომ აკერვინებს, იჭაურმა მკერავმა ქალებმა მითხრეს. არა,
საქმე რომ საეჭვოდ არ ჰქონდეს, სოფელში ჯვარსაწერად არ
წავიდოდა. ისე იქცევა თითქოს ვინმეს ემალებოდეს.

ოტრადინა — მაინც ამის გამო მითქმა-მოთქმა საჭირო არ
არის. მაგისთანა ლაპარაკით შეიძლება საქმე დაბრკოლდეს,
ხელი შეეშალოს.

ანუშკა — მაგას ხელს ვინ შეუშლის! ვინ იქნება ისეთი, რომ
მაგის ქონებას არ დახარბდეს, რანაირი ქალიც არ უნდა იყოს.
ბედი სწორედ მაგისთანებს აქვთ, — პატროსანი ქალები კი
გულხელდაკრეფილნი უნდა ისხდნენ და ბედს ელოდნენ! აი,
თუნდაც თქვენ, სათქვენო საქმროს როდის შეხვდებით! რო-
მელიმემ იქნება შეგიერთოთ კიდევ; თუნდ, მაგალითად, გრი-
გორი ლვოვიჩმა, მაგრამ...

ოტრადინა — რა „მაგრამ“?

ანუშკა — მაგრამ მზითვეი არ გავაჩნიათ.

ოტრადინა — მერე, შენ გგონია, რომ ხელს მხოლოდ ეგ მიშლის?

ანუშკა — მაშ რა? ახლანდელი ხალხი ეკეთია. მხოლოდ უფულს ეძებენ და ის კი არ გაეგებათ, რომ თუმცა თქვენ მზი-
თევი არა გაქვთ, მაგრამ სამაგეროდ კეთილშობილი ჩამომავ-
ლობისა ხართ, განათლებული, ყოველნაირი საქმე იციო.
თქვენმა დედ-მამამ რომ არაფერი დაგიტოვათ, განა ეს თქვენი
ბრალეა?

ოტრადინა — სწორია, სწორი, მშვენივრად მსჯელობ!
ჰოიცა, ანუშკა, მეც გავმდიდრდები და გავთხოვდები.

ანუშკა — მერე რა დიდი საქმეა თქვენი გამდიდრება! ბებია
ხომ მდიდარი გყავთ.

ოტრადინა — ჯერ ერთი ის საკმაოდ შორეული ნათესავია,
ჰეორეც ისა, რომ პირდაპირი შემკვიდრენიც ბევრი ჰყავს.
მართლა, დღეს, მწერდა, ქალაქს მოვდივარ და ჩაიზე გეწვე-
ვიო. ნაღები უნდა გავუმზადოთ, გაგიჟებით უყვარს. არა, მე
უბებიოდაც გავმდიდრდები!

ანუშკა — თქვენი გაკვეთილებით? ჩვენ უბანში? ეგ შეუძ-
ლებელია.

ოტრადინა — მართალს ამბობ, აქ ვაქრების უბანია და
სწავლა-განათლება მიღებული არ არის.

ანუშკა — სწავლა რათ უნდათ? ოღონდ თავისი კაპიტალი
ჰქონდეთ და უსწავლელადაც კარგად იცხოვრებენ.

ოტრადინა — თუ არ გავმდიდრდი, იქნებ გამოჩნდეს ვინ-
მე კეთილი კაცი და უმზითვოდაც შემირთოს. შენ როგორ
ჰკვიპრობ ანუშკა? ერთი ასეთი აჩენილიცა მყავს.

ანუშკა — ღმერთმა ბრძანოს! თუმცა ახლანდელი მამაკა-
ცები...

ოტრადინა — რა?

ანუშკა — პირველად შაქარივირ ჩაგადნებიან, მერე კი
ნაღველსავით გამწარდებიან.

ოტრადინა — მერე შენ საიდან იცი?

ანუშკა — განა ცოცხალი ადამიანი არა ვარ, ვერ ვამჩნევ
რა ხდება ქვეყანაზე! (კაბას კეცავა). კარადაში შევკიდო, ქალ
ბატონო?

ოტრადინა — არა, აქ იყოს. ერთხელ კიდევ გავისინჯავ
ტანთ როგორ მადგას და მერე შევინახავ.

ანუშკა — წავალ, ჩემ საქმეს მივხედავ, თორემ სამზარეულო
ლია და კი არავინ შემოგვეპაროს!

ოტრადინა — (ფანჯარაში იცქირება). ჯერ წადი, კარი გა-
იღე, გრიგორი ლვოვიჩი მოდის, მერე შენ საქმეს მიხედე.
(ანუშკა კარს ადებს, მუროვს შემოუშვებს და მარჯვენა კარით გადის).

გამოსვლა მე-2

ოტრადინა და მუროვი

ოტრადინა — (მიეგება). ახ, ჩემო კარგო, როგორ გამა-
ხარე...

მუროვი — გამარჯობა, ლიუბა!.. გეტყობა ადრე ამდგარ-
ხარ, ჩაცმული ხარ, თმადეარცხნილი, თითქოს ვინმეს ელოდე.

ოტრადინა — არ მესმის რათ გიკვირს; მე ყოველთვის
ადრე ვდგები. მეორეც ისა, რომ აქი მითხარ, დღეს ადრე
შემოვივლიო, მინდა რალაცაზე მოველაპარაკოთ.

მუროვი — ჰო, მართლა! სულ დამავიწყდა, რომ ეგრე ვით-
ხარი.

ოტრადინა — მართლაც და ამ ბოლო დროს რალაც ადრე-
ადრე დაიწყე სიარული, თითქოს ვისიმე გეშინოდეს.

მუროვი — ოჰ, ღმერთო ჩემო! რა თქმა უნდა, მეშინია,
ოღონდ ჩემთვის კი არა, შენ გამო ვშიშობ. ადვილი გასაგები-
ცაა, არ მინდა რომ შენზე აუგს ამბობდნენ.

ოტრადინა — გმადლობ, ჩემო კარგო, გმადლობ! მაგრამ
წინათ მაგისი რომ არ გეშინოდა! მერე და, — განა ხალხს
რამე დაეძალება? ხშირ ხშირად ვადმოძკრავენ ხოლმე: „გრი-
გორი ლვოვიჩი ჩქარა შევირთავთო?..“ ამდენ მალეს სჯობია
ამ ხმებს ბოლო მოეულოთ.

მუროვი — მაგას რალა აჯობებს, მაგრამ, საუბედუროდ.
ჩემო კარგო, ჯერჯერობით ეს შეუძლებელი რამ არის.

ოტრადინა — როგორ თუ შეუძლებელი?.. რატომ? რას
ამბობ? ამას კი ველარ დაფიჯერებ.

მუროვი — დედაჩემი არ დათანხმდება. ისიც არ ვიცი,
თანახვა იქნება ოდესმე თუ არა. უდელი კი ფეხსაც ვერ გა-
დავდებ.

ოტრადინა — მერე დედას რა უნდა?

მუროვი — დედას უნდა ისეთი ქალი შევირთო, რომ ღიდარიც იყოს და გავლენიანი ნათესაობაც ჰყავდეს.

ოტრადინა — ეს ჩემთვის ახალი ამბავია. ოთხი წელი ადია გიცნობ და ამის გამო აქამდე კრინტიც არ დაგიძრავს.

მუროვი — აქამდე ამ საგანზე დედაჩემთანაც არ მილა-რაყნია და იმიტომ.

ოტრადინა — ეს როგორ შეიძლება? შენ ნება არ გქონდა აჩუმებულობე, მოვალე იყავ გეთქვა რაზე ჩემს გამო.

მუროვი — რა ვქნა, ყველაფერი ჩემი აღზრდის ბრალია. რთი სუსტი, გაუბედავი კაცი ვარ. მომიტევე და — მეშინოდა. ოლოს მეც მომწყინდა ეგეთი მდგომარეობა. შენ თვითონ გან-აჯე, სრულწლოვანი ვარ და დედაჩემის ნებადაურთველად აბიჯიც ვერ გადამიდგამს, გროში ვერ დამიხარჯავს, — მა-ეთი რომ მინდოდეს, დედაჩემს უნდა ვთხოვო.

ოტრადინა — მერე? მერე?

მუროვი — დავუწყე თხოვნა, ან ჩემი წილი მამული მომე-ვი, ან არა და ფულად მაძლიე თვიური სახარჯო მეთქი. სამას-ითხას თუმანს ვთხოვდი წლიურად. მაგრამ გადაჭრით მითხ-ია: არც მამულს მოგცემ და არც ფულს, ვიდრე ჩემს ამორ-ეულ ქალს არ შეირთავო.

ოტრადინა — მერე შენ? შენ?..

მუროვი — გეთაყვა, ნურაფერს მკითხავ... ლამის გაეგვიდე.

ოტრადინა — გამიგონე, ხომ უნდა ვიცოდე რას აპირებ, რას ფიქრობ. უამისოდ სიცოცხლე არ შემიძლია...

მუროვი — რას ვაპირებ?..

ოტრადინა — ჰო, რას აპირებ?

მუროვი — (დარცხენილი). რა ვქნა... ვანა არ იცი... ვანა შემიძლია... ჩემი ვალდებულება...

ოტრადინა — ჰო, ჰო, იმედი მაქვს, რომ კარგად იცი შენი ვალდებულებანი!.. მე არ შემიძლია არ გერწმუნო, ოდნავი ეჭვის შეტანაც შენს სიტყვებში წამებაა, წამება... არ დაგა-ვიწყდეს, რომ შეილი გყავს... შენ თითქმის არ ნახუ-ლობ და მე კი გუშინაც ვიყავ გალჩიხასთან. უკვე საზრისში

სოდის, მცნობს, მეალერსება, დედას, დედისკოს მეძახის, და ერთად კი არა ვართ. ვილაც უბირი, გაუნათლებელი, ანგარე-
ნით აღსავსე დედაკაცი ზრდის. ვიტანჯები, ძილი მაქვს გამ-
კრთალი, დღედაღამ იმის ფიქრში ვარ, იქნებ მშიერი, ან ხომ
არა სტკივა რა. გრიშა, ნეტავ გენახა, დამტკბარიყავ. რომ
იყოდე, ნამდვილი ანგელოზია!

მუროვი — ძალიან გიყვარს ჩვენი გრიშა?

ოტრადინა — (გაკვირვებით). ეგ რა საკითხავია? რასაკვირ-
ველია, მიყვარს, მიყვარს რამდენადაც შესაძლებელია, ისე
როგორც უნდა უყვარდეს შვილი დედას.

მუროვი — დიახ, დიახ... მართლა, ლიუბა, რა იქნება ეს
უბედური ბავშვი უეცრად რომ უმამოდ დარჩეს?

ოტრადინა — როგორ თუ უმამოდ?

მუროვი — ოჰ, ღმერთო ჩემო! ცხოვრებაში ადამიანი
ყველაფერს უნდა მოელოდეს; მე ხომ ბევრს ვმოგზაურობ,
შეიძლება ცხენმა გამიტანოს, ანდა... მატარებელმა გამსრისოს...

ოტრადინა — შემიბრალებ, რას ლაპარაკობ? ჩემ სატანჯ-
ველად მოხვედი დღეს?

მუროვი — ეხ, ლიუბა, კაცი მუდამ ცუდს უნდა მოელოდეს,
ყველაფრისათვის მზად უნდა იყოს. და მეც ვფიქრობ, რო-
გორ მოექცევი გრიშას, მე რომ აღარ გყავდე?

ოტრადინა — ეჰ, დამეხსენ, გეთაყვა! ჩემი ნერვები, ნერ-
ვები შეიბრალებ.

მუროვი — ოჰ, ნერვები, ნერვები! სამწუხაროც ის არის,
რომ ქალებს ნერვები სუსტი გაქვთ!

ოტრადინა — თუ მართლა მეკითხები, გიპასუხებ, — მა-
გას ნუ სწუხარ, გაქირვებაში არ ჩავადგებ. დღე და ღამეს
გავესწორებ, რომ ყველაფერი, ყველაფერი ჰქონდეს რაც სა-
ჭიროა. განა შემიძლია წარმოვიდგინო, რომ ის ან მშიერი, ან
ჩაუტყმელი? არა, წიგნებიც ექნება, სათამაშოებიც, დიახ,
ძვირფასი სათამაშოები. ყველაფერი, რაც სხვა ბავშვებს ექ-
ნება, იმასაც უნდა ჰქონდეს. ის რა, სხვაზე ნაკლებია თუ?
ის რა დამნაშავეა? და თუ ღმერთი გამიწყრა და ვერ ვიმუ-
შავე... დავსნეულდი, მაშინ რა ვქნა, იმასაც ვიკისრებ, რომ
მისთვის მოწყალება ვითხოვო. (ტირის).

მუროვი — ლიუბა, ლიუბა, რას სჩადი!

ოტრადინა — შენ მეკითხები, შენ გინდა, რომ ვილაპარაკო. მაშ რას მოელოდი? სხვა რა პასუხს მოელოდი? ნუთუ გეგონა, თავს დავანებებდი?

მუროვი — ოჰ, საბრალო! მომიტევე. აზრადაც არ მომსვლია, რომ შენთვის მეწყენინებინა. დავანებოთ თავი ამ საგანზე ლაპარაკს, მოდი სხვა რამ ვთქვათ.

ოტრადინა — ჰო, ჰო, გეთაყვა, სხვა რამ თქვი, მოილე მოწყალება!

მუროვი — უჩემოდ რას აკეთებდი?

ოტრადინა — კაბა's ვკერავდი.

მუროვი — ვისთვის?

ოტრადინა — ჩემთვის.

მუროვი — ლამაზია?

ოტრადინა — იაფია. ჩემთვის ესეც კარგია, მე ოქროს მადნები როდი მაქვს.

მუროვი — სამაგიეროდ, შენ თვითონ ხარ ხალასი ოქრო. მართლა, რომელ მადნებზე ლაპარაკობ?

ოტრადინა — აი რომელზე! გუშინ ერთი კაბა ვნახე, მშვენიერება რამ იყო! ჯვარსაწერი კაბა, აბრეშუმის მაქმანით მორთული.

მუროვი — მერე ვისი იყო?

ოტრადინა — ტაისა ილინიშნა შელავინასი.

მუროვი — რაო? რა? რას ამბობ?

ოტრადინა — მე ვამბობ: ტაისა ილინიშნასი. იცნობ?

მუროვი — არა... ისე... მხოლოდ ვამიგონია.

ოტრადინა — ლამაზია და მდიდარი, მე კი არა მგავს, ერთ დროს ღარიბი იყო; დიდი ხანია რაც ერთმანეთს ვიცნობთ, ერთად ვსწავლობდით.

მუროვი — ნუთუ?

ოტრადინა — ისეთი ზარმაცი იყო... ცუდად სწავლობდა. ახლა კი გამდიდრდა და საქმროც იზოვნა. ბავშვობაშივე ყველას გვაკვირებდა.

მუროვი — რითი?

ოტრადინა — რითი და სირცხვილის გრძნობა ღალატობდა. გულბით ვი მართალი უნდა ითქვას, კარგი გულია. სამი

წელიწადია ერთმანეთი არ გვენახა და რომ შევხვდით, ცრემლები ველარ შეიმაგრა. ორჯერ იყო ჩემთან, ფულიც შემომთავაზა. მე, რასაკვირველია, არ ავიღე. ოღონდ კარგი ის არის, რომ ორი გაკვეთილის შოვნას დამპირდა, ამას გარდა, მუდმივ სამუშაოზე მოგაწყობო. ჩემთვის ეს დიდი შეღავათია; მაშინ მე შემეძლება ჩემს პატარა კაპიტალს ხელი არ ვახლო და ჩემს ბიჭს შევუნახო... შესაძლოა მზითვიც გავიმზადო. გამიგონე, აჩვენე ჩემი თავი დედაშენს, ვინ იცის, იქნებ მოვეწონო, მე ნიჭიერი ვარ; აქ გამოვეყრუვდი; თუ მოვინდომე, შემიძლია თავი ჭკუით, ცოდნით გამოვიჩინო და დედაშენი მოვხიბლა.

მუროვი — დიახ, დიახ, ეჭვი არ არის.

ოტრადინა — ჰოდა, ჩინებულება! იცი, ერთი ოჯახი გავიცანი, იქ დედაშენიც დაიარება.

მუროვი — ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ახლა არა, მერე იყოს.

ოტრადინა — რატომ?

მუროვი — იცი რა, ჩემო კარგო, ერთი რამ უნდა შევატყობინო... ცოტა უსიამოვნო რამე კია.

ოტრადინა — კიდევ რა არის? თქვი ჩქარა! დღევანდელი დღე გავიტანჯე და ეს არის!

მუროვი — ნუ გეშინია! ისეთი არაფერი. ჩვენ დროებით უნდა დავშორდეთ ერთმანეთს.

ოტრადინა — რისთვის?

მუროვი — მივდივარ.

ოტრადინა — მიდიხარ? საით?

მუროვი — ჯერ სმოლენსკს და მერე პეტერბურგს, დედაჩემის საქმეებზე.

ოტრადინა — დიდხნით?

მუროვი — თვითონაც არ ვიცი, ალბათ, ერთი-ორი თვით. იქნება მეტიც მომიგვიანდეს, სანამ სენატში საქმე გათავდება...

შეებულეხაც უკვე ავიღე.

ოტრადინა — მერე? როდის მიდიხარ?

მუროვი — ამ საღამოს.

ოტრადინა — ეგრე ჩქარა? მერე რატომ არ გამაგებინე? ჩემთვის ეს ხომ მოულოდნელი ამბავია. მე კი დღეს ისეთი მზიარული ვიყავი, განშორებაზე სულ არ ფიქრობდი და უცებ ასეთი მწუხარება. (ტირის).

მუროვი — სამწუხარო რა არის? რა გატირებს! იქნებ მალეც დავბრუნდე.

ოტრადინა — ჩენი გრიშა? ის მაინც არ გენანება?

მუროვი — განა შენი სიყვარული არ ეყოფა? ან არა და, სასიკვდილოდ ხომ არ მივდივარ? კმარა ერთი, ისეც მეძნელდება შენთან განშორება და თუ ახლა ტირილს მოჰყვები...

ოტრადინა — მაშ კარგი, კარგი, გავჩუმდები. (აღფრსით). დიდხანს ხომ არ გაგრძელდება ჩემი წვალება? ხომ ჩქარა მოაწყობ საქმეს ისე, რომ ერთმანეთს აღარ დავშორდეთ? ჰა? თქვი, თქვი!

მუროვი — ჰო, რა თქმა უნდა, ჩქარა.

ოტრადინა — საწყალი! საგზაო ფული საკმარისი გაქვს?

მუროვი — საკმარისი. მე კი მეყოფა, და!

ოტრადინა — არ მჯერა, არ მჯერა! ვიცი დედაშენის გულუხვობა! (მაგიდის უჯრიდან საფულეს აშოილებს). აი ათი თუმანი, წაიღე, თუ გინდა მეტი წაიღე. მე არ მჭირდება, გაკვეთილებისას მალე ავიღებ, სამუშაოც მექნება. რა ვქნა, უშენოდ რა გამაძლებინებს? დარდს მუშაობით გავიქარებ.

მუროვი — არა, არა, არ შემიძლია და არც მინდა ფული გამოგართვა.

ოტრადინა — მერე რატომ? განა უცხონი ვართ? განა მოვალენი არა ვართ ერთმანეთს გავუზიაროთ ყველაფერი? (დააცქერდება მუროვს). მაგრამ, იქნებ აღარ გიყვარვარ, ან თავს მანებებ?

მუროვი — რა სულელური აზრები მოგდის თავში!

ოტრადინა — მაშ წაიღე. განა შენს ცოლს ფულს არ გამოართმევდი? ჰოდა, ეს ჩემი საჩუქარი იყოს!

მუროვი — ბატონი ხარ, წავიღებ, მხოლოდ თუ შევატყვევ, რომ ჩემიც საკმარისია, ამ საჩუქარს უკანვე დაგიბრუნებ.

ოტრადინა — ეგ მერე ვნახოთ. მართლა, აი კიდევ რა, ჩემო კარგო, გქონდეს ეს მედალიონი. (გულზე შოიხსნის მუ-

დალიონს). თან ატარე. შიგ ჩვენი გრიშას თმებია, ჩვენ თავს მოგავიწყებებს.

მუროვი — (გ:შოართმევს მედალიონს). იყოს ნება შენი!

ოტრადინა — ოჰ, რა ტანჯვაა, რა ტანჯვა!

მუროვი — ჰოდა, თუ კი ესეთი ჯოჯოხეთია, სჯობს უცებ მოვქრათ. მშვიდობით, ლიუბა, მივდივარ!

ოტრადინა — მოიცა! მომიგონებდე, წიგნიც ხშირად მომწერე!

მუროვი — უსათუოდ, უსათუოდ! ან კი ვინ უნდა მახსოვდეს, თუ არა შენ!

ოტრადინა — ჩახვალ თუ არა პეტერბურგს, მაშინვე მომწერე.

მუროვი — რასაკვირველია. მაშინვე მოგწერ.

ოტრადინა — მაშ მშვიდობით! ღმერთი იყოს შენი შემწე! (იხვევა).

მუროვი — კმარა, ლიუბა, კმარა! (ფანჯარაში გაიხედავს). რა ამბავია? ეტლი გაჩერდა შენ კარებთან.

ოტრადინა — (გაიხედავს ფანჯარაში). შელავინაა. ეს მისი ეტლია.

მუროვი — (შეშინებული). უჰ, რა არასასიამოვნო ამბავია!

ოტრადინა — რა მოხდა, ასე რამ შეგაკრთო? ნუ გეშინია, არ გაგვიცხავს.

მუროვი — როგორ თუ ნუ მეშინია! არა, არ მინდა რომ აქ მნახოს. ეს შეუძლებელი რამ არის. ისეთი ლაქლაქაა...

ოტრადინა — მაშ გცნობია? აკი ამბობდი, არ ვიცნობო?

მუროვი — სხვამ მითხრა... ეგრე გამიგონია... მოდის, დამალე!

ოტრადინა — რა გაქვს დასამალავი? უცნაურია!

მუროვი — აჰ, აგერ... აი, ამ ოთახში გავალ. (გადის მარცხენა კარით).

ოტრადინა — როგორც გინდა, მხოლოდ არ მესმის... (შელავინა კოლოფით ხელში შემოდის).

გამოსვლა მე-3

ოტრადინა, შელავინა

შელავინა — გამარჯობა, სულიკო!

ოტრადინა — გამარჯობა, ტაისა! ეგ რა კოლოფია?

შელავინა — ჯვარსაწერი კაბაა. მე ზომ ვთხოვდები, განა არ მითქვამს შენთვის?

ოტრადინა — არა, მაგრამ გამიგონია. კაბაც ვნახე მკერავთან.

შელავინა — მშვენიერებაა! საოცნებო რამ არის! არ გინდა ნახო როგორ მადგას? ახლავე შენ თვალწინ ჩავიცვამ. (უნდა ტანთ გაიხადოს).

ოტრადინა — არა, რა საჭიროა! არავინ ~~არ~~ შემოვიდეს.

შელავინა — მაშ, შენ საწოლ ოთახში შევიდეთ. (იქით მიდის).

ოტრადინა — გეუბნები არ არის საჭირო! ისეც ვიცი რომ კარგია.

შელავინა — არ გინდა და ნუ გინდა! დღეს რა გემართება, მარცხენა ფეხზე ხომ არ ამდგარხარ?

ოტრადინა — ცოტა ვერა ვარ კარგად, ადრეც ავდექი, სამუშაო მქონდა (კაბას უჩვენებს).

შელავინა — შენ თვითონ შეიკერე? საბრალო! მე ვმხიარულობ, დროს ვატარებ და ეს კი ზის და მუშაობს! რა უკუღმართია ბედი! ჩემზე ათასწილად კვიანი ხარ, უკეთესიც და ღარიბად ცხოვრობ! მე კი ასე უცაბედად გავმდიდრდი!

ოტრადინა — როგორ თუ უცაბედად?

შელავინა — რასაკვირველია უცაბედად! ეს სიზღიდრე თავს მეხივით დამატყდა, ვაგიჟდა კაცი სიბერეში, აიღო და დამასაჩუქრა. ღმერთმა აცხონოს, მუდამ მადლიერი ვიქნები მისი და კეთილდაც მოვიხსენიებ! ქმარიც მისი წყალობით ვიშოვე!

ოტრადინა — მომილოცავს!

შელავინა — მოსალოცი მაინცდამაინც არაფერი მაქვს, სულიცო!

ოტრადინა — განა არ გიყვარს შენი საქმრო?

შელავინა — აბა როგორ უნდა მიყვარდეს? ღმერთმა უწყის რა კაცია. მისი სიტყვები არ მჯერა და არც არის დასაჯერებელი!

ოტრადინა — მდიდარია?

შელავინა — რის მდიდარი! ერთი ღარიბ-ღატაკი ვანმეა.

ოტრადინა — ლამაზი მაინც იქნება.

შელავინა — არც ეგ იტქმის, ისე რალა!

ოტრადინა — მაშ დიდგვარიანი ვინმე თუა, ჩინოსანი?

შელავინა — ჩინი უსათუოდ დიდი აქვს: თქვენო მაღალ-
ბრაფერობავ! აი მისი ჩინი.

ოტრადინა — მაშ, რას დახარბდი? რისთვის ირთავ?

შელავინა — ახლავ გაგაგებინებ რისთვისაც ვირთავ. გავ-
სდიდრდი, მაგრამ მდიდრული ცხოვრება და ქონების მოხმა-
რება არ ვიცი. ესე იგი, ვიცი მხოლოდ ის, როგორ უნდა ჩა-
სოვიარო მალაზიები და ფული დახლზე დავტოვო! მხოლოდ
რაც შეეხება მამულების მოვლასა და ანგარიშების წარმოებას,
მისი არა გამეგება რა. რალაც აქციები და ბილეთები მაქვს,
აიღებ, ვატრიალებ-ვატრიალებ, დათვლასაც ვერ ვახერხებ.
მგონი, ჩემს სიცოცხლეში ვერ დავთვალო. თვლა კი მისწავლია,
თვლა ჩემ თითებზე, მაგრამ აქ თითები აღარ მყოფნის. მამუ-
ლებს და ქარხნებს რა ვუყო, არც ის ვიცი. ნოქრებსა და
მოურავს თუ ჩავაბარე, მაშინვე მიმიხდებიან თუ რა ბრძენთა-
ბრძენიც ვარ და ისე გამიხდიან საქმეს, რომ ტანზე კაბასაც
აღარ შემარჩენენ! ახლა კი მოგებაში ვარ: მუქთი მოურავი
სეკოლება და ამასთანავე ქმარიც იქნება; ყმაწვილი კაცი,
მოხერხებული, სხვა რალა მინდა! შემომფიცა კიდევ, შენი
მორჩილი მონა-მოსამსახურე ვიქნებიო!

ოტრადინა — გამოდის, კარგი და თან მორჩილი საქმრო
გამოვინია!

შელავინა — კარგია თუ ავი, ეგ არ ვიცი და საქმე კი
გათავებულია. ჯვარს დავიწერთ თუ არა, პეტერბურგს წავალთ,
სამსახურში იქ გადავა. მე ჯერ ყმაწვილი ვარ, მგონი სილა-
მაზითაც არა მიჭირს რა და, ნახავ, რა საქმეებს გავჩარხავთ!

ოტრადინა — შენი საქმრო მოხელეა?

შელავინა — ჰო, მოხელეა.

ოტრადინა — სად მსახურობს?

შელავინა — არ ვიცი, ღმერთმანი, სადლაც რალაცას
მიედ-მოედება, თავისი უფროსის შიკრიკი უნდა იყოს. გინდა,
გაჩვენებ მის სურათს, თან მაქვს.

ოტრადინა — მაჩვენე, მაჩვენე!

შელავინა — მგონი, აქ მქონდა. (ეძებს ჯიბეში). აქ არის, აი! ცოტა დაჭმუჭენილა! (აძლევს სურათს). აბა დახედე.

ოტრადინა — (დახედავს). აჰ! აჰ!

შელავინა — რა დაგემართა?

ოტრადინა — არაფერი, მაგიდას დავეყრდენი და ხელში ქინძისთავი მომხვდა.

შელავინა — უჰ, საწყალი! გეტყვინა?

ოტრადინა — აჰა, დაიჭი! (აძლევს სურათს).

შელავინა — რას იტყვი, მოგწონს?

ოტრადინა — არ ვიცი, რა გითხრა. ხომ იცი, გარეგნობა კაცს როგორ ატყუებს. (სკამზე დაეშვება).

შელავინა — ჰო, ეგ მართალია, მაგრამ თუ მომატყუებს, მით უარესი მისთვის. ჩემთან ხუმრობა არა მგონია რომ გამოადგეს. ბოდვის როდი მოუხდის, თუ გამაჯავრა, ჩემ საყვარელ მეუღლეს, გრიგორი ლვოვის კარში გავაგდებ. მაგრამ წასვლის დროა. ცოტას კიდევ დავრჩებოდი შენთან, მაგრამ ქალაქში საქმეები მაქვს. შილიერ მოწყალება და ქორწილში დამეწვიე.

ოტრადინა — არა, არა, მადლობელი ვარ.

შელავინა — ჩემთა კარგო, შენ მართლა ავად უნდა იყო. წადი, დაწეტი, ექიმს გამოგიგზავნი. თუ დაგჭირდეს რამე, მხოლოდ მითხარი, შემატყობინე და ყველაფერი მზად იქნება... მაშ მშვიდობით, ჩემო კარგო. (ჰოტონის ოტრადინას და მიდის. ოტრადინა კარამდე აცილებს სტუმარს, მერე მაგიდამდე ძლივს მიადწევს, ხედ მარჯვენა ხელით ჩამოყრდნობა და დაეინებით გაცქერის საწოლი ოთახის კარებს; კარებში მუროვი გამოჩნდება).

ოტრადინა — (შუა კარისკენ მიუთითებს). მიბრძანდით!

მუროვი — ლიუბუშკა, მომისმინე!

ოტრადინა — მიბრძანდით!

მუროვი — (ფულს გაუწვდის). შენი ფულები...

ოტრადინა — (გამოართმევს ფულს და მაგიდაზე დადებს). გეუბნებით, მიბრძანდით!

(შემოდის გალჩინა).

გავოსვლა მ-4

ოტრადინა, მუროვი, გალჩინა, შემდეგ ანუ შკა

ოტრადინა — რაო, არხიპონა?

გალჩინა — თქვენთან გიახელით, ქალბატონო.

ოტრადინა — მცრე ბავშვს თავი რათ დაანებე? ქალაქში
რა გინდა?

გალჩიხა — ქალბატონო... (ცრემლებს იწმენდს). ბავშვი...

ოტრადინა — რა? რა?

გალჩიხა — კვდება, ქალბატონო.

ოტრადინა — როგორ? რაო? ანუშკა, ანუშკა! (ანუშკა მარ-
ჯენა კარებში გამოჩნდება). თავშალი! თავშალი! გაიქე, ეტლი
მოსიყვანე.

გალჩიხა — მე ეტლით მოველ. (ანუშკა მიდის).

ოტრადინა — რა მოხდა? რა მოხდა? სთქვი, თუ ღმერთი
გწმის! გუშინ ხომ კარვად იყო?

გალჩიხა — უცბად, ქალბატონო... ხრილებს, სულ გა-
ლურჯდა.

ოტრადინა — ექიმი, ჩქარა ექიმი!

გალჩიხა — ექიმი ჩვენსაა, ქალბატონო, ერობის ექიმი
ჩამოვიდა, იმას დაეუძახე და აქაც იმანვე გამოიმგზავნა.

ოტრადინა — რას ამბობს? (ანუშკას შემოაქვს თავშალი).

გალჩიხა — ცუდად ლაპარაკობს. საშიში ავადმყოფობააი.
(ცრემლებს იწმენდს). ერთ საათსაც ვერ იცოცხლებსო.

ოტრადინა — ვაი, ვაი! (თავშალს იხვევს). ჩქარა! ჩქარა!
(მეროეს). ახლა კი თავისუფალი ბრძანდებით!

მუროვი — მე თქვენ მოგყვებით. (გადიან).

მოქმედება მეორე

სასტუმროს კარგად მოწყობილი ოთახი ბუხრით. სიღრმეში კარი, რომელიც დერეფანში გადის. სცენის მარჯვენა კარი, რომელიც მეორე ოთახში გადის.

პირველსა და მეორე მოქმედებას შორის ჩვიდმეტი წელიწადია გასული.

გამოსვლა 1-ლი

ივანე დგამზე მტვერს წმენდავს. დუდუკინი კარს შემოაღებს დუდუკინი — (კარებში). შეიძლება შემოვიდე?
ივანე — მობრძანდით, ბატონო ნილ სტრატონიჩ!
დუდუკინი — (პარკით ხელში). რა, ელენა ივანოვნა აბრძანდა?

ივანე — ყავაც მიირთვა. *ჩაი*

დუდუკინი — ზოახსენე, თქვენი ნახვა სურთ-თქო.

ივანე — უკვე წაბრძანდა.

დუდუკინი — სამწუბაროა! მე კი ჩიი მოვუტანე, ეს არის ახლა მივიღე ბაზრობიდან, და ახალი ხიზილალა. ძალიან უყვარს, ნამდვილი ცქერინის ხიზილალა, მარცვლოვანი.

ივანე — მესმის, ბატონო, მიზობეთ, ძღვენს გოგოს გადავცემ. ცოტა მოითმინეთ, ბატონო ნილ სტრატონიჩ, და

საცაა დაბრუნდება. (პარკს გამოართმევს და კარისკენ მიდის, მაგრამ უკანვე მობრუნდება).

დუდუკინი — არ იცი სად წაბრძანდა ქალბატონი?

ივანე — ლუბერნატორთან, ბატონო!

დუდუკინი — მერე რისთვის?

ივანე — რა მოგახსენოთ. უნდა ვიფიქროთ, რომ ბენეფის-ტისთვის, რადგან აქტიორები და აქტრისები, რომელიც რომა... უპირველესად ყოვლისა და უწინარეს...

დუდუკინი — რას ნიედ. მოედები! რა ბენეფისი, რის ბენე-

ფისი! ბენეფისზე ლაპარაკიც ზედმეტია. ბენეფისის ამბავი ყველაზე უწინ ჰე უნდა გამეგო. თან ვინ ახლავს? სტიოპკა? ივანე — დიახ, სტიოპკა.

დუდუკინი — ეტლში წაბლა ცხენი უბიათ, არა?

ივანე — დიახ, წაბლა ცხენი.

დუდუკინი — ჰოდა, მეც მანდა ვარ. თორემ იმას სხვა ცხენიც ჰყავს, ზერდაგი, მფრთხალი, სიარულის დროს ისე იხევს უკან, გოგონება ეს-ეს არის ფეხს საყვიარზე დაადგამსო. მამაკაცისთვის — არა უშავს რა, ქალისთვის კი უხერხულია, ქალი ხომ სათუთი ჭურჭელია... მათი ნერვები..

ივანე — ეგ როგორ იქნება ან რა ბრძანებაა? ღმერთმა დაიფაროს!

დუდუკინი — სადილისთვის მწვანილი არის?

ივანე — რის მწვანილი! სალაგის მეტი არაფერი გაგვაჩნია, ისიც გამხმარ ტყავივითაა. ესეც სასტუმროა რაღა! მერე რამდენს გვლანძღავენ მდგმურები. რა ჩვენი ბრალია, თუ სასტუმროს პატრონი ეგეთი შეუფენებელია.

დუდუკინი — მწვანილს მე გამოგიგზავნით, კალნაბს, სალათსაც, ოღონდ იცოდე, ელენე ივანოვნას გარდა არავის მიაართვა. ყველასათვის ხომ არ გამოგვზავნი, თქვენი მოიჯარადრე კი არ ვარ! მზარეულსაც ევრე უხარო.

ივანე — მესმის. თქვენ რაღას წუხდებით, ბატონო? თუ სასტუმროს პატრონმა არ იცის, ვის რა ეკადრება, მით უარესი მისთვის.

დუდუკინი — ჰოდა, ეს პირუტყვობაა, ჩემო კარგო!

ივანე — დიახ, სწოოდ, პირდაპირი მნიშვნელობით.

დუდუკინი — ხომ იკი, როგორი გამოჩენილი აქტრისაა!

ივანე — დიახ, ვიცი. ვისაც უნახავს საშინლად მოწონს, პირდაპირ გაგიჟებული არიან.

დუდუკინი — სასტუმროს პატრონი მე რაში მეკითხება! არ მინდა რომ ჩვენმა ქალაქმა სირცხვილი ჭამოს, ეს ხომ ჩვენი სირცხვილიცაა. სხვა რომელიმე ქალაქში იტყვის, რომ აქ ევრაფრად გაფუმასპინძლით, — არკ ბიწა მქონდა ხეირიანი, არც საქმელ-სასმელიო. თავი მოგვეჭრება!

(შემოდის კორინკინა. ივანე გადის).

კორინკინა—აა, თქვენ აქ ბრძანდებით? რასაკერველია, ან კი სად უნდა იყოთ!

დუღუკინი — ოჰ, ჩემო ლამაზო!

კორინკინა — ეგ სადაურია, ლამაზო! მეტრსმეტი სითამამეა! თქვენთვის მე სახელი და გვარი გამაჩნია.

დუღუკინი — ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, ნინა პავლოვნა, რომ სრულიად უსაფუძვლოდ მირიხდებით, — აქ ყოფნა ვალია ჩემი.

კორინკინა — ერთი ამას დამიხედეთ! ვალი! არ შეიძლება შევიტყოთ, ეგეთი რა ვალია?

დუღუკინი — გამოჩენილი აქტრისა გეესტუმრა. ჩვენ ქალაქში პირველადაა, არავის აქ არ იცნობს და მე, როგორც წარმომადგენელი აქაური ინტელიგენციისა...

კორინკინა — ახ, სისულელეებს თავი დაანებეთ! რის ინტელიგენცია, რა ინტელიგენცია! უბრალოდ თქვით, რომ ახალი კაბა დაინახეთ და სული წაგივიდათ. (იციინს). მოვალეობა! მშვენიერი მოვალეობა!

დუღუკინი — ექვიანობთ, ჩემო უძვირფასესო?

კორინკინა — ვეჭვიანობ? თქვენზე? ნუ მაცინებთ, გეთაყვა! სხვა არა იყოს რა, მრცხვენია თქვენ მაგივრად, დაინახავთ თუ არა ქალს, ჩიჩვირს მაშინვე ჩამოუშვებთ, პირში ნერწყვი გიშრებათ. ფუჰ, რა საძაგლობაა!

დუღუკინი — მხოლოდ ამის სათქმელად მობრძანდით, ჩემო ნეტარება?

კორინკინა — კიდევ „ჩემო ნეტარება“! (ფეხს დაუბრაზუნებს). ყური მიგდეთ, ჩემთან რამდენიმე არტისტი შეიკრიბება. გვინდა ერთ საქმეზე მოვილაპარაკოთ და საჭიროა თქვენი დასწრება. მთელი ქალაქი გადავატრიალე, ყველგან გეძებდით.

დუღუკინი — რაო, რა კონგრესი მოგიწვევიათ, ან და რა საკითხებზე გექნებათ სჯა-ბაასი?

კორინკინა — გაიგეთ ნუნამოვს გუშინ რა ჩაუდენია?

დუღუკინი — არამც თუ გავიგე, მოწამეც ვიყავი ამ სა-

გულისხმიერო წარმოდგენისა; ოღონდ ცოტა დამიგვიანდა, რის გამოც ძალიან ვწუხვარ.

კორინკინა — ბუფეტში, წარმოდგენის დროს, მუხობოფისთვის უცემია.

დუდუკინი — კარგადაც მოქცეულა.

კორინკინა — მუხობოფი ხომ ერთობ პატივცემული კაცია, ერთ დროს ქალაქის თავობასაც აპირებდა.

დუდუკინი — რატომაც არ დააპირებდა, მაგრამ საქმე ის არის, საზოგადოება დააპირებს თუ არა.

კორინკინა — ამას გარდა, რატომ არ იცი, რომ თეატრში ორი მუდმივი ლოჟა ჰქონდა და რამდენიმე სავარძელი ბენეფისისთვის. ახლა თეატრში ფეხსაც არ შემოდგამს. ჰოდა, დღეს იმიტომ ვიკრიბებით, რომ მუხობოფეთან ბოდიში მოვიხადოთ. უნდა მივწეროთ, რომ ნეხნამოვს ამხანაგად აღარ ვთვლით, ამასთანავე ანტრეპრენიორისაგან მოვითხოვთ, რომ ის დასიდან გააძევოს; ესეც არ იყოს, არც მე მინდა, რომ ნეხნამოვი ჩემთან ერთად მსახურობდეს...

დუდუკინი — თქვენ რათ ურისხდებით ასე ძალიან, ჩემო მომხიბვლელო?

კორინკინა — ოჰ, საძაგელია, აუტანელი! ბოროტი ენის პატრონია, თან ხასიათიც არ უვარგა. არტისტები ერთად რომ შეიყრებიან, მეტადრე მაშინ, თუ ერთი ჭიქა მეტი მოუვიდა, გიყვარდეს, წავა და წავა... ვინმეს უსათუოდ შარი უნდა მოსდოს. ქალებს ხომ ისეთ სიტყვებს აკადრებს... აუტანელია, აუტანელი! რომ შემეძლოს, მოვკლავდი კიდევ.

დუდუკინი — რა, შეურაცხგყოფთ? სთხზავს, იგონებს თქვენზე ტყუილებს? მართლაც რომ მოსაკლავი ყოფილა.

კორინკინა — არა, ვთქვათ, ტყუილს არას იგონებს, ვთქვათ, ყველაჯერი მართალია რასაც ამბობს, მაგრამ რათ ამბობს? ვინ ეკითხება? მთელ დასში ყველაზე უმცროსი ის არის და ჰკუა ყველას იმან როგორ უნდა გვასწავლოს! დროს გასატარებლად ვიკრიბებით, სამხიარულოდ, ის კი მოჰყვება თავის ქადაგებას! თუ იცი რაზე, ნუ გვაწუხებ, შენთვის იცოდე! სწორედ რომ ჩვენი საზოგადოების შხამია, საწამ-

ლავი! როგორ გამეხარდება, როგორმე თავიდან რომ მოვიშორებდეთ. ეგეთი ახალგაზრდა და ეგეთი ბრაზიანი!

დუდუკინი — აბრაზებენ და ბრაზობს; ჰკითხე, თვითონ კი მაღლიერია თავისი ცხოვრების?

კორინკინა — ნუ ექომაგებით, გეთაყვა! თქვენ აქ დარჩებით, რასაკვირველია! მომიცია ნახევარი საათი კრუჩინინასთან სასაუბროდ. თუქცა, იცია, მეოთხედიც გეყოფათ, მერე მალაზიაში შეივლიათ ჩემი ფეხსაცმელებისათვის, კამფეტებსაც მიყიდით და 12 საათზე ჩემთან გაჩნდებით! არც აღრე, არც გვიან, გესმით? 12 საათზე! ხუთი წუთითაც რომ დაიგვიანოთ, კარი დაკეტული დაგხვდებათ.

დუდუკინი — დიდიხნით?

კორინკინა — სამუდამოდ! მე აქ ვყბედობ და ქვევით კი მილოფზოროვი ეტლში მიცდის.

დუდუკინი — გამცილებელი თუ არ გეყოლიათ არ შეგიძლიათ?

კორინკინა — ექვიანობთ? აა, ეს ახალი ამბავია! ის ხომ ჩვენი სცენის პირველი აშიკია; ყოველდამ ერთმანეთს სიყვარულს ვუხსნით. დროა შეეჩვიოთ!

დუდუკინი — სჯობდა, რომ აშიკად მხოლოდ სცენაზე გეყოლიათ. გირჩევთ, რომ გამცილებლად კომიკები ამოირჩიოთ, უფრო მხიარულად იქნებით.

კორინკინა — მხიარულება თქვენ გჭირდებათ, ეგრე უსაგნოდ რომ დაიარებით, მე კი დარბაისელი ქალი ვახლავართ. მაშ ასე, ვახსოვდეთ, 12 საათზე, უსათუოდ და ზუსტად! ნახვამდის!

დუდუკინი — რა გაეწყობა, მოფურინდები, მოფურინდები!
(კორინკინა გადის, შემოდის ივანე).

გამოსვლა მე-3

დუდუკინი, ივანე, შემდეგ კრუჩინინა

ივანე — ელენა ივანოვნა მობრძანდა!

დუდუკინი — ჰოდა, ძალიან კარგი! (შემოდის კრუჩინინა).

+ კრუჩინინა — ნილ სტრატონიჩ, ძალიან მიხარია თქვენ ნახვა. მომიტევეთ, ერთ წამს დაგტოვებთ, ქუდს მოვიხდი. +

ივანე — აქ არტიტები გკითხულობდნენ.

კრუჩინინა — ვინ იყვნენ?

ივანე — არც ისეთები, არც თუ პირველი ხარისხისანი.

კრუჩინინა — მერე სად არიან?

ივანე — აქ არიან, ბილიარდს თამაშობენ.

კრუჩინინა — მაშ ჯერ ითამაშონ. შემდეგ სთხოვე მობრძანდნენ. (გადის მარჯვნივ).

დუდუკინი — როგორ არა გრცხვენია, ძამიავ! არტისტებს არ იცნობ.

ივანე — აი დალახვრა ეშმაკმა მაგათი თავი! მახსოვდა და დამავიწყდა. ერთ მათგანს სხვისი პალტო აცვია, ტანზე თოფრასავით აღვას, ნასხვისარი უნდა იყოს.

დუდუკინი — შმაგა?

ივანე — დიახ, ეგ, ეგ!

(შემოდის კრუჩინინა. ივანე გადის).

+ კრუჩინინა — როგორ არა გრცხვენიათ, ნილ სტრაჟონი, ისევ ძღვენით! ძალიან მანებივრებთ, მრცხვენია, ღმერთმანი! ისე დღე არ გაივლის, რამე არ გამომიგზავნოთ. დღესაც ~~ხიზილალა და ჩაი მოგიტანიათ.~~ +

დუდუკინი — მერე და საზრდოობა ხომ გესაქიროებათ? ჩვენი სასტუმრო კი ისეთ საცოდავ მდგომარეობაშია. ან კი რა სათქმელია ეს წვრილმანი: ჩაი, ხიზილალა, ჩვენი თაიგულები და დაფნის გვირგვინები. ამაზე ლაპარაკიც არა ღირს; ყოველივე ეს მეტად მცირე საზღაურია იმ ბედნიერებისთვის, რომელსაც თქვენი შესანიშნავი ხელოვნება გვანიჭებს.

კრუჩინინა — თქვენზე ამბობენ, კეთილი კაციაო.

დუდუკინი — დიახ, გულკეთილობა მახსიათებს, მაგრამ ეს თვისება მემკვიდრეობით მომდევს, ჩემი დამსახურება აქ არაფერ შუაშია. მერე კიდევ, ეს თვისება რა ბედენაა! ესეც რომ არ გამაჩნდეს, რის მაქნისი ვიქნებოდი?

კრუჩინინა — არა, კარგი თვისებაა, კარგი!

დუდუკინი — ძალზე იაფიც. არავითარ შრომას იგი ჩემგან არ მოითხოვს.

კრუჩინინა — ჰოდა მით უფრო ძვირფასია.

დუდუკინი — ეს, როგორც გენებოთ, კამათს ვერ შეგბედავთ. ერთი უნიჭო კაცი ვარ, არაფრის გაკეთება არ მხერხება, ჩემი მამულის გაძლოლაც კი... და სულ უსაქმოდ რომ არ ვიყო, ვარჩიე მსახიობების ცხოვრება ნეტარყო.

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — მსახიობ ქალებისაც?

დ უ ლ უ კ ი ნ ი — რასაკვირველია, იმათიც! წარმოიდგინეთ, ჩვენ ქალაქს ეწვია დასი, ეწვია, რომ გაართოს ჩვენი საზოგადოება, რომელიც არაფრის გამკეთებელია, არც არაფერი აინტერესებს და არც არაფრის სურვილი აქვს. და აი, დასი უცებ მშრალზე დარჩა, ისე, როგორც კიბო წყლის პირას. ჩვენი მოქალაქენი უმეტეს შემთხვევაში დარბაისელი, მძიმე, მდიდარი, ქველმოქმედი, ხარისხოვანი და პირველხარისხოვანი ხალხია.

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — მაგას რაღა სჯობია!

დ უ ლ უ კ ი ნ ი — მაგრამ ზნე-ჩვეულებით, გონებრივი განვითარებით პირველყოფილ უმეტრებაში იმყოფება; დრამატიულ ხელოვნებაზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს. არტისტები კი ხელმოკლე ხალხია, ევროპულად რომ გამოვთქვათ, პროლეტარები არიან, ჩვენებურად კი, რუსულად რომ ვთქვათ, ზეციური ფრინველები არიან, თუ საკენკი ყრია — კენკავენ, თუ არა და — შიშვილობენ. ამის შემდეგ როგორ არ უნდა გვიძგერდეს გული მათდამი სიბრალულით?

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — კი მაგრამ, ვფიქრობ, რომ მსახიობ ქალებისადმი თქვენ მხოლოდ სიბრალულის გრძნობა არ უნდა გამოძრავებდეთ?

დ უ ლ უ კ ი ნ ი — დიახ, დიახ, სრული ქეშმარიტებაა! არაფერი ჩემს არსებაში ზეგარდმო და მაღალი რამ არ არის, ცოდვა კი მხრებზე ზლომად მაწევს. ერთი ჩვეულებრივი ბებრუცუნა, საშუალო ნიჭის ვინმე ვარ და ვინ მოსთვლის ჩემნაირი კიდევ რამდენია. გუბერნატორთან ბრძანდებოდით?

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — დიახ, მაღლობის გადასახდელად ვიყავ. წუხელ, წარმოდგენის დროს, ბუფეტში თურმე ჩუბი ამტყდარა, რის მიზეზიც აქტიორი ნეზნამოვი ყოფილა. ანტრეპრენიორი ჩემს საპირფარეოში გაფიჯრებული, გულგახეთქილი შემოვარდა და განაცხადა, რომ ნეზნამოვის საქმე ცუდათაა და დასში მხოლოდ გუბერნატორის ხათრით ვითმენო. გუბერნატორი გულმოწყალე კაცია, წინათაც აპატია ნეზნამოვს უმსგავსობა, მაგრამ ახლა აღარ დაუთმობს და ქალაქიდან განდევნისო, მით უფრო, რომ პასპორტი რიგზე არა აქვსო. წარმოდგენის

შემდეგ გუბერნატორი სცენაზე ამოვიდა, მაშინ ვთხოვე, — აპატიეთ მეთქი. მან მიპასუხა, ჭკუის სწავლების ღირსია, მაგრამ თქვენ მთხოვთ და მაგ საქმეს უყურადღებოდ დაეტოვებ, თუ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარაო, მგონი, ეგრეც გათავდა. მიაშბეთ, რათ ატყუა ჩხუბი, ან ნეზნამოვი რა კაცია? მგონი, ჯერ სულ ახალგაზრდაა.

დუღუკინი — მის მოკლე ბიოგრაფიას ახლავ მოგახსენებთ, მოგახსენებთ ისე, როგორც თვით ნეზნამოვისაგან ვამიგონია. არც მამა, არც დედა მას არ ახსოვს. იზრდებოდა და სწავლობდა სადღაც შორს, ციმბირში, ვიღაც უშვილო, მაგრამ საკმაოდ შეძლებულ მოხელისა და მისი ცოლის ოჯახში, რომლებიც მას დიდხანს დედ-მამად მიაჩნდა. ცოლ-ქმარს იგი უყვარდა და კარგადაც ექცეოდნენ, თუმცა განრისხების დროს მაინც წასძახებდნენ, რომ ის უკანონო წარმოშობის არის. რასაკვირველია, მაშინ მას ამ სიტყვების მნიშვნელობა არ ესმოდა, მხოლოდ შემდეგ მიხვდა. სწავლა-განათლებაც მისცეს კიდევ, სადღაც რომელიღაც იაფფასიან პანსიონში და პროვინციელი არტისტის კვლობაზე საკმაოდ ნასწაველია. ასე ცხოვრობდა თხუთმეტ წლამდე. მერე კი ისეთმა ტანჯვა-წამებამ მოიცვა მისი არსება, რომ მოგონებაც საშინელია. მოკლედ, მოხელე გარდაიცვალა და მისი ქვრივი ვიღაც მიწისმზომელს მისთხოვდა ცოლად და ამის შემდეგ დაიწყო სახლში გაუთავებელი აურზაური, ლოთობა, ცემა-ტყეპა, რაც უწინარეს ყოვლისა მას ხვდებოდა. ბინაც სამხარეულოში მიუჩინეს და საქმელსაც მოსამსახურებთან ერთად აკმევდნენ; ხშირად ყოფილა, რომ შინიდან გარეთ გამოუგდიათ და ღამე ცის ქვეშ უთენებია. ზოგჯერ თვითონ გაექცეოდა ცემა-ტყეპას და დღიურ მუშებთან, მათხოვრებთან, ათასგვარ მაწანწალებთან ერთად ცხოვრობდა. ამის შემდეგ მას, გარდა ურცხვი ლანძღვა-გინებისა, არაფერი არ გაუგონია. ამნაირმა ცხოვრებამ გააბოროტა, გული გესლით აუვსო და ნადიროვით იღრინებოდა. ერთ მშვენიერ დღეს სახლიდან სულაც გამოაგდეს და რომელიღაც მოხეტიალე დასს მიეკედლა, სხვადასხვა ქალაქებში დაუყვებოდა. მაგრამ რადგან კანონიერი საბუთები არ გააჩნდა, დაპატიმრებული უკანვე ეტაპით გამოისტუმრეს; მისი საბუთები დაკარგული აღმოჩნდა. აწვალეს, აწვალეს და ბოლოს რაღაც

ქალაღდის ასლი ხელში შეაჩეჩეს და ამ ქალაღდით ერთი ან-
ტრეპონენიორისაგან მეორესთან გადაღდის, ხან აქ არის, ხან იქ
და თან წიშშია, ყოველ წუთს იმის მოლოღდინშია, რომ არ
დაიქირონ და ისევ სამშობლოში არ დააბრუნონ.

კრუჩინინა — გრიგორი ჰქვია?

ღუღუკინი — დიახ, გრიგორი.

კრუჩინინა — რა ხნის იქნება?

ღუღუკინი — ოცდასამის.

კრუჩინინა — ვითომ? ნაკლების მეგონა.

ღუღუკინი — არა, ნაკლების არ უნდა იყოს. რათ იჩენთ
მისდამი ასეთ ყურადღებას?

კრუჩინინა — ისე, არის ერთგვარი თანხედენილობა...
მაგრამ არაფერია. მომიტევეთ, რომ სიტყვა გაგაწუვეტინეთ.

ღუღუკინი — რაც შეეხება წუხანდელ ჩხუბსა და აყალ-
მაყალს, ეს ჩეუღლებრივი ამბავია; აქ ძალიან ხშირად ხდება
ამგვარი რამ. წუთელ ერთი ჩვენი პატივეცემული და დარბაისე-
ლი მოქალაქე მუხობოვეი ისეთ აღტაცებაში მოსულიყო თქვე-
ნი თამაშით, რომ სმა პირველ მოქმედების შემდეგვე და-
ეწყო. ყვიროდა, ყველას ეპატიეებოდა, ყველასკენ საკოცნე-
ლად მიიწევდა. ხელში ამ დროს ნეზნამოვიც მოჰყოლოდა,
ჩასციებოდა დალიეო. ნეზნამოვს თავის დასაღწევად ბუფე-
ტიდან გასვლა მოუწადინებია, იმას კი გულის მომკვლეღი
შეურაცხყოფა მიეყენებინა.

კრუჩინინა — რისთვის?

ღუღუკინი — იმისთვის, რომ მან სმაზე უარი განაცხა-
და. მეო, უთქვამს, მაგისი პატივისცემა მინდოღაო, მაგასთან
დაღევა მინდოღაო, და ეგ კი, ვიღაც ნაბიჭვარი, ლობისძი-
რელა უარს მეუბნებაო!

კრუჩინინა — რას ნიშნავს „ღობისძირელა“?

ღუღუკინი — რასა და სხვის კართან ან ლობის ძირას
მიღდებულ ბავშვს.

კრუჩინინა — რა სისულელეა! ნუთუ კიღვე არსებობს
ამგვარი ხალხი, ხალხი, რომელსაც ეგეთი რამის ჩადენა შეუძ-
ღია?

ღუღუკინი — საუბედუროდ ბევრნი არიან. ამ სიტყვებს

შესაფერი სასჯელიც მოჰყვა: ჩვენი დარბაისელი მუხობოვეი საკატლეტედ დაკეპილ ხორცს დაამსგავსეს. მუხობოვეი თავდაპირველად ძალიან გაცეცხლდა, უნდოდა ნეზნამოვი ციმბირს გადაესახლებინა, მაგრამ კეთილ ხალხს მალე შეერიგებინათ და საქმე საერთო მზიარულებით და სადღეგრძელოებით გათავდა. ამ აყალმაყალზე პოლიციელებიც მოცვივდნენ და ნეზნამოვს საქმე მართლა ცუდად მოუტრიალდებოდა, თქვენ რომ არ წამოჰქომაგებოდით. ~~ახ, რა მშვენივრად ასრულებდით წუხელ თქვენს როლს! მართლაც და, საკვირველი როდია, თქვენი ნახვის შემდეგ იდამიანი სასმელს რომ დაეწაფოს. როგორი სიმართლით გამოხატეთ დედის გრძნობა!~~

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — მაშ რის არტისტი ვარ, ნილ სტრატონიჩ!
დ უ დ უ კ ი ნ ი — მაგრამ მაგვარი გრძნობის გამოსახატავად საჭიროა, რომ თვით მოთაქაშეს განეცადოს, გადაეტანოს თვით ეს გრძნობა თუ არა, მსგავსი რამ მინც.

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — ახ, ნილ სტრატონიჩ, ჩემ სიცოცხლეში იმდენი ტანჯვა-წამება, იმდენი დარდი შემხვედრია, რომ არა მკონია ჩემთვის რომელიმე დრამატიული მდგომარეობა უცნობი იყოს.

დ უ დ უ კ ი ნ ი — მაშ, დაფნის გვირგვინი არც ისე ადვილი მოსახვეჭი ყოფილა?

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — უწინარეს ყოვლისა დარდი და ცრემლები, გვირგვინი კი — შემდეგ.

დ უ დ უ კ ი ნ ი — მაგრამ დედის სიყვარული შვილისადმი, ეს გატაცებული სიყვარული, სასოწარკვეთილება...

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — მეც ვიყავ დედა, მეც ისე განვიცადე შვილის სიყვდილი, როგორც ლეღმ ^{მეც ვიყავ} მიქელსაფილდმა, რომლის როლსაც წუხელ ვასრულებდი. მხოლოდ ჩემი შვილი ჯერ ნორჩი იყო რომ მომიკვდა. (ცრემლებს იწმენდს).

დ უ დ უ კ ი ნ ი — ხედავთ, აგატირეთ კიდევ. მომიტევეთ, დედის გულისათვის.

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — არაფერია, ხანდახან ტირილიც კარგია; ახლა მე ისე ხშირად როდი ვტირი. ~~პირიქით, მძღლობელიც ვარ, რომ წარსული მომაგონეთ. ჩემი წარსული დარდით არის~~

საესე, მაგრამ ამ დარღვიც ვპოვებ რაღაც ტკბობა-ნეტარე-
ბას. წარსულის მოგონებას მე როდი ვაფურბივარ, პირიქით,
განზრახ ვაცოცხლებ მას ჩემს გულში. ~~ტკბობებს რომ ვღვრი,~~
ეს სავალალო სრულიადაც არ არის: ქალებს უყვართ ტირილი.

+ გუშინ მთელი ქალაქი შემოვიარე, — სრულებით არ გამოცვლი-
ლა. ბევრი ნაცნობი სახლი ვნახე, ბევრი ხეც ვიცანი და ჩემი
წარსული ცხოვრებიდან ბევრი კარგი და ავიც მომაგონდა.

დ უ დ უ კ ი ნ ი — ~~მამ თქვენ წინათაც ყოფილხართ ჩვენ ქა-
ლაქში?~~

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — დიახ, აქ დავიბადე, აქვე ვავატარე ჩემი
ყმაწვილქალობა. ~~მე ჯერ არ მინდოდა აქ შემოვლა,~~ რადგან
სარატოვსა და როსტოვში მელიან, მაგრამ აქაურ ანტრეპრე-
ნიორს ვაეგო ჩემი ახლოს ყოფნა და გადამეკიდა, რამდენიმე
წარმოდგენაზე მაინც დარჩითო, შემოსავალი გამომიკეთეთო.
და მეც არ ვნანობ, რომ დავყაბულდი.

დ უ დ უ კ ი ნ ი — დიდიხანია რაც აქედან წახველით?

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — ჩვიდმეტი წელიწადი.

დ უ დ უ კ ი ნ ი — და ვერაფერს ნახეთ ნაცნობი ან ნათესავი?
ვერაფერს გიცნოთ?

+ კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — ნათესავეები არა მყავს; ვცხოვრობდი ჩემ-
თვის მოკრძალებულად, ნაცნობები თითქმის არ მყავდა და
ამიტომ ვერც ვერაფერს მიცნობდა. გუშინ იმ სახლს ჩავუარე,
სადაც ოდესღაც მიცხოვრია; ~~ქუტილი შევაჩერე და დიდხანს~~
ვათვალიერებდი კარს, ფანჯარას, დარბაზებს, ლობებს. ბალ-
შიც კი შევიხედე. ღმერთო, ღმერთო, თავში რამდენმა რამემ
გამიელვა! მგონი, ჩემი გრძნობა სქარბობს გონებას, არა?

დ უ დ უ კ ი ნ ი — ~~ფე ნაკლი როდია, ეგვრე ბევრ ქალს ემარ-
თება!~~

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — ჩემთვის აღვილია გონების თვალთ ჩვიდ-
მეტი წლის იქით გადავფრინდე, წარმოვიდგინო, რომ ჩემს
ბინაში ვარ, ვმუშაობ; უცებ გულს სევდა შემომამწვება, ვიღებ
თავშალს და მივრბივარ ჩემი ბიჭიკოს სანახავად, ვეთამაშები,
ველაპარაკები მას. მე ისე ცოცხლად მიდგას ის თვალწინ.
აღბათ ეს იმიტომ ხდება, რომ მკვდარი არ მინახავს, არ
მინახავს კუბოში, საფლაგში.

დუდუკინი — მერე, როგორ მოხდა ეს ყოველივე? მომი-
ტყვი, რომ გულახდილ საუბარში გიწვევთ.

კრუჩინინა — თქვენთან გულახდილობის არ მეშინია, თქვენ
ისეთი კეთილი ხართ. ეს ასე მოხდა: ჩემი შვილის ავად-
მყოფობა შემატყობინეს სწორედ იმ დროს, როდესაც გავიგე,
რომ მამამისი მღალატობდა და ცოლად სხვას ირთავდა. მე
ისედაც თავზარდაცემული, გულმოკლული, მიწასთან გასწორე-
ბული ვიყავი და ამას ზედ ახლა ბავშვის ავადმყოფობაც და-
ერთო. გიტივით მივიჭერ ჩემ პატარასთან, რომელიც გალურ-
ჯებული და სულთმობრძავი დამხვდა; სასიცოცხლოდ მას პირი
აღარ უჩანდა, ძლივს და სუნთქავდა. ვეცი, დაფუწყე კოცნა და
გულწასული როგორ დავცემულვარ არ გამიგია, ასე გულშე-
წუხებული მიფუყვანივარ შინ ვიღაცას. იმავე საღამოს ხუთაგი
გამომამჩნდა და მთელი თვენახევარი მწოლიარე ავადმყოფი
ვიყავი. ~~ჯერ ფეხზე დგომაც არ შემეძლო, რომ ერთმა ჩემმა~~
~~შორეულმა ნათესავმა, რომელიც ბებიად მომხედებოდა, სოფელ-~~
~~ში წამიყვანა. ბოლოს იქ მომცეს წერილი, სადაც მატყობი-~~
~~ნებდნენ, რომ ჩემი შვილი მიიცვალა და მამამ დაასაფლავა,~~
~~რომ ახლა ის ზეცაშია და თავის მშობლებს ღმერთს ავედრებ-~~
~~სო. ეს წერილი დიდხანსა მოსულა, მაგრამ ჩემთვის დაუმა-~~
~~ლაეთ. მერე მე და ბებია ყირიმს წავედით, სადაც მას პატარა~~
~~მამული ჰქონდა და იქ სამი წელიწადი სრულ მყუდროებაში~~
~~ვიცხოვრეთ.~~

დუდუკინი — თქვენი შემდეგი ცხოვრება?

კრუჩინინა — შემდეგ საინტერესო აღარა არის რა. მე
და ჩემმა ბებია ბევრი ვიმოგზაურეთ, დიდხანს ვცხოვრობ-
დით საზღვარგარეთ, მერე ბებიაჩემი გარდაიცვალა და მემ-
კვიდრეობის კარგა ნაწილი დამიტოვა. ამგვარად სიმდიდრეც
შევიძინე, დამოუკიდებლობაც, მაგრამ დარდს თავი მაინც ვერ
დავალწიე. ვიფიქრე, ვიფიქრე და მსახიობობა დავიწყე. უფრო
სამხრეთისკენ ვმოღვაწეობდი, აქეთ სულ არ ვყოფილვარ და
ახლა, ისიც შემახვევით, აქ ვარ; ნათლად მაგონდება ჩემი სი-
ყმაწვილე, ჩემი შვილი და ვტირი, როგორც ზედაეთ; ~~მე რომ~~
~~უცნაური ჯალი ვარ; გრძობა მთლიანად ეფუძლება ჩემს არსე-~~
~~ბას, შემბოჭავს ხალხე, გამიტაცებს და ხშირად გალუცინაცი-~~
~~ამდე მივყვარ!~~

დუდუკინი — თავს უნდა უწამლოთ, ელენა ივანოვნა! მაგვარი სულიერი სისუსტის საწინააღმდეგოდ დღეს ბევრი უმბარი წაძალი არსებობს.

კრუჩინინა — სულაც არ მინდა წამლობა, რადგან მსიამოვნებს ჩემი ავადმყოფობა. მსიამოვნებს ჩემი შვილის აჩრდილის გამოწვევა, მასთან საუბარი; სასიამოვნოა ფიქრი, რომ ის ცოცხალია და ხშირად სულგანაბული, რაღაც ჟრუანტელის მომგერელი შიშით ველი, რომ აგერ საცაა ჩემთან შემოვა!..

დუდუკინი — რომ მოვიდეს კიდევ, ხომ ველარ იცნობთ?

კრუჩინინა — არა, მგონია ვიცნობ, გული იგრძნობს!

დუდუკინი — თქვენ ისევე ბავშვად გყავთ წარმოდგენილი, ის კი, ცოცხალი რომ იყოს, ახლა ოცი წლისა მაინც იქნებოდა. წარმოიდგინეთ, რომ ოცნებამ ხორცი შეისხა, წარმოიდგინეთ, რომ ნახეთ თქვენი შვილი... გითხრეს, რომ ის ამ წუთს აქ შემოვა..

კრუჩინინა — აჰ, აჰ! (თვალეებზე ხელს მიიფარებს).

დუდუკინი — თქვენი წარმოდგენით შემოვა ანგელოზივით მოცინარი სახის, ბობრი, აბრეშუმის კულულებიანი ყრმა!

კრუჩინინა — დიახ, დიახ, აბრეშუმის კულულებიანი!

დუდუკინი — და უცებ მის მაგიერ ვილაც თმაგაჩეჩილი მაწანწალა შემობრახუნდება, გაუპარსავი, როგორიც აი, თუნდაც, ჩვენი ნეზნამოვია, იაფფასიანი თამბაქოს და არაყის სუნით ამჭორებული.

კრუჩინინა — ოჰ, არა! კმარა, კმარა! ეგ სახუმარო საგანი როდია!

დუდუკინი — ~~მე როდი გეხუმრებთ~~, სრულ სიმართლეს ვამბობ. არ ვარგა, ელენა ივანოვნა, არ ვარგა, რომ სულ ფიქრობდეთ და თან მისტიროდეთ იმას, რაც ამ ჩვიდმეტი წლის წინათ იყო, ეს ავადმყოფობაა. თქვენ სულ შინ ზიხართ. საჭიროა გაერთოთ, დრო გაატაროთ, იმზიარულოთ. (საათს დახედავს). ოჰ, ოჰ, გავერთე თქვენთან საუბარში! (ადგება, ბუხრის თავს დახედავს). ხედავთ, რამდენი ხალხი მოსულა დღეს აქ თქვენ სანახავად.

კრუჩინინა — ეს მხოლოდ სადარბაზო ბარათებია. ჩემი ივანე მანდ ინახავს, ნახვით კი არავის ვნახულობ.

დუღუკინი — (აიღებს ერთ ბარათს). გრიგორი ლვოვიჩ მუროვი.

კრუჩინინა — რაო? რა წაიკითხეთ?

დუღუკინი — მუროვი, გრიგორი ლვოვიჩ. თუ წინათ იცნობდით, ახლა მას ველარ იცნობთ. დიდი კაცი გახდა, დიდი ბობოლა; გამდიდრდა, მთელ ოლქში გავლენიანი კაცი შეიქნა. ნახვამდის, სასიქადულოვ ქალთა შორის! (ხელზე კოცნის). ამას შემდეგ, იცოდეთ, მუდამ სასიქადულო ქალს გიწოდებთ.

კრუჩინინა — ნახვამდის, ნილ სტრატონიჩ! (დუღუკინი გადის). ივან! (შემოდის ივანე). შინაც რომ ვიყო, ბატონი მუროვი მაინც არ მიიღო, გესმის?

ივანე — დიახ, მესმის! (გადის).

კრუჩინინა — მუროვი გამდიდრდა, დიდი კაცი გახდა, მთელ ოლქში გავლენიანი პიროვნებაა. რა მხდალი, რა სულმდაბალია ~~და შერცხენილი იყო იგი უკანასკნელად, როცა ჩემი სახლიდან გაფაღღე. ყოველივე ამას ახლა ისე ცხადად ვხედავ, თითქოს ყოველივე ეს გუშინ მოხდა. წინა დღით გრიშას სანახავად ვიყავი. (თვალვებზე ხელს აიფარებს). არხიპოვნას ფანჯარასთან ექირა, ნახევრად თავშალშემოფარებული. ახლოს რომ მიველ, ფანჯრის მინაზე ცაცები ააცაცუნა და თავშალქვეშ დაიმალა; მერე გამომხედა და გაიცინა. ხტის, ხტის ისე, რომ არხიპოვნა ხელში ძლივს აკავებს... ცაცებს მიქნევს, ლოყები აძლუებია. აი, აი ის... თითქოს ვხედავ! (შემოდინ ნეზნამოვი და შმაგა ნამცხვარის ქამით).~~

გამოსვლა მმ-4

კრუჩინინა, ნეზნამოვი და შმაგა

კრუჩინინა — (შეშინებული უკან დაიხევს). აჰ!

ნეზნამოვი — არაფერია, რამ შეგაშინათ?

კრუჩინინა — მომიტევეთ.

ნეზნამოვი — ნუ გეშინიათ! მე თქვენი მოძმე ვარ ხელოვნებაში, უკეთ რომ ვთქვათ, ხელობაში. როგორ ფიქრობთ, ხელოვნებაში თუ ხელობაში?

კრუჩინინა — როგორც გნებავდეთ, ეგ თვალსაზრისზეა დამოკიდებული.

19. აღ. ოსტროვსკი.

ნეზნამოვი — იქნება გნებავთ, რომ თქვენი თამაშობა ხელოვნებად აღიაროთ? ჩვენ ამას ვერ დაგიშლით. მე უფრო გულახდილი ვარ, ჩემი პროფესია ხელობად მიმაჩნია და ისიც, არც თუ ისე მაღალი ღირსების.

კრუჩინინა — თქვენ ისე მოულოდნელად შემობრძანდით...

ნეზნამოვი — დღეს მეორედ მოვდივართ.

კრუჩინინა — დიახ, დიახ, მითხრეს.

ნეზნამოვი — მაშასადამე, ჩვენ არც ისე მოულოდნელად მოვსულვართ. მე ვამბობ: ჩვენ მეთქი, იმიტომ, რომ მეგობართან ერთად ვარ. ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ არტისტი შმაგა! ცხოვრებაში კომიკი, ხოლო სცენაზე ავაზაკი. მაგრამ თქვენ არ გეგონოთ, რომ ეს მისი ამპლუაა, არა. ეს ყველანაირ როლებს თამაშობს, ხშირად პატიოსანი მამის როლსაც, მაგრამ ყველა პიესაში, რომელშიც მონაწილეობას იღებს, შაინც ავაზაკია. თავი დაუკარ, შმაგა! (შმაგა თავს უკრავს).

კრუჩინინა — რა გნებავთ, რაზე გარჯილხართ, ბატონებო?

ნეზნამოვი — ჩვენ გვნებავს მოველაპარაკოთ... თუმცა თქვენ, რასაკვირველია, შეიძლება კინჟისკვრითაც გაგვრეკოთ აქედან, რისი სრული უფლებაც, რა თქმა უნდა, გაქვთ და ნუ დაგვეოიდებით.

კრუჩინინა — არა, რას ბრძანებთ! დაბრძანდით, ბატონებო!

ნეზნამოვი — დავსხდეთ, შმაგა! მუდამ ხომ არ გვიღებენ ასე თავაზიანად! (სხდებიან. შმაგა თავისუფლად გადაითხლაშება შავარძელში). საქმე, ქალბატონო, მე შემეხება, ხოლო სიტყვა შმაგასთვის მიმინდობა, რადგან ის ჩემზე უფრო მჭევრმეტყველია.

შმაგა — ანტრეპრენიორისაგან გავიგეთ, რომ გუბერნატორთან თურმე საუბარი გქონიათ.

კრუჩინინა — დიახ, ვესაუბრე.

შმაგა — გრიშა ნეზნამოვს გამოესარჩლეთ, არა?

კრუჩინინა — დიახ, და დამპირდა, რომ ბატონ ნეზნამოვის წინააღმდეგ არავითარ ზომებს არ მიმართავს.

შმაგა — მაგრამ, უკაცრავად და, რა უფლება გქონდათ,

რომ თქვენ გრიშკას გამოსარჩლებოდით? რამდენადაც ვიცი, თქვენ ვიქილად არ მიუწვევებართ.

კრუჩინინა — არ მესმის, ბატონებო, რა გნებავთ ჩემგან? მე მითხრეს, რომ ბატონ ნეზნამოვს დიდი საფრთხე ელოდა...

ნეზნამოვი — რა ვუყოთ მერე? თქვენ ეს რაში გესაქმებოდათ?

კრუჩინინა — კეთილი, მაგრამ თუ შემძლია ადამიანი უსიამოვნებას ადვილად ავარიდო, ჩემი თავი მოვალედ მიმაჩნია ეს აუცილებლად მოვიმოქმედო. მე ეს უფლებად კი არა სოვალეობად, ვალად მიმაჩნია.

ნეზნამოვი — (ღიმილით). მოყვასთა გაბედნიერება, ქველმოქმედება, არა?

შმაგა — (იციხის). და თან ადვილად, არა? მეტადრე მაშინ, როცა არა გეხარჯებათ რა! იცით, ეგ თქვენი ბედნიერების კალთა თავს ვისაც გინდათ იმას დააბერტყეთ, (თითს მუჭარით უქნეს) ოღონდ არტისტებს არა. (საფარძელში კიდევ უფრო გადაიხლაშება). არტისტი... ამაყია!

კრუჩინინა — (წამოფხვება). რა გაეწყობა! ბოდიში! მე ისე მოვიქცე, როგორც ჩემი სინიდისი მიკარნახებდა, როგორც ჩემი გული მეუბნებოდა. სხვა განზრახვა მე არ მქონია. თავის წართლება საჭიროდ არ მიმაჩნია. როგორც გენებოთ, ისე იფიქრეთ.

ნეზნამოვი — აკი წელანვე შემოგთავაზეთ, რომ აქედან გაგრიქტ... უფრო მოსვენებულად იქნებოდით.

კრუჩინინა — არა, გარეკვა რა სათქმელია. მე თქვენ არც ახლა გაგრიქტ აქედან. ჩემს სიცოცხლეში მე ბევრი უსიამოვნება განვიცდია, შეურაცხყოფა, დაბდი... შერჩეული ვარ. ოღონდ ახლა გული მტკივა და თან ყოველივე ეს საყურადღებოდ მიმაჩნია; მინდა გავიგო ზნე-ჩვეულება, აზრთა მსვლელობა იმ ადამიანთა, რომლებთანაც ბედმა შემყარა. ბრძანეთ ყველაფერი, ბრძანეთ, რასაც გრძნობთ!

ნეზნამოვი — ოღონდაც რომ ვიტყვი. აი, თქვენ ჩივით, რომ გული გტკივთ, მაგრამ თქვენს გულს სხვა განცდანიც ხომ ხშირად სწვევია? ნეტარება, სიბარული, სიამოვნება! რათ არ გინდათ, რომ ყოველივე ამასთან ერთად, მრავალფერო-

ვანებისათვის, გულის ტკივილიც იგემოთ? აბა ერთი წარმო-
იდგინეთ ისეთი კაცი, რომელსაც დაბადების დღიდან გულის
ტკივილის, დარდისა და შეურაცხყოფის გარდა სხვა არაფერი
განუცლია, წარმოიდგინეთ კაცი, რომელიც ყოველთვის და
ყველგან მხოლოდ გულის ტკივილს გრძნობს. სულით მე ისე
დავიჩაგრე, რომ ყოველი შემოხედვა, ყოველი სიტყვა გულში
ტყვიასავით მხვდება; გული მტკივა, როცა მე ავად თუ კარ-
გად წახსენებენ. და გული მით უფრო მტკივა, როცა მიბრა-
ლებენ, როცა გულმოწყალებდ მოქექტევიან. ჩემთვის ეს გულში
ბასრი დანის ჩაცეპას უდრის. აღამიანებს მუდამ ერთ რამეს
ვემუდარები, — მომასვენონ, დაივიწყონ ჩემი არსებობა!

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — ეგ არ ვიცოდი.

ნ ე ზ ნ ა მ ო ვ ი — ახლა იცოდეთ და გთხოვთ, ეგრე უხვად ნუ
ფანტავთ ირგვლივ მაგ თქვენს მოწყალებას! თქვენ გინდოდათ
აგეცდინათ ჩემთვის ეტაპით მოგზაურობა, არა? რისთვის დაგ-
ჭირდათ ყოველივე ეს? თქვენ გგონიათ, სიკეთე მიყავით? სრუ-
ლებითაც არა! ამ მოგზაურობას კარგად ვიცნობ და ამით ვე-
რაფინ გამაკვირვებს, რადგან გამოცდილი ვარ. ეტაპით მე ჯერ
კიდევ სულ პატარას მივლია, მივლია სრულიად უდანაშაულოს.

შ მ ა გ ა — წერილობითი საბუთის უქონლობის გამო, დიახ,
მას პირადობის მოწმობა არ გააჩნდა. არც სახელი იცოდა
თავისი, არც გვარი. მამას რა ერქვა, რა ჩინი ჰქონდა არც ის
იცოდა, რომ ამის მიხედვით რაიმე ადგილი დაეთმოთ მისთვის
ცხოვრებაში.

ნ ე ზ ნ ა მ ო ვ ი — ხედავთ, ესეც დამცინის, მასხარად მიგდებს!
მაგრამ მართალს ამბობს; მე არარა ვარ, მე ერთეულის ნაწი-
ლაკიც არა ვარ; ეგ კი, ჩემთან შედარებით, რალაცას მძინც
წარმოადგენს, სახელი აქვს, წოდება, პასპორტი. იცით, პას-
პორტში რა უწერია? — „სამსახურიდან დათხოვნილ მოხე-
ლის შვილი, ცუდი ყოფაქცევისთვის სკოლიდან გამოორიცხუ-
ლი, ობოლთა თავშესაფარში ასლის გადამღებად მსახურობდა
და დათხოვნილია როგორც გამოუსადეგარი კაცი“. ამას გარდა,
პასპორტში ისიც უწერია, რომ ის „სამართალში იყო მიცემული
კამლოტის მაზარის მოპარვის გამო და რომ პასუხისგებისაგან

განთავისუფლებულია, მაგრამ ეჭვის ქვეშ იმყოფება“. ერთი მითხარით, რა სჯობია ასეთ მშვენიერ მოწმობას! მისი პატრონი ბედნიერია, მას შეუძლია თვალში ყველას პირდაპირ შეხედოს, უთხრას ყველას ვინ არის, რა არის. თქვენ გგონიათ მიხარია, რომ თქვენი წყალობით აქ, ამ პაწია ქალაქში ვრჩები? თეატრიდან მითხოვენ და მალე დამითხოვენ კიდევ. მერე რა ვიქნები მე? მაწანწალა, რომელმაც თავისი წარმოშობაც არ იცის, აღამიანი, რომელსაც გარკვეული საქმე არა აქვს. ჰოდა, ამგვარი სახელით სად უნდა ვიცხოვრო? არსად, არც ერთ ქალაქში, ან კიდევ ყველგან, მხოლოდ „სახელმწიფო ბინაზე“, ე. ი. ტუსადთა სამფლობელოში. მე ქურდი არა ვარ, არც მიდრეკილებას ვგრძნობ ამ მოღვაწეობისადმი; არც ავაზაკი ვარ, არც კაცისმკვლელი, რადგან სისხლისმსმელის ინსტინქტები არა მაქვს, მაგრამ მაინც ვგრძნობ, რომ ჩემს უნებურად, თავშეუკავებლად ციხისკენ მივექანები. ასეთ აღამიანს სჯობს რომ ხელი არ ახლონ: სიბრალული და შეწყნარება მას კიდევ უფრო გააბოროტებს.

კრუჩინინა — ოჰ, რატომ? რატომ?

ნეზნამოვი — აი, მაგალითად რომ ვთქვათ: მე თქვენთვის სრულიადაც არ მცხელა, სულაც არ მცხელა არსებობთ თქვენ ქვეყანაზე თუ არა, ჩემთვის ეს სულერთია. ჩვენ უცხონი ვართ ერთმანეთისთვის, ჰოდა, ყველამ თავისი გზით იაროს! თქვენ კი თავს მახვევთ თქვენს წყალობას, მაიძულებთ მადლობა გადაგიხადოთ, თუმცა, ნურას უკაცრავად და, მადლობას მაინც არ გადაგიხდით. მაგრამ ამხანაგები ამას შემდეგ მოსვენებას აღარ მომცემენ, ყველა მათგანი თქვენს მოწყალებას წამომაცყვედრებს: „კრუჩინინას უმადლე, რომ ჩვენთან ხარ... კრუჩინინა რომ არა, ბევრს იმოგზაურებდიო“ და საქმეს ისე გაიქიჩობენ, რომ იძულებულს გამხდებიან შეგიძულოთ. მე კი ეგ არ მინდა, მე მინდა რომ გულგრილი ვიყო თქვენ მიმართ. გასაგებია, რომ წყალობის გაღება ძალზე მიმზიდველი რამ არის, მეტადრე მაშინ, როდესაც ყველა თავაზიანად გექცევათ და არაფერ არ გაგაწბილებთ. ხოლო ამისთვის მადლობას ქოველთვის როდი უნდა მოელოდეთ, ხანდახან შეიძლება ამის გამო დიდ უსიამოვნებასაც წააწყდეთ.

კრუჩინინა — ძალიან ხშირად, ეგ მეც ვიცი.

ნეზნამოვი — და თქვენსას მაინც აღარ იწლით?

კრუჩინინა — არც დავიწლი არასოდეს, რადგან სიკეთის ჩადენა ჩემთვის ბუნებრივი მოთხოვნილებაა.

ნეზნამოვი — ეს საკმაოდ უცნაური რამ არის. თავის შეკავება მაინც აჯობებდა!

კრუჩინინა — აი რა, ბატონებო! მე მოთმინებით მოგისმინეთ. ჩემის წყალობით თუ უსიამოვნება რამ მოგაყენეთ, ბოდიშს ვიხდი. მაგრამ უნდა ვითხრათ, ბატონო ნეზნამოვ, რომ თქვენ ბოროტად ისარგებლეთ ჩემი თავმდაბლობით. თქვენ შეგეძლოთ გელაპარაკნათ მხოლოდ თქვენ საქმეზე, თქვენ კი ჩემი საქციელის გამსჯას ბედავთ და ჭკუასაც მასწავლით. თქვენ ჯერ ახალგაზრდა ხართ და ცხოვრებას სულ არ იცნობთ. ბავშვობიდანვე და ახლაც თქვენ გარს გახვევიათ არა საუკეთესო პირნი და ადამიანის მიმართ მსჯავრის გამოტანას არ უნდა ბედავდეთ, რადგან კარგი ადამიანი თქვენ თითქმის არ გინახავთ და მათ შორის არ გიცხოვრიათ. თქვენ გინახავთ ცხოვრება მხოლოდ...

შმაგა — დირეს ქვემოდან?

კრუჩინინა — არა, მე მაგის თქმა როდი მინდოდა.

შმაგა — რატომ? ეგ უფრო სწორი, უფრო მართალი იქნებოდა.

ნეზნამოვი — ეგ სუღერთია, აქ საქმე სიტყვებში როდია.

კრუჩინინა — უნდა იცოდეთ, რომ მე თქვენზე გამოცდილი ვარ და თქვენზე მეტიც მიცხოვრია. ვიცი, რომ ადამიანი კეთილშობილია, ვიცი, რომ მას დიდი სიყვარული და თავის განწირვაც შეუძლია, მეტადრე ქალს.

ნეზნამოვი — ვითომ?

კრუჩინინა — არაფერი ამის მსგავსი თქვენ არ გინახავთ?

ნეზნამოვი — არა, არ მინახავს.

კრუჩინინა — სამწუხაროა.

ნეზნამოვი — მერე, სად არიან ეგ იშვიათი ქმნილებანი?

კრუჩინინა — ყველგან, ოღონდ ცოტა მოძებნა, გარჯაა საჭირო. ისინი არც ისე იშვიათნი არიან. რაღა შორს წავი-

დეთ, იცით თუ არა თქვენ რანი არიან მოწყალეების დანი?

ნ ე ზ ნ ა მ ო ვ ი — ვიცი.

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — რა აიძულებთ მათ, რომ აიტანონ გაჭირ-
ვება, ჯაფა და განსაცდელი?

ნ ე ზ ნ ა მ ო ვ ი — არ ვიცი.

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — და განა მარტო მოწყალეების დანი! არიან
უამრავი ქალები, რომელთაც თავისი ცხოვრების მიზნად დაუ-
სახავთ, რომ უშველონ ობლებს, ავადმყოფებს, შრომის უნარ-
მოკლებულებს და, საზოგადოდ ყველას, ვინც უდანაშაულოდ
იტანჯება... მაგრამ არა, ეგ არაფერია... არიან ისეთი მო-
სიყვარულე არსებანიც, რომელნიც არ შედიან იმის განს-
ჯაში — სხვას მიუძღვის ბრალი, თუ საკუთარი დანაშაულის-
თვის იტანჯება ვინმე; ისინი მზად არიან უშველონ ისეთ ადა-
მიანსაც...

ნ ე ზ ნ ა მ ო ვ ი — თქვენ სიტყვებს ეძებთ, ნუ მერიდებით,
ბრძანეთ პირდაპირ.

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — თუნდ სრულიად უიმედოდ დაცემულთაც.
იცით თუ არა, რა არის სიყვარული?

ნ ე ზ ნ ა მ ო ვ ი — ვიცი, მხოლოდ რომანებით.

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — თქვენ არავის არ ჰყვარებიხართ?

ნ ე ზ ნ ა მ ო ვ ი — როგორ გითხრათ... ნამდვილი სიყვარუ-
ლით არა... ჩემი შეყვარება არ შეიძლება.

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — რატომ?

ნ ე ზ ნ ა მ ო ვ ი — რა სიყვარულის ღირსია წამხდარი და უიმე-
დოდ დაღუპული ადამიანი? გამოსწორების მიზნით? ჯერ ერ-
თი, ყველას გამოსწორება არ შეიძლება; მეორეც, ზოგი არც
მისცემს ნებას, რომ იგი გამოასწორონ.

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — რატომ? ეგეთის შეყვარებაც შეიძლება.

ნ ე ზ ნ ა მ ო ვ ი — საეჭვოა.

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — განა მოწყალეების დები მარტო იმათ უე-
ლიან, ვინც მორჩება? არა, ისინი უფრო მეტის სიყვარული-
თაც უვლიან მათ, ვინც უიმედოა და არ გადარჩება. თქვენ
უსათუოდ უნდა დამეთანხმოთ, რომ არიან ქალები, რომლე-
ნიც სიკეთეს უანგაროდ თესავენ, თესავენ მხოლოდ და მხო-
ლოდ წმინდა სურვილით: მიბასუხეთ, ზომ არიან ასეთები?

ნეზნამოვი — (დარცხვნილი) დიახ, არიან.

კრუჩინინა — ჩემთვის ევეც საკმარისა! თქვენ გაღიზიანებული ხართ, გაჯავრებული; წადით, დამშვიდდით და მოიფიქრეთ ის, რაც ამ წუთს წარმოსთქვით.

ნეზნამოვი — აბა, შმაგა, წავიდეთ! ჩვენს საქმეს მოვრჩით, — შემოვიჭერი აქ უხეშად და მშვენიერი ადამიანი გაჯავრეთ. სხვას რას უნდა მოელოდეს კაცი ჩვენგან?

შმაგა — უხეშობა შენი საქმეა, მე კი ზრდილობით აღსავსე კაცი ვარ. რა იყო საგანი ჩვენი საუბრისა? ეს მხოლოდ შესავალია, ნამდვილი შინაარსი საქმისა კი ამას უნდა მოჰყვეს. მე სულ სხვა თემა მაქვს აღებული და ჩემი კილოც ამიტომ ნაღვლიანი იქნება. მაგრამ მოწმე რომ არ მესწრებოდეს, უფრო კარგი იქნებოდა.

ნეზნამოვი — არა, არა, ჩემთან უნდა თქვა ყველაფერი, თორემ მე რომ შენ გიცნობ...

შმაგა — ქალბატონო, ჩვენ მოვედით აქ, სასტუმროში, თქვენთვის უკვე ცნობილ საქმეზე, მაგრამ თქვენ არ გეცალათ. მოგეხსენებათ, ახალგაზრდული გატაცება, ბუფეტი, ბილიარდი... ცდუნება... და მასთან ერთად ხელმოკლეობაც. რასაკვირველია, მოგეხსენებათ ისიც, თუ რა არის ღარიბი არტიტი. ერთი სიტყვით, ბუფეტის ვალი დაგვედო.

ნეზნამოვი — (სასტიკად). რაო? რაო?

კრუჩინინა — ნუ სწუხხართ, ახლავე ვეტყვი თქვენ მაგიერ გაუსწორდნენ. (ნეზნამოვს). ნუ ჯავრობთ, გეთაყვა, ამითი მაინც მასიამოვნეთ.

შმაგა — დიახ... მერსი! თუმცა სხვაფრივ არც შეიძლება; თქვენ გევალებათ ამ ვალის გადახდა. ჩვენი რა ბრალია, რომ თქვენ დროზე ვერ მიგვიღეთ, ღერფანში ხომ ვერ დაგიცდიდით? ჩვენ ხომ არტისტები ვართ, ჩვენი ადგილი ბუფეტშია!

ნეზნამოვი — თქვი და კპარა. წადი, გასწი აქედან!

შმაგა — ეპ, გრიშკა, თავი გამანებე! თავი გამახებე მეთქი, გეუბნები! (კრუჩინინას). უნდა მოგახსენოთ, ქალბატონო, რომ ჩვენი მომავალი არსებობაც კადრაკულია. თქვენ გამოჩენილი მსახიობი ხართ, მთელი შემოსავლის თითქმის ნახევარს იღებთ, თუმცა საკამათოა ვისგან არის დამოკიდებული პიესის გამარჯ-

ეება და ვინ აკეთებს ნამდვილად შემოსავალს — თქვენ, თუ ჩვენ! ჰოდა, ცოტას ამხანაგებსაც რომ გაუნაწილებდეთ, კარგს იზამდით. (ნეზნამოვი საყველოში ხელს უსიტყვოდ ჩაავლებს და კარისაკენ მიჰყავს).

შმაგა — (ხან აქეთ, ხან იქით იხედება). გრიშა! გრიშა!

ნეზნამოვი — (კარუისაკენ მიაცილებს). კასწი! აქედან დაიკარგე! (შმაგა საჩქაროდ გადის).

გამოსვლა მ-5

კრუჩინინა და ნეზნამოვი

კრუჩინინა — აჰხანაგის მაგიერ შეგრცხვათ?

ნეზნამოვი — არა, ჩემი თავის შემრცხვა.

კრუჩინინა — მაშ რათ მეგობრობთ მაგნიარ კაცთან?

ნეზნამოვი — სხვას ვის ვემეგობრო, ვინ მიკადრებს? რა თქმა უნდა, ზნეობის ნიმუშად ეგ არ გამოდგება; ერთი გრო-შისთვის დაუფიქრებლად გაჰყიდის თავის საუკეთესო მეგობარს და მწყალობელს, მაგრამ, რამდენადაც ვიცო, ბევრ არტისტსაც სჭირს ეგ სენი. სამაგიეროდ ბევრი კარგი და დაუფასებელი თვისებებიც აქვს: საზაფხულო პალტოთი საშინელ ყინვებშიც არ ცივდება, არ ჩივის, როდესაც შია და საქმელი არაფერი აქვს, არ ჯავრობს, როდესაც ლანძღავენ ან სცემენ, ესე იგი, შესაძლოა გუნებაში ჯავრობს კიდევაც, მაგრამ გარეგნულად ბრაზს არაფრით არ ამჟღავნებს.

კრუჩინინა — ზამთარშიც ენაგ საზაფხულო პალტოთი დადის?

ნეზნამოვი — დიახ, როგორც თქვენი თვალთ ნახეთ, მთელი თავისი „გარდერობი“ თან დააქვს.

კრუჩინინა — (ამოიღებს საფულედან 10 მანეთიანს). გადაეცით, გეთაყვა, ჩემს მაგივრად.

ნეზნამოვი — რას ბრძანებთ! არ არის საჭირო. მაშინვე ლეინოში გაფლანგავს.

კრუჩინინა — ჰოდა, როგორც მას სურდეს.

ნეზნამოვი — ტყუილად გადაყრილი ფულია!

კრუჩინინა — იმას ხომ ესიამოვნება?

ნეზნამოვი — ოღონდაც რომ ესიაზოვნება!

კრუჩინინა — ჰოდა, რომ წარმოვიდგენ რა სიაზოვნებასაც მიიღებს იგი, მეც ამითი ესიაზოვნებ. მიყვარს ვისიმე დასახელები. იცით, რა უნდა გთხოვოთ? არ შეგიძლიათ კარგი შეგერილი პალტო უყიდოთ? რაც დაჯდება, შე გადავიხდი. ხომ შეგიძლიათ გაისარჯოთ?

ნეზნამოვი — აქ გასარჯელიც არაფერია. (თავს უკრავს).

კრუჩინინა — ნახვამდის.

ნეზნამოვი — (სიჩუმის შემდეგ). ნება მიბოძეთ, ხელზე გეამბოროთ!

კრუჩინინა — ახ, ინებეთ, ინებეთ!

ნეზნამოვი — ესე იგი, გამომიწვდით ხელს ისე, როგორც მოწყალებას, არა? არა, თუ ჩემდამი ზიზღს გრძნობთ, მაშინ პირდაპირ მითხარით.

კრუჩინინა — სულაც არა! პირიქით, მიხარია.

ნეზნამოვი — მე ხომ უფარვისი ადამიანი და ამასთან ერთად ღობის ძირას მიგდებული ადამიანი ვარ, ღობისძირელა? (კრუჩინინას ხელზე მოჰკიდებს ხელს).

კრუჩინინა — (თავს ვაიბრუნებს. ჩუმად). ნუ იტყვივით მაგ სიტყვას, არ შემიძლია მაგის გაგონება. (ნეზნამოვი ხელზე კოცნის. კრუჩინინა ნეზნამოვის თავს გულში ჩაიკრავს და მხურვალედ კოცნის).

ნეზნამოვი — რა გემართებათ! რისთვის?

კრუჩინინა — მომიტყევეთ!

ნეზნამოვი — რასა ბრძანებთ? თქვენვე იხდით ბოდიშს! ეჰ! (გადის. ივანე კარებში ვილაცას უჯავრდება: „გასწი, გასწი! ნათქვამია, არ ღებულობენ!“).

კრუჩინინა — ივანე, მანდ ვის ელაპარაკები? (შემოდის ივანე).

გამოსვლა მე-6

კრუჩინინა, ივანე, შემდეგ გალჩინა

ივანე — ქალბატონო, აქ ვილაც გამოსულელებული მათხოვარი დედაკაცი დაეთრევა, ბატონებს აწუხებს.

კრუჩინინა — შემოუშვით, მივცემ რასმე.

ივანე — შემოგეჩვენათ, ქალბატონო, და მერე თავიდან ვეღარ მოიშორებთ. არა, სჯობია აქედან მივაბრძანო. (გადის).

კრუჩინინა — (კარვბისკენ მიიხედავს). აჰ! აჰ! ვინ არის? ეს
ის არის! შემოიყვანე, ივან, შემოიყვანე! (შემოდინ ივანე და გალ-
ჩიხა). არხიპოვნა! ვერა მცნობ?

გალჩიხა — როგორ ვერა გცნობ, თქვენო ბრწყინვალეზა!
უმოწყალოდ აკი შარშანაც არ დამტოვეთ, გამიკითხეთ საწყა-
ლი მოხუცებული, უმწეო ობოლი.

კრუჩინინა — შემომხედე, თვალეში კარგად ჩამაცქერდი!
კარგად ჩამაცქერდი!

გალჩიხა — უკაცრავად, ქალბატონო, გამოგჩერჩეტდი...
შარშანწინ ფეხსაცმელები რომ მიბოძეთ... როგორ არა, კარ-
გად მახსოვს...

კრუჩინინა — ივან, ვინ არის ეს? არინა გალჩიხაა, არა?
ივანე — დიახ, სწორედ ის არის!

კრუჩინინა — წადი! (ივანე გადის). სად დამარხეთ ჩემი
გრიშა? (შხრებში ჩასტიდებს ხელს). ჩემი ბავშვი, ჩემი ბავშვი?

გალჩიხა — აღარ ჩავდივარ მაგ საქმეებს, ქალბატონო,
თხუთმეტი წელიწადია აღარ ჩავდივარ. იყო დრო, როცა ბავ-
შეები ამყავდა, ფულს ვიღებდი, ვკხოვრობდი არხეინად. ახლა
გავლატაკდი, უთვისტომო ვარ, უსახლკარო, მიუსაფარი.

კრუჩინინა — აბა შემომხედე, თვალეში კარგად ჩამაც-
ქერდი!

გალჩიხა — ქალბატონო, ნუთუ... ნუთუ ეს თქვენა ხართ?..
როგორ... ლიუბოვ ივანოვნა, არა?..

კრუჩინინა — დიახ, ლიუბოვ ივანოვნა, ისა ვარ...

გალჩიხა — როგორ არა, მახსოვს, კარგად მახსოვს, ჩემო
მწყალობელო ქალბატონო!

კრუჩინინა — მაშ წავიდეთ, წავიდეთ სასაფლაოზე.

გალჩიხა — სად, ქალბატონო, რომელ სასაფლაოზე?

კრუჩინინა — მე შვილი მყავდა, შვილი.

გალჩიხა — დიახ, დიახ, შვილი, სწორეა... რა ერქვა? მე
ბევრი ბავშვი მყავდა, ბევრი. გენერალი ბისტროვი გახსოვთ?
ყველა ბავშვი მე ავიყვანე.

კრუჩინინა — ეგ არა, ეგ არა! შენ სულ სხვა რამეს ლა-
პარაკობ.

გალჩიხა — სხვანიც იყვნენ, მდიდარი ვაჭრები, ქალაქის
გალმა მხარეს; თვითონ არაფერი შეეძლო, მე ვეხმარებოდი.

კრუჩინინა — არა, ჩემი შვილი, ჩემი შვილი!

გალჩიხა — ჰოდა, მეც მაგას ვამბობ; თქვენი ვაჟიც...
ერთი ქვრივიც იყო, წყალს გალმა უშველელი სახლი ედგა,
მეზონინით... და ამ მეზონინში...

კრუჩინინა — აჰ, არა... ჩემი ვაჟი, გრიშა...

გალჩიხა — გრიშა? დიახ, დიახ, მახსოვს.

კრუჩინინა — (გალჩიხას სკაშზე დასვა მს). გახსოვს, ავად რომ
გახდა, ავად გახდა საშინელი სენით, ხრიალი დაიწყო, არ
გახსოვს? და მოკვდა.

გალჩიხა — განიკურნა, ქალბატონო, განიკურნა! ღმერთმა
არ გასწირა და მორჩა!

კრუჩინინა — რას ამბობ, არხიპოვნა! შემობრალე! 7

გალჩიხა — მორჩა, მორჩა!

კრუჩინინა — მერე, მერე?

გალჩიხა — მერე გავლარიბდი, გავლატაკი. წინათ კარ-
გად ვცხოვრობდი, ყველაფერი უხვად მქონდა; ახლა აღარა-
ფერი გამაჩნია. რამე ძველმანს მაინც მიბოძებდეთ.

კრუჩინინა — მოგცემ, მოგცემ! აი ფულიც. ყველაფერს
მოგცემ, ოღონდ თქვი! (ფულს მაგიჯაზე დებს). სად არის გრიშა,
რა უყავით მას?

გალჩიხა — ჰო, დიახ... აკი იმიტომაც დამსაჯა ღმერთმა,
სწორედ იმიტომ.

კრუჩინინა — რისთვის „იმიტომ“? აკი ამბობ, მორჩაო?

გალჩიხა — მორჩა, მორჩა, როგორ არა! მალე მორჩა!
(ფულს ალმაცერად უყურებს). კარგია ვისაც ღმერთი შეეწევა,
დასაჩუქრებს. მე კი, აი, გამწარებული...

კრუჩინინა — აკი გითხარ, ეგ ფულები შენია მეთქი,
ოღონდ თქვი! გთხოვ, გემუდარები!

გალჩიხა — რა უნდა ვთქვა, ქალბატონო?

კრუჩინინა — გრიშას ამბავი მითხარ, ჩემი გრიშას ამ-
ბავი!

გალჩიხა — თეთრყირმიშა ბიჭი, არა?

კრუჩინინა — ჰო, თეთრყირმიზა. ~~შენ ამბობ, ღმერთმა~~
~~იძისთვის დამსაჯაო. რათა, რისთვის?~~

გალჩიხა — მომაგონდა, ქალბატონო, ახლა მომაგონდა.

კრუჩინინა — მოაგონდა, ღმერთო ჩემო! მერე, მერე!
(დაიხტებეს მის წინ, სახეში შესცქერის).

გალჩიხა — მომჯობინება დაიწყო თუ არა, დედას კითხულობდა, ეძახდა.

კრუჩინინა — (ქვითინით). შენ ამბობ: დედასო?

გალჩიხა — დიახ, ცაცებს გაიწვდიდა და ამბობდა: „დედა, დედაო!“


კრუჩინინა — ოო, ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! დედა, დედა! მერე, მერე!

გალჩიხა — მერე ვიფიქრე, რა ვუყო ამას მეთქი? ჩემთან ვიყოლიო, ვაი თუ ფული აღარ მომცენ... ვეჭვობდი. გვარიც დამავიწყდა... ცოლ-ქმარნი იყვნენ, ოღონდ შვილი არ ჰყავდათ. ჰოდა, თვითონ ქალა მითხრა, ობოლი ვინმე მიშოვე და შვილსავით გავზრდი, მეყვარებაო. მეც მივეცი, კარგა ძალი ფული გამოვართვი... აღზრდისა ორი წლის ფასი არ მიმიღია და მომეცი მეთქი. იმათაც მომცეს. მერე გრიგოლს... რა ჰქვიან... ჰო, მოვიგონე, გრიგორი ლვოვიჩს ვუთხარი — ასე და ასე, შენი შვილი სხვას მივეცი მეთქი. მითხრა — კარგად მოქცეულხარ, საქმე უდავიდარაბოდ მოეწყოო. სამმანეთიანიც მაჩუქა.

კრუჩინინა — მერე, მერე?

გალჩიხა — მერე და ყველაფერი მშვენივრად მოეწყო.

კრუჩინინა — მაშ ნახულობდი, დადიოდი მასთან?

გალჩიხა — როგორ არა, ქალბატონო! ვნახულობდი, ვნახულობდი... ამას წინათაც ვნახე. 

კრუჩინინა — (შეშინებული). ამას წინათ?

გალჩიხა — ვხედავ, ბაღში დარბის, პატარა ურემს დააგორებს, ლურჯი პერანგი აცვია.

კრუჩინინა — (უკან მიაწყდება). რას ამბობ, რას? ის ხომ ახლა ოცი წლის იქნება?

გალჩიხა — რის ოცი? არა, ის ჯერ პატარაა.

კრუჩინინა — არხიპოვნა! არინა, არინა, რეებს ამბობ?

გაღჩიხა — აჰ, ქალბატონო, მომიტყევეთ! თვალი ფულმა მომტაცა, შემაცდინა... თქვენ მიბრძანეთ, რომ ყველაფერი მეთქვა და მეც გითხარით, გითხარით რომ დამემწვიდებინეთ, და თვითონაც არ ვიცი, რა გითხარით... რა ვქნა, გონი სულ დამიბნელდა.. ტვინი ამერია და გონს ვერ მოვსულვარ. ცოტას რომ დავისვენებდე...

კრუჩინინა — მაშ, წამო, დაისვენე! (გაღჩიხა მეორე ოთახში გაჰყავს).

გაღჩიხა — თუ კი ვიცი რამე, მომაგონდება... (გადის).

კრუჩინინა — (ჯდება მაგიდასთან). ღმერთო, რა ბოროტ-მოქმედებაა, რა ბოროტმოქმედება! დღედაღამ ვდარდობდი, თავს ვიკლავდი ჩემი შვილისთვის; მითხრეს, მოკვდაო და ვტიროდი; ცხრა მთას იქით გადავიხვეწე, ვეძებდი კუთხეს, სადაც ამ მწუხარების დავიწყებას მოვახერხებდი, ის კი თურმე ცაცებით მიხმობს, მეძახის: დედა, დედაო! ღმერთო, როგორი ბოროტმოქმედებაა! (ქვითინით მაგიდაზე დაემხოზა).

მოქმედება მისამე

ქალების საპირფარეშო. კედელზე შპალიერი ადგილ-ადგილ აგლეჯილია, ადგილ-ადგილ ამქვრალი. სიღრმეში კარები. მაგიდა, მის წინ ძველი, რბილი სავარძელი. დანარჩენი დგამის სტილი არეულია.

გამოსვლა 1-ლი

კორინკინა სავარძელზე ნახევრად მიწოლილა. შემოდის მილოვზოროვი

კორინკინა— ვინ არის?

მილოვზორ.— შე ვარ, მეგობარო!

კორინკინა — კარი მიხურე.

მილოვზორ.— რათა?

კორინკინა — ვილაცანი ზეტიალობენ, ყურს მიგდებენ.

მილოვზორ.— ნერვების ბრალია, ჩემო კარგო.

კორინკინა — ჰო, ნერვების ბრალია. რაა საკვირველი, აქ რომ ნერვები აგეშალოს! არაფერი არ შესმის. ყველა შეიშალა. ჭკუაზე მყოფნი ამას არ იზამენ.

მილოვზორ.— ვის გულისხმობთ?

კორინკინა — ხალხს, გუშინდელ წარმოდგენას. არა, რა გახდა ეს კრუჩინინა? რით არის იგი არაჩვეულებრივი, განსხვავებული, რომ მის გამო ასე გადაირივნენ? აბა, ერთი შენ თვითონ სთქვი! გეკითხები, რით არის იგი არაჩვეულებრივი?

მილოვზორ.— დახვეწილი, ფრანგული განსახიერება როლისა.

კორინკინა — ტუტუცი! დამეკარგე! რას დაეხირებით ამ ჩემ საპირფარეშოში? იმიტომ, რომ სისულელეები მელაპარაკოთ? იცოდეთ, რომ მე ეგ არ მსურს. მაბრაზებ, განზრახ მაბრაზებ!

მილოვზორ.— განა ნება არა მაქვს, რომ ჩემი აზრი მოკონდეს?

კორინკინა — რასაკვირველია, არა გაქვს! არა გაქვს, რადგან არაფერი არ გაგეგება. ამას გარდა, ეს რა ამხანაგობაა! დეე, მაყურებელი გაგიჟდეს, თქვენ რა? თქვენ თქვენი აქტრისა გყავთ და მხარი მას უნდა დაუჭიროთ. თქვენ არც მე და არც ჩემს თქვენდამი დამოკიდებულებას არ აფასებთ. და მერე შენ, შენ! მგონი, შენ მაინც უნდა...

მილოვზორ. — აჰ, ჩემო მეგობარო, მე მეტისმეტად ღრმად განვიცდი თქვენს დამოკიდებულებას.

კორინკინა — თავის დაჭერა, ლაზათიანი მიხვრა-მოხვრა განა მე არ გასწავლე? როგორ გეჭირა თავი? როგორ დადი-ოდნი? ერთი შენ თვითონ მითხარ, რას წარმოადგენდი შენ სცენაზე? უბირ დალაქს, სხვას არაფერს.

მილოვზორ. — დიდი მადლობელი ვარ, მაგრამ რა საჭიროა მაგნაირი სიტყვები? ეს უკვე ნამეტანია, ჩემო მეგობარო! (უნდა ხელზე აკოცოს კორინკინას).

კორინკინა — რას მენაზები! მომცილდი! (ადგება). არაფერი განსხვავებული მას არ გააჩნია, არაფერი! გრძნობა აქვს, მაგრამ რა არის მხოლოდ გრძნობა? ჩვეულებრივი ამბავი, გრძნობა ბევრ ქალს აქვს. მაგრამ განსახიერება, განსახიერება სადღაა? მე მინახავს ფრანგი მსახიობი ქალები, არავითარი მსგავსება! ყველაზე გულმოსასვლელი ის არის, რომ თვალთმაქცობს, კდემამოსილების სამოსელში ეხვევა, თავი ინსტიტუტის მოწაფესავით უჭირავს, რაღაც განდევილობას იჩემებს... და ყველას სჯერა, აი რა არის საწყენი!

მილოვზორ. — თავმდაბლობას მას ვერ წავართმევთ.

კორინკინა — ისევ ესარჩლები? არა, იმისი მოკრძალების ამბავი, თუ ღმერთი გწამს, სხვას უთხარი, მე კი მისი ამბავი ძალიან კარგად ვიცი.

მილოვზორ. — ეგ მეც ვიცი.

კორინკინა — მაინც რა იცი?

მილოვზორ. — უთუოდ ის, რაც თქვენ. ნილ სტრატონიჩმა მიაგმო.

კორინკინა — ჩინებულია! მე ფიცი ჩამომართვა, რომ ჩუმად ვიყო, თვითონ კი ეს ამბავი მთელი ქვეყნისათვის მოუფენია. ჭოდა, მით უკეთესი. ილაყბოს რამდენიც უნდა. მე გა-

კორინკინა — რასაკვირველია, არა გაქვს! არა გაქვს, რადგან არაფერი არ გაგეგება. ამას გარდა, ეს რა ამხანაგობაა! დეე, მაყურებელი გაგიჟდეს, თქვენ რა? თქვენ თქვენი აქტრისა გყავთ და მხარი მას უნდა დაუჭიროთ. თქვენ არც მე და არც ჩემს თქვენდამი დამოკიდებულებას არ აფასებთ. და მერე შენ, შენი! მგონი, შენ მაინც უნდა...

მილოვზორ. — აჰ, ჩემო მეგობარო, მე მეტისმეტად ღრმად განვიცდი თქვენს დამოკიდებულებას.

კორინკინა — თავის დაჭერა, ლაზათიანი მიხვრა-მოხვრა განა მე არ გასწავლენ? როგორ გეჭირა თავი? როგორ დადი-ოდნი? ერთი შენ თვითონ მითხარ, რას წარმოადგენდი შენს ცე-ნაზე? უბირ დალაქს, სხვას არაფერს.

მილოვზორ. — დიდი მადლობელი ვარ, მაგრამ რა საჭი-როა მაგნაირი სიტყვები? ეს უკვე ნამეტანია, ჩემო მეგობარო! (უნდა ხელზე აკოცოს კორინკინას).

კორინკინა — რას მენაზები! მომცილდი! (ადგება). არაფერი განსხვავებული მას არ გააჩნია, არაფერი! გრძნობა აქვს, მაგ-რამ რა არის მხოლოდ გრძნობა? ჩვეულებრივი ამბავი, გრძნო-ბა ბევრ ქალს აქვს. მაგრამ განსახიერება, განსახიერება სადღაა? მე მინახავს ფრანგი მსახიობი ქალები, არაერთარი მსგავსება! ყველაზე გულმოსასვლელი ის არის, რომ თვალთმაქცობს, კდე-მამოსილების სამოსელში ეხვევა, თავი ინსტიტუტის მოწაფე-სავით უჭირავს, რაღაც განდევილობას იჩემებს... და ყველას სჯერა, აი რა არის საწყენი!

მილოვზორ. — თავმდაბლობას მას ვერ წავართმევთ.

კორინკინა — ისევ ესარჩლები? არა, იმისი მოკრძალე-ბის ამბავი, თუ ღმერთი გწამს, სხვას უთხარი, მე კი მისი ამ-ბავი ძალიან კარგად ვიცი.

მილოვზორ. — ეგ მეც ვიცი.

კორინკინა — მაინც რა იცი?

მილოვზორ. — უთუოდ ის, რაც თქვენ. ნილ სტრატონიჩმა მიაგებო.

კორინკინა — ჩინებულია! მე ფიცი ჩამომართვა, რომ ჩუ-მად ვიყო, თვითონ კი ეს ამბავი მთელი ქვეყნისათვის მოუფე-ნია. ჰოდა, მით უკეთესი. ილაყბოს რამდენიც უნდა. მე გა-

ჩუმებას სრულიადაც არ ვაპირებ. სხვისი საიდუმლოების დაცვა მე რაში მეპრიანება.

მილოვზორ. — მერე და ეგ ხომ დიდი ხნის ამბავია; მას შემდეგ...

კორინკინა — მას შემდეგ? არა, მე შენ დღეს მოთმინებიდან გამომიყვან! ნუთუ ყველანი იმდენად უგუნურნი ხართ, რომ მისი გჯერათ? სასაცილოა სწორედ! მას რომ ჰკითხოთ, დიდხანს იყო საზღვარგარეთ, ვილაც მდიდარ ქალბატონთან, და რომ მას, მადლობის ნიშნად, მოეღო თავისი საცხოვრებელი დაუტოვა. არა, რომელი ტუტუცი დაიჯერებს ამ ამბავს? ბატონი რომ ეთქვა, — კიდევ ჰო. ვიცით, რომ არსებობენ ასეთი სულელი ბატონები, ვისი გაფცქვნა-გაძარცვა ადვილია. თორემ ქალბატონთან! საზღვარგარეთ ხშირია ქალბატონები, რომლებიც თავის სარჩო-საბადებელს სხვას უტოვებენ, მაგრამ არა თავის უბრალო თანამგზავრს. მერე და, თუ ასეთი მდიდარი ვინმე ბრძანდება, აქტიურობა რაღად დასჭირდა, რას დაძრწის რუსეთის მიწა-წყალზე და ლუკმა-პურს გვართმევს? მაშასადამე, ერთ ადგილას ყოფნა არ შეუძლია, უაუოდ რაღაც ამბავი შეემთხვა და იძულებულია სხვაგან გადაიხვეწოს; სხვაგან კი სხვა ამბავი, მესამე ადგილს მესამე შემთხვევა და აი ასე...

მილოვზორ. — გამიგონია, ბეგრ სიკეთეს სთესავსო.

კორინკინა — მითქმა-მოთქმისთვის. ფულით შეიძლება განიავარდო. ნეზნამოვსაც წაეჭომაგა. მერე რისთვის? თვითონაც არ იცის რისთვის. ეგ წაბრძანდება და ჩვენ კი, გიყვარდეს, მაგ შაქრიყინულთან ყოფნა.

მილოვზორ. — სამწუხაროა რომ ეგრე ჩქარა მიდის, თორემ მალე დაინახავდა რა ვაჟბატონიც ბრძანდება.

კორინკინა — მაგის ჩვენება ახლაც შეიძლება. გუშინ დღეს აქეთ თავში ერთი აზრი მიტრიალებს, მაგრამ კაცი ვერც ერთ თქვენგანს რომ ვერ ენდობა!

მილოვზორ. — ეჰ, რა საჭიროა მაგგვარი სიტყვები, ჩემო კარგო! თქვენთვის, რაც გნებავთ...

კორინკინა — მართლა? მაშ პატიოსანი სიტყვა მომეცი.

მილოვზორ. — კეთილშობილ, უკეთილშობილეს სიტყვას გაძლევთ.

კორინკინა — მაშ, ყური მიგდე. ნილ სტრატონიჩს მინდა ვთხოვო, რომ დღეს კრუჩინინა დაპატივოს; დღეს წარმოდგენა ხომ არა გვაქვს. დავბატივოთ ნეზნამოვიც, კარგად გამოვართოთ, მერე კი, საკმაოა ერთი კარგად მოვმართოთ და სეირს მერე უყურო.

მილოვზორ. — საქმე ის არის, რომ ნეზნამოვი შესაძლოა არც კი მოვიდეს ნილ სტრატონიჩთან. საზოგადოებას გაუბობის.

კორინკინა — არა უშავს რა, როგორმე მოვთაფლავ! შენ კი ჯერ კარგად მოამზადე, სასაუბრო რამ საგანი ჩააგონე. კრუჩინინა ერთი კარგად დაუხასიათე, რა გენაღვლება. მიეთმოეთობა აქ არ გამოგადგება. ახლა გავიგებ, მართლა მეგობარი ხარ ჩემი, თუ მტერი?

მილოვზორ. — ნეზნამოვთან ხუმრობა არც ეგრე ადვილი საქმეა. ის ჩემზე ღონიერია.

კორინკინა — ეგ შენზეა დამოკიდებული. მაშ როგორ ბედავ და სცენაზე პირველი აშუკის როლებს კისრულობ! როგორ ბედავ, თუ თავის გაწირვა არ შეგიძლია? ერთხელ მაინც, ერთხელ შენს სიცოცხლეში, ჩემთვის...

მილოვზორ. — კარგი, მეგობარო, კარგი!

კორინკინა — შენ მხოლოდ წარმოიდგინე, რა შესანიშნავი წარმოდგენა გამოვა, რა წარმტაცი! (დუდუკინი ვარედან: „შეიძლება?“). დიახ, შეიძლება. მობრძანდით, მობრძანდით, ეგ რა საკითხავია! (ჩუმად მილოვზორთვის). იქით გაიწი! (შემოდის დუდუკინი).

გამოსვლა მე-2

კორინკინა, მილოვზორი და დუდუკინი

მილოვზორ. — გამარჯობა, ნილ! (ამოიღებს დუდუკინის ჯიბიდან სათუთუნეს და რამდენიმე ცალ პაპიროსს ჯიბეში ჩაიწყობს. დუდუკინი მას ყურადღებას არ აქცევს).

დუდუკინი — (კორინკინას). როგორ მშვიდობით მოგიკითხოთ, ჩემო მშვენიერება? გუშინ გუნებაზე თითქოს არ იყავით.

კორინკინა — ძალიან კარგად ვახლავართ. ეგ საიდან წარმოიდგინეთ?

დუდუკინი — მით უფრო კარგი, თუ კარგად ხართ. კეთილი და პატიოსანი, დიდად მიხარია.

მილოვზორ. — მარაგი დიდი გაქვს?

დუდუკინი — აიღე, გეთაყვა, აიღე, ნუ მერიდები.

მილოვზორ. — მე როდი გერიდები, ნილ, გინდა მაწყენინო? (სათუთუნეს ისევ ჯიბეში ჩაუღებს).

დუდუკინი — (კორინკინას). ნება მიბოძეთ, თქვენს თოვლივით თეთრ ხელებს ჩემი უღირსი ტუჩებით დავეკონო. (ხელზე კოცნის კორინკინას).

კორინკინა — კარგად ვარ, ნილ სტრატონიჩ, სრულიად ჯანმრთელად, მაგრამ თქვენ კი, ექიმს რომ ეჩვენებოდეთ, ვგონებ, კარგს იზამთ. თქვენი მდგომარეობა თანდათან მაფიქრებს.

დუდუკინი — რატომ? ღმერთი, რჯული, არავითარ ტკივილს არ ვგრძნობ.

კორინკინა — მე კი ვშიშობ, რომ ჭკუაზე არ შეიშალოთ. წუხანდელს აქეთ ხელები არ გტკივათ?

დუდუკინი — ჰოო, მივხვდი, მივხვდი! აღტაცებული ვიყავი. თამაში ამას ჰქვია! აბა, შენ თვითონ სთქვი, პეტია, შენც სცენაზე იყავ, წარმოდგენის თუნდაც ის ადგილი, შენთან რომ იყო?

მილოვზორ. — ჩემთან, ნილ, მსახიობს თამაში არ გაუძნელდება. საამისოდ საკმაო ცეცხლი გამაჩნია.

დუდუკინი — ცეცხლი? მიუხედავად ამისა წუხელ როლი ორჯერ შეგეშალა.

მილოვზორ. — ოჰ, ნილ, ეგ სიცხარით მომივიდა. ავჩქარდი და სიტყვა უცაბედად ცუდად წამომცდა.

დუდუკინი — უცხო სიტყვებს, უცხო სიტყვებს როგორ გამოსთქვამ? ღმერთმა უწყის, რა გამოდის.

მილოვზორ. — როლები ცუდად არის გადაწერილი და იმიტომ შეშლებოდა, ნილ. ანდა ვისთვის უნდა ვეცადო? კარგი, ვთქვათ, შენ გესმის რამე, სხვებს? მათთვის, რაც უნდა თქვა, სულერთია. განა ჩვენი საზოგადოება საზოგადოებაა?

დუდუკინი — სამაგიეროდ ვისაც ესმის, განცვიფრებული რჩება და თან ფიქრობს, ღმერთო დიდებულო, საიდან აცხობს, საიდან თხზავს ასეთ სიტყვებსო! იროკეზულ ენაში თუ შეიძლება აღმოჩნდეს ასეთი ხმოვანება. ღვთის გულისათვის, ნუ გეწყინება!

მილოვზორ. — ერთი შენც! იცი რა, ნილ, მართალი ხარ, მარტო შენ როდი მეუბნები მაგას, — სხვებიც ამბობენ; მაგრამ, იცი, ჯამაგირი ისე მცირეა, რომ თავის მტკრევად არ ღირს.

დუდუკინი — თქვენ კი, ჩემო ლამაზო, ნუ გაწყრებით. მე ხომ ყოველგვარ მშვენიებას ვეტრფი. გემოვნებით დაჯილდოებულ ადამიანის მიდრეკილება მშვენიერებისადმი სულ სხვაგვარია, არაჩვეულებრივი. ხოლო მიდრეკილება ცოცხალ სილამაზისადმი სულ სხვა რამეა, აქ ეჭვები უადგილოა.

კორინკინა — ვინ მოგახსენათ, რომ ვეჭვიანობ? საწინააღმდეგოს ახლავე დაგიმტკიცებთ.

დუდუკინი — დამიმტკიცეთ, ჩემო ნეტარება!

კორინკინა — აი, თქვენ აღტაცებული ხართ კრუჩინინას თამაშით, თაიგულს თავაზობთ, საჩუქრებისთვის ფულებს აგროვებთ, — როგორ გგონიათ, ყოველივე ეს მას სჭირდება? ყოველივე ეს მისთვის უცხო არ არის და საკმარისადაც უნახავს. ის კი ვერ მოვისაზრებიათ, რომ სხვა რამით ასიამოვნოთ. ის ხომ უფარვის სასტუმროში, ქუჩყიან ოთახში ცხოვრობს; დღეს არც წაჩმოდგენა მიდის და რა უნდა აკეთოს შინ ამ საღამოს? ორი-სამი გახუნებული თეატრალი თუ ესტუმრება თავისი, უკაცრაული პასუხია, სულელური აღტაცებით და გგონია, რომ ყოველივე ეს დიდი გასართობია? თქვენ ის საზოგადოებისთვის არ გაგიცვნიათ, არტისტებსაც მხოლოდ რეპეტიციებზე ხედავს. დიდი საქმე იქნება, რომ ამ საღამოს თქვენსა ერთი კარგი ვახშამი გაუმართოთ? ოღონდ რჩეული საზოგადოება მიიწვიოთ, ნაცნობები დაპატიჟოთ. არტისტები კი ჩემ კისერზე იყოს, მე ვიცი ვისაც მოვიწვევ. როგორ მოგწონთ ჩემი აზრი? გაფს თუ არა ეს ეჭვიანობას?

დუდუკინი — ოჰ, არა, რის ეჭვიანობა! ეს კარგი აზრი მოგსვლიათ თავში, მშვენიერი აზრი! გმადლობთ, ჩემო საუნჯეე! ჰა, როგორაა?.. ქალის გონება... ქალის გონება...

მილოვზორ. — ქალის გონებავე, ვინ არ გემონება შენ!

დუდუკინი — რაც მართალია, მართალია! ეგ როგორ ვერ მოვისაზრე! იცი, პეტია, მე ვგონებ, რომ ჩვენ ძალზე უმადურნი ვართ ქალთა მიმართ, ხელებს ნაკლებ ვუკოცნით! (შემოდის შმაგა ახალი პალტოთი. ქუდი გვერდზე მოუგდია, საღამს იძლევა).

ბამოსვლა მ-3

კორინკინა, მილოვზოროვი, დუდუკინი და შმაგა

შმაგა — (დუდუკინს). მეცენატს, უგანათლებულეს მფარველს ხელოვნებისა და სხვათა მხატვრობათა, სალამი ჩვენი. აბა, მეცენატო, გვასესხეთ სიგარა.

დუდუკინი — რომელი ხარისხის?

შმაგა — მე მუდამ ერთი ხარისხისას ვეწევი.

დუდუკინი — მაინც რომელს?

შმაგა — ნასხვისარს! (დუდუკინი აძლევს სიგარას, რომელსაც შმაგა ქალადში გახვევს და ჯიბეში ჩაიდებს). ეს მერე, საუზმის დროს.

მილოვზორ. — შმაგა, ნეზნამოვი ხომ არ გინახავს? რეპეტიციებზე ხომ მოვა?

შმაგა — აბა რა ვიცი! იმისი გადია კი არა ვარ!

კორინკინა — ვგონებ, განუყრელი მეგობრები იყავით!

შმაგა — რა არ ხდება ამ ქვეყანაზე! ცოლ-ქმარი იყრება, არამც თუ მეგობრები.

დუდუკინი — უცნაურია! შავმა კატამ ხომ არ გაირბინა თქვენ შორის?

შმაგა — (ამაყად). არა, აზრებში ვერ შევთანხმდით!

კორინკინა — ნუ მაცინებთ ერთი! თქვენ და ნეზნამოვს რა აზრები უნდა გქონდეთ?

დუდუკინი — მართლაც და, შმაგა, შენთვის რაღაც არავითარი რწმენა არ შემინიშნავს.

შმაგა — შემცდარხართ, მე მტკიცე რწმენის კაცი ვარ. გუშინ ჩემდა მოულოდნელად ფული გამიჩნდა, თითქოს ქარმა დამბერა.

მილოვზორ. — ვხედავთ, ვხედავთ, ტანთ ყველაფერი ახალი გაცვია.

შმაგა — ჩემი რწმენა ასეთია: ფული ღვინოში ჩქარა გავანიავო. თქვენ კი ამბობთ, რწმენა არ გაქვსო! განა ყოველივე ეს რწმენა არ არის? ვეხვეწე გრიშკას, ვარწმუნე, რომ რესტორან „მხიარულ მეგობართა საკრებულოში“ წავიდეთ შეთქი, მაგრამ ჩემმა ჩაგონებამ არ გასჭრა.

დუდუკინი — უარი თქვა? ნუთუ?

კორინკინა — ეხ! ზღაპარს ამბობს!

შმაგა — და არა თუ არ წამომყვა, შეურაცხყოფაც მომაცენა, — სიტყვიერი და კინაღამ მოქმედებითაც; მაგრამ ღმერთმა მიხსნა. გათავდა! დაიღუპა გრიშკა ჩვენი საზოგადოებისათვის.

მილოვზორ. — სახელდობრ?

შმაგა — „მხიარულ შეგობართა საკრებულოსთვის.“ დავკარგე ჩემი საუკეთესო შეგობარი!

დუდუკინი — რამოუვიდა?

შმაგა — არაფერი, სიცოცხლის ძაფი გაუწყდა.

მილოვზორ. — როგორ თუ ძაფი გაუწყდა? რა ძაფი? რის ძაფი?

შმაგა — ერთი შენც დამიჩემე: რა ძაფი, რის ძაფი! როგორ არ იცი, რომ ყველას თავისი ძაფი აქვს. აი შენ, სცენაზედაც საყვარლის როლს ასრულებ და ცხოვრებაშიც. ჰოდა, შენ ძაფს ეგრე ეწევი. ჩვენც ჩვენი უნდა გავწიოთ.

კორინკინა — „მხიარულ შეგობართა საკრებულოში“, არა?

შმაგა — დიახაც! კაცს რომ თავისი ძაფი გაუწყდება, იმისი საქმე წასულია. ერთხელ მიღებულ წესისამებრ რესტორანს უნდა მიმართავდეს, იმან კი ფილოსოფია დამიწყო. ფილოსოფია დარდსა ჰბადებს, დარდზე უარესი კი არაფერია.

დუდუკინი — ნეზნამოვი და ფილოსოფია!.. უცნაურია!

კორინკინა — თვალი ხომ არავინ ჰკრა?

შმაგა — დიახ, თვალი ჰკრეს.

კორინკინა — ვინ?

შმაგა — გამოჩენილმა სტუმარმა.

კორინკინა — სტყუი! აქედან დაიკარგე!

შმაგა — არა, სრული სინამდვილეა.

კორინკინა — მილოვზოროვ, ეს მხედველობაში უნდა მიიღო.

მილოვზორ. — მივიღებთ.

შმაგა — გათავდა... მშვიდობით, ძვირფასო! ძაფი შენც გაგწყვეტია.

მილოვზორ. — შენ? შენ არ გიწყდება?

შმაგა — ბარეღამც, მაგრამ რა სარტაა. მინდა ჩვენს უგანათლებულეს მფარველს ერთი დახმარება მეც შევთავაზო.

დუდუკინი — გმადლობთ. რა დახმარებას მთავაზობ, მეგობარო?

შმაგა — ეჭვი მაქვს, რომ ჩვენ, პირველ სიუჟეტებს, გინდათ საუბრით გაგვიმასპინძლდეთ. ჰოდა, მინდა დახმარება აღმოგიჩინოთ: მიზოდეთ ფული, ძეხვს ვიყიდი, ნამცხვარს, ხიზილალას და კიდევ სხვა რამეს.

კორინკინა — ოღონდ, თუ შეიძლებოდეს, აქ არა.

შმაგა — ეგლა გვაკლია! საუბრე პირველ სიუჟეტებისთვისაა, მაშასადამე, იქ წავალთ, სადაც პირველი სიუჟეტები იმოსებიან.

მილოვზორ. — მაინც სად?

შმაგა — ზევით, სხვენში, საერთო ოთახში, სადაც სტატისტიკები ნიკაპზე წვერებს იწებებენ.

დუდუკინი — დამეხმარე, დამეხმარე! შენ აქ ცოტა ხანს სცენაზე მომიცადე და მე ელენა ივანოვნას წუთით ვინახულე.

მილოვზორ. — ნეზნამოვს სადმე თუ წააწყდე, აქ გამომიგზავნე.

შმაგა — (ხელს სცენისკენ იშვერს). აგერ ისიც! (დუდუკინი და შმაგა ერთად გადიან).

კორინკინა — ნეზნამოვ, ცოტახანს აქ მოდიო! (ნეზნამოვი შემოდის).

გამოსვლა მ-4

კორინკინა, მილოვზორი და ნეზნამოვი

ნეზნამოვი — რა გნებავთ?

მილოვზორ. — გამარჯვება, გრიშა!

ნეზნამოვი — გაგვიმარჯოს!

კორინკინა — რათ გაგვირბიხართ?

ნეზნამოვი — ვის გავურბივარ?

კორინკინა — თუნდაც მე!

ნეზნამოვი — (ახედ-დახედავს). მე თქვენი მხლებელი არ ვყოფილვარ. ეგ ბედნიერება არ მღირსებია.

კორინკინა — მერე, ვისი ბრალია? თქვენ თვითონ არ ისურვეთ, თავაზიანობა გაკლიათ. იმას ხომ არ ელით, რომ ქალებმა პირიქით დაგიწყონ არშიყობა? თუმცა, უნდა ითქვას, რომ ასეც ხდება, მაგრამ იშვიათად. სჯობია, რომ თქვენ თვითონ...

ნეზნამოვი — არ შემიძლია, მაგ თანამდებობაზე ვერ გამოვდგები.

კორინკინა — მაშ რომელზე გამოდგებით?

ნეზნამოვი — არც ფარეშად და არც აშეკად. ეგ, აი, ამათი ხელობაა. (უჩვენებს მილოვზოროვზე). რა გნებავთ ჩემგან?

კორინკინა — აჰ, საიმისო არაფერი; მინდოდა მეთქვა, რომ ნუ ხართ ეგრე ბაიუშივით მეთქი, ჩვენთან ერთობას ნუ გრიდებთ. აბა რა თქვენი ტოლია შმაგა?

ნეზნამოვი — უკაცრავად, უკაცრავად! შმაგას ჩამოგხსენით. ჯერ ერთი, შმაგა მხიარული და ერთობ სიტყვამოსწრებული კაცია, თქვენ კი ყველანი მოსაწყენი ხართ; მეორეც, თუმცა იგი უმაქნისია, მაგრამ გულახდილია: თავის უმაქნისობას თვითონვე გულახდილად აღიარებს, თქვენ კი ყველანი. მომიტევეთ და, თაღლითები ხართ.

კორინკინა — ღმერთო ჩემო, მე არც მითქვამს, რომ წმინდანები ვართ. ჩვენც გვაქვს ნაკლი: თაღლითობაც, სხვაც ბევრი რამ, მაგრამ მოგვიტევეთ ისევე, როგორც შმაგასთვის მიგიტევებიათ და მკაცრად ნუ განგვსჯით!

ნეზნამოვი — „მოგვიტევეთ, ნუ განგვსჯით!“ მე არც თქვენი განსჯა მინდა და არც მიტევება; სადაური მსაჯული მე ვარ! მე მხოლოდ გერიდებთ და კვლავაც მოგერიდებით, რადგან ვიცი, გამაბრიყვებთ რამეში და სასაცილოდ მერე თვითონვე ამიგდებთ!

კორინკინა — აბა, ეგ რა სათქმელია! ეგ რამ გათქმევიანათ? მილოვზორო. — აჰ, გრიშა! ეგეთი უნდობლობა რა საჭიროა.

ნეზნამოვი — ოო, ორივე ერთხმად მომესიეთ?

კორინკინა — თქვენ ისეთი ძვირფასი კაცი ხართ და შმაგას აპყობიხართ.

ნეზნამოვი — ძვირფასი? დიდი ხანია რაც ეგრე მიმღერთ? ხომ არ გიყვარვართ?

კორინკინა — ესე იგი... არ მიყვარდით.

ნეზნამოვი — ახლა შეგიყვარდით?

კორინკინა — ეს კი მეტისმეტია! განა ქალს ასე პირდაპირ ეკითხებინან? (იცინის). მოწმეებთან ვერ ვაღიარებ.

ნეზნამოვი — მაშ როგორმე უმოწმოდაც ჩაგიგდებთ ხელში.

კორინკინა — მაშინ სხვა საქმეა.

ნეზნამოვი — სთქვით პირდაპირ, ნათლად, რა გნებავთ?

კორინკინა — ვიტყვი, ვიტყვი... ოღონდ თქვენ ისეთი უცნაური და კერპი რამა ხართ... მაგრამ ამქამდ უარი არ იყოს.

მილოვზორ. — ოჰ, კარგო; მოიღე მოწყალეობა.

ნეზნამოვი — სთქვით რაღა!

კორინკინა — არც კი ვიცი როგორ დავიწყო, მეშინია თქვენი. აი რა, დღეს საღამოთი ნილ სტრატონიჩი გვეპატი-
ებდა.

ნეზნამოვი — მერე რა? მე რა საქმე მაქვს?

კორინკინა — არა, მეშინია, მართლა მეშინია. ეჰ, რაც იქნება იქნეს, გავბედავ... ჰოდა, გამაცილეთ მასთან, სა-
ღამო ერთად გავატაროთ და მერე შინ წამიყვანეთ. აბა, გა-
დაწყვიტეთ! უჰ, რა დონდლო რამა ხართ!

ნეზნამოვი — რეებს იგონებთ!

კორინკინა — ჰო, ჩემო, ჩემო კარგო ნეზნამოვი!

მილოვზორ. — რის ნეზნამოვი, რა ნეზნამოვი! გრიშა, —
მორჩა და გათავდა!

კორინკინა — კარგი, გრიშა! საყვარელო, დათანხმდი
ჩემთვის, მომანიჭე ეს სიამოვნება. (ეხვევა, კაცნის).

ნეზნამოვი — რას ჩადიხართ, რას? ეს რაღა ამბებია?

კორინკინა — სულით და გულით, გენაცვალე, სულით
და გულით.

ნეზნამოვი — თუ სულით და გულით, სხვა საქმეა. მერე
ეს? ეს ხომ თქვენი მუდმივი აშკია?

კორინკინა — ეგ სხვას გააცილებს. მეორეც ის, რომ ეგ
მომბეზრდა.

ნეზნამოვი — მაშ კარგი, რახან ეგრეა — ინებეთ, დღეს
თავისუფალი ვარ. მაგრამ იქ მოწყენილობა ხომ არ იქნება?

კორინკინა — ვეცდებით გაგართოთ. ჰოდა, ჩინებულთა,
ჩინებულთა! (ხელის ქნევით გადის).

გამოსვლა მე-5

ნეზნამოვი და მილოვზოროვი

ნეზნამოვი — მითხარ, გეთაყვა, ეს რა კომედიაა?

მილოვზორ. — არავითარი კომედია, ჩემო კარგო, არაფერი
აქ ისეთი არ არის.

ნეზნამოვი — მაშ მაინცდამაინც მე რათ ამიხირა? სხვა ვერაფერ ველარ იპოვა?

მილოვზორ. — მაინც ვინ? რეზონიორები ან კომიკები? და მერე იმათ განა კაცი ენდობა? თვითონაც არ იციან საღამომდე რა დაემართებათ. ანდა, ვინ იცის, ჩემო კარგო, იქნებ ეს ქალური ახირება იყოს, ან ჟინი; ხშირად წამოუვლით ხოლმე ისეთი რამ, რასაც მათგან სულ არ მოელი.

ნეზნამოვი — ჟინი? არ მიყვარს ჟინიანობა.

მილოვზორ. — ეჰ, ჩემო კარგო, და განა არსებობს ისეთი ქალი, რომ ჟინიანი არ იყოს?

ნეზნამოვი — მერე ყოველივე ეს შენ საიდან იცი? ბევრი გინახავს? თუ გინახავს, ვინ იცის, როგორი? შენ ქალებზე ვოდევილების მიხედვით მსჯელობ, იმ ვოდევილების, სადაც ქალი ყოველი სიტყვის შემდეგ მაყურებელს უღიმის ხოლმე და შემდეგ მღერის. ნეტავი ვიცოდე ნილ სტრატონიჩთან რა ამბავია?

მილოვზორ. — დიდი არაფერი. ვახშამი, რჩეული საზოგადოება, არტისტები. კრუჩინინაც იქნება.

ნეზნამოვი — კრუჩინინაც? რატომ აქამდე არ მითხარი?

მილოვზორ. — რა უნდა მეთქვა? ან რა არის აქ არაჩვეულებრივი?

ნეზნამოვი — როგორ ფიქრობ, კრუჩინინა ჩვეულებრივი ქალია?

მილოვზორ. — აქტრისაა, სხვა რაღა გინდა?

ნეზნამოვი — მერე და, ჩვეულებრივი აქტრისაა?

მილოვზორ. — ხალხს მოსწონს.

ნეზნამოვი — შენ?

მილოვზორ. — ამბობენ, სარა ბერნარი სჯობიაო.

ნეზნამოვი — ამბობენ! მერე და, შენ შენი თვალები, შენი აზრი არ გაქვს? მაშ მე გეტყვი: როგორც არტისტი—არაჩვეულებრივია და როგორც ქალიც—არაჩვეულებრივი!

მილოვზორ. — არტისტი, — ვთქვათ! მაგრამ როგორც ქალი... (იღიმება, მხრებს აიწურავს).

ნეზნამოვი — (მკაცრად). რა „ქალი“ დაამთავრე!

მილოვზორ. — ვფიქრობ, ისეთივე, როგორც ყველა.

ნენამოვი — მაცობ, ქებაში უხვი სულაც არა ვარ და, იცი, რას გეტყვი: მხოლოდ ერთხელ მქონდა მასთან საუბარი და გარწმუნებ, სამარცხვინოდ მიმაჩნია მას შემდეგ ჩვენი ყმაწვილური თავხედობა, ყოყორობა, საზოგადოებისადმი დაცინვით მოპყრობა; ყველა ეს იმდენად უბადრუჟად, სულის ისეთ სიმდაბლედ მეჩვენება, თვით ჩემი თავიც ისე წვრილმანად, უმწეოდ წარმომიდგა, რომ მიწა გასკდეს და თან ჩამიტანოს ის მიწაჩვენია! მის წინაშე კრინტსაც არ უნდა ვძრავდეთ, თავდახრილნი უნდა ვიდგეთ და, როგორც ცის მანანას, ისე ველოდეთ და ვისმენდეთ მის გონიერულსა და მშვიდ საუბარს.

მილოვზორ. — არა, მე ყველასთან თამამი ვარ და ასეთად დავრჩები.

ნენამოვი — უბედურო!

მილოვზორ. — ეგ ხომ ფილოსოფიაა, ჩემო კარგო.

ნენამოვი — ჩუმაღ! ისე ჩასთვალე, ვითომც შენთვის არაფერი მითქვამს, ვითომც აი, ამ კედელს ველაპარაკებოდი. თუ იცი, მითხარ, კრუჩინინა აქ კიდევ დიდხანს დარჩება?

მილოვზორ. — ვფიქრობ, რომ მალე წავა.

ნენამოვი — რატომ?

მილოვზორ. — იმიტომ... ისე... ზოგიერთი რამ გამოაშკარავდა... ძველი ცოდვები.

ნენამოვი — გიბრძანებ მისი სახელი მოწიწებით ახსენო, გესმის?

მილოვზორ. — სიამოვნებით ველაპარაკებ მოწიწებით, თუ შენ ეს ეგრე გაგახარებს, მაგრამ სხვებს ხომ პირს ვერ აუკრავ, მე მხოლოდ სხვის სიტყვებს ვიმეორებ.

ნენამოვი — თქვენ შესთხზავდით მაგ უწმაწურ კორებს და თქვენვე გაავრცელებდით; კარგად გიცნობთ, რაც შეილი ბრძანდებით. უთხარი ყველას, რომ მისი შეურაცხყოფის ნებას არავის მივცემ, რომ მე მისთვის...

მილოვზორ. — მივბეგავ? შენგან, ჩემო კარგო, ყველაფერი მოსალოდნელია!

ნენამოვი — არა, როდღი მივბეგავ...

მ ი ლ ო ვ ზ ო რ. — მაშ, აპატიებ?

ნ ე ზ ნ ა მ ო ვ ი — არა, მოვეკლავ.

მ ი ლ ო ვ ზ ო რ. — (შეშინებული). ახ, ჩემო კარგო! შენთან ლაპარაკიც არ შეიძლება. ერთი შენც, თავი გამანებე, და! ნუღარას მკითხავ, წავედი.

ნ ე ზ ნ ა მ ო ვ ი — არა, მოიცა! რაკი დაიწყე, კიდევ დაასრულე. ოღონდ მართალი მითხარ, მხოლოდ მართალი!

მ ი ლ ო ვ ზ ო რ. — ეჰ, ჩემო კარგო, შენვე მაიძულებ ვთქვა და, თუ ვთქვი რამე..

ნ ე ზ ნ ა მ ო ვ ი — არა, თქვი, თქვი! მინდა ყველაფერი ვიცოდე. ყველაფერი ამისგან არის დამოკიდებული.. რომ ავიხსნა, სულერთია, ვერას გაიგებ, აი რის მეშინია. მე ხომ ერთი ობოლ-ოხერი, უსულგულო ადამიანთა ჭაობში ჩატოვებული კაცი ვარ, ადამიანთა, რომლებიც ერთმანეთს ლუკმა-პურისთვის ჭამენ, გროშისთვის ერთურთს გაჰყიდნიან.. და ასეთ დროს უცებ თანაგრძნობას, ალერსს ვიღებ და ვისგან? ქალისაგან, რომლის სახელიც ეგრე კიაფობს, რომლის სახელიც განთქმულია მთელ ქვეყანაში და რომელთან საუბარიც ყველას ზედნიერებად მიაჩნია. არ დამიჯერებ, არ დამიჯერებ, რომ ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიგრძენ დედის ალერსი.

მ ი ლ ო ვ ზ ო რ. — ჩემო კარგო, ეს ხომ გატაცებაა. შენ, ჩემო გრიშა, როგორც გატყობ, შეყვარებული ხარ!

ნ ე ზ ნ ა მ ო ვ ი — არა, როგორც ვხედავ, შენთან ლაპარაკი არ შეიძლება. ერთი წამით მაინც დასტოვე ეგ შენი სულელური ამპლუა! ეს სიყვარული როდია, — მოწიწებაა.

მ ი ლ ო ვ ზ ო რ. — შენ ამბობ, რომ დედის ალერსი პირველად ვიგრძენიო, საქმეც ის არის, რომ სწორედ მანდ ცლები.

ნ ე ზ ნ ა მ ო ვ ი — რას ამბობ, რა სისულელეებს როტავ?

მ ი ლ ო ვ ზ ო რ. — დედის ალერსი სადაც გინდა იქ ეძებე, მხოლოდ მასთან კი არა.

ნ ე ზ ნ ა მ ო ვ ი — ფრთხილად! ჩემს მოთმინებას საზღვარი აქვს.

მ ი ლ ო ვ ზ ო რ. — ჰოდა, მთავარი ბრალდება კიდევც ის არის, რომ შეილებს უპატრონოდ ტოვებდაო.

ნ ე ზ ნ ა მ ო ვ ი — როგორ თუ ტოვებდა?

მილოვზორ.—სწორედ ამ ქალაქში, ამ რამდენიმე წლის წინათ, თავისი შვილი უნუგეშოდ, უპატრონოდ დაუგდია დავილაც კაცს გადაეცემა. ამბობენ იმასაც, რომ მას ამგვარი რამ არაერთხელ ჩაუდენია.

ნეზნამოვი — მერე ბრალს ვინ სდებს?

მილოვზორ.—ვინ და ყველანი, ჩემო კარგო. რაღა შორს წავიდეთ, თუნდ თვით ჩვენს ნილ სტრატონის ჰკითხე. ამ საგანზე მასთან მას უსაუბრია და თვითონვე გამოტეხილა.

ნეზნამოვი — მოიცა, მოიცა! ეს შეუძლებელია! არა, არა, ეს მას არ ჰკავს. მის ხმაში, საუბარში, მიმოხვრაში იმდენი გულწრფელობაა, იმდენი სითბო გულისა...

მილოვზორ.—რომ დაღბი, არა? აქტრისაა, კარგი აქტრისა!

ნეზნამოვი — აქტრისა, დიახ... მაგრამ შენი მაინც არ მჯერა...

მილოვზორ.—მეც არ გარწმუნებ, როგორც გენებოს!

ნეზნამოვი — (დაფიქრდება). აქტრისა! აქტრისა! მაშინ სცენაზე ითამაშოს! თვალთმაქცობაში ფულს იქ იხდიან. აქტიორობა ცხოვრებაში, გათამაშება უბრალო, გულით მიხედობილ ადამიანების წინაშე, იმ ადამიანების წინაშე, რომლებიც სიმართლეს მოითხოვენ... ამისათვის იგი უნდა აწამო... დასაჯო... ნუ გვატყუებთ! მოგვეცი თ სიმართლე, წმინდა სიმართლე! აქტრისა! (ჩაფიქრდება). შმაგა სად არის?

მილოვზორ.— ზევით, საპირფარეშოში. არაყს სვამს.

ნეზნამოვი — კარგი საქმეა. ოჰ, როგორ მინდა, რომ ყოველივე ეს ტყუილი აღმოჩნდეს!

მილოვზორ.— მართალი რომ იყოს?

ნეზნამოვი — მაშინ ეკეთი სულელური ნდობისათვის ჩემ თავს მევე დავსჯი. მაგრამ ჩემთან ერთად, იცოდე, ზოგ ვინმესაც მოხვდება!

(ნეზნამოვი გადის. შემოდის კორინკინა).

გამოსვლა მე-6

მილოვზორი, კორინკინა, შემდეგ კრუჩინინა

კორინკინა — გასწი, აქედან გამეცალე! კრუჩინინა მოდის, დასვენება უნდა. ჰა, რაო ნეზნამოვმა?

მილოვზორ. — იმოქმედა, გასჭრა ჩემმა სიტყვებმა.

კორინკინა — კიდეც იმიტომ გამოვიდა აქედან გაწუწუ-
ლივით. მაშ წარმოდგენა ამაღამ უსათუოდ შედგება.

მილოვზორ. — დიახ, საღამო სერიით დასრულდება. თავის
ეფექტებს ნუნამოვი ბოლოსთვის ინახავს ხოლმე. (გადის. შემო-
დის კრუჩინინა).

კორინკინა — მობრძანდით! მე ეტლი მიცდის. მოგვიტე-
ვით, რომ ყველა საპირფარეშო ვერე უვარგისია. ჩემთან დას-
ვენება მაინც შეიძლება, სხვასთან კუდსაც ვერ მოიქნევ.

კრუჩინინა — დიახ, ჩემთან, იქ, მოუხერხებელი საპირფა-
რეშოა, თანაც ქარი ქრის.

კორინკინა — აქ ნაცნობების მიღებაც შეგეძლებათ.

კრუჩინინა — მე არავინ მყავს.

კორინკინა — ვინ იცის, სცენაზე ხალხი მიდი-მოდის,
შეიძლება ვინმე შემოვიდეს! თქვენ წასაყვანად მილოვზოროვი
შემოვიღის.

კრუჩინინა — ვიცი, უკვე ვთხოვე. (კორინკინა ხელს ართმევს
და გადის. კრუჩინინა მაგიდასთან ჯდება, როლს ამოიღებს და კითხუ-
ლობს. შემოდის მუროვი).

გამოსვლა მ-7

კრუჩინინა, მუროვი

(კრუჩინინა მობრუნდება, დგება სკამიდან და საღამის პასუხად მუროვს
თავს ჩუმაღ დაუკრავს).

მუროვი — (ღიმილით). მუროვი, გრიგორი ლეოვიჩ! მაჭვს
პატივი გამოგეცნაუროთ. (თავს უკრავს). გუშინ ორჯერ გახლ-
დით სასტუმროში, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, შინ არ ბრძან-
დებოდით. გუშინწინ თეატრში გახლდით; იმ შთაბეჭდილების
გამო, რომელსაც თქვენი განსახიერება სტოვეს მაყურებელ-
ზე, არას ვიტყვი. უჩემოდაც კარგად მოგეხსენებათ. მე მხო-
ლოდ იმ განსაცვიფრებელ მსგავსების შესახებ მინდა მოგახსე-
ნოთ, რომელიც თქვენსა და ერთ უწინდელ ჩემ ნაცნობ ქალს
შორის არსებობს.

კრუჩინინა — მერე რა ვნებავთ?

მუროვი — მინდა ვიცოდე, ვცდები თუ არა? თეატრის

განათება, ფერუმარული, გრინი,—ყოველივე ეს ისე სცვლის ადამიანის იერს და სახეს, რომ შესაძლოა სწორედ იქ დაინახო მსგავსება, სადაც სულ არ არსებობს.

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — ახლა მე ფერუმარული როდი მცხია. რას ჰპოვებთ?

მ უ რ ო ვ ი — კიდევე უფრო განცვიფრებული ვარ... ბუნების ასეთი თამაში შეუძლებელია. როდესაც თქვენ გიყუბრებთ, ან თვალებს არ უნდა დაეუჯერო, ანდა, მომიტყვევთ და, ერთი შეკითხვა ენის წვერზე უნებლიედ მადგება.

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — ბრძანეთ! შემეკითხეთ!

მ უ რ ო ვ ი — თქვენ... ლიუბოვ ივანოვნა ოტრაძინა ხომ არ ბრძანდებით?

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — დიახ, ლიუბოვ ივანოვნა ოტრაძინა გახლავართ.

მ უ რ ო ვ ი — მერე და აქ საიდან გაჩნდით? ამდენ ხანს სად იყავით? რას აკეთებდით, როგორ ცხოვრობდით?

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — ამისი ცოდნა თქვენთვის, ვგონებ, საჭირო არ უნდა იყოს, რადგან ეს თქვენ არ შეგეხებათ.

მ უ რ ო ვ ი — მაგრამ რათ შეირქვით სხვა სახელი? რათ მოგვევლინეთ სხვისი გვარით?

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — სცენაზე გაველ, ახალ ცხოვრებას შევუდექი და გვარიც ამიტომ გამოვიცვალე. ეს ჩვეულებრივი ამბავია. დედაჩემის სახელსა და გვარს ვატარებ. მორჩით შეკითხვებს?

მ უ რ ო ვ ი — გინდათ თავიდან მომიშოროთ, სიტყვა შესწყვიტოთ და კარზე მიმითითოთ?

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — არა, ველი შეკითხვებს როდის მორჩებით.

მ უ რ ო ვ ი — მოვრჩი, გავათავე.

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — მაშ, ახლა მე გეკითხებით, სად არის ჩემი შვილი? რა უყავით მას?

მ უ რ ო ვ ი — აკი მოგწერეთ, რომ მოკვდა მეთქი. განა წერილი არ მიგიღიათ?

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — დიახ, მივიღე, მაგრამ მომატყუეთ! ის გამოკეთდა და, როდესაც მის სიკვდილის ამბავს მწერდით, ის ცოცხალი იყო.

მ უ რ ო ვ ი — თუ კი იცოდით, რათ არ მოხვედით, არ წაიყვანეთ?

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — მხოლოდ გუშინ გავიგე. მაშინ ვერც მოვი-
დოდნი, მძიმე ავადმყოფი ვიყავი, აქედან მომაკვდავი წამიყვა-
ნეს. ყოველივე ეს თქვენც იცოდით. რათ მომატყუეთ?

მ უ რ ო ვ ი — ერთი საქციელი მეორეს იწვევს. ვშიშობდი არ
დაბრუნებულყავით, რადგან ეს მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა,
ჩემი ცოლის ყურამდე მივიდოდა და პირველ ხანებში ერთმა-
ნეთს წაგვკიდებდა.

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — დიახ, სულერთია, გათავებული საქმეა. რა
უყავით ჩემ შვილს? ოღონდ მართალი სთქვით, რადგან ცოტა
რამ მეც ვიცი.

მ უ რ ო ვ ი — ერთი შეძლებული ოჯახი გამოფიქრნით და იმას
მივეციტო ~~არსაზრდად~~. თქვენ რომ მედალიონი დამიტოვეთ,
გულზე დაკვიდე.

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — მაშ მედალიონიც ზედ აქვს? შიგ მისი თმე-
ბია, პატარა ბარათიც შიგ ჩავუდე.

მ უ რ ო ვ ი — რა ბარათი?

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — მისი დაბადების დღე ჩავწერე.

მ უ რ ო ვ ი — სხვა არაფერი?

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — აღარ მახსოვს.

მ უ რ ო ვ ი — ეგ არ ვიცოდი. მეგონა, უბრალო ოქროს ნივ-
თი იყო და არავითარ საბუთს არ წარმოადგენდა. მაგრამ ეს
ახლა სულერთია. დამპირდნენ, თავის დღეში არ მოვხსნით
მედალიონსო. ~~ღვინქილა~~ რამე თუ ეგონათ, ან ქუდბედი და
მასში მისტიურს რასმე ძალას კვრე უდნენ, ანდა, ვინ იცის,
იქნებ საკმელიც ეგონათ, ბავშვებს თიაქარის საწინააღმდეგოდ
გულზე რომ დაჭკიდებენ ხოლმე.

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — სხვა? მერე?

მ უ რ ო ვ ი — ზრდიდნენ, ასწავლიდნენ, დღითიდღე მდიდრ-
დებოდნენ, სავაქრო ქსელი გააფართოვეს, რამდენიმე ოლქ-
ში საკუთარი მალაზიებიც ჰქონდათ. აიშენეს დიდი სახლი, არ
ვიცი, ვგონებ, სიზრანში, ირბითში, თუ სამარაში, ან იქნებ
ტაგანროგში და საცხოვრებლად იქ გადავიდნენ.

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — დიდი ხანია მას შემდეგ?

მ უ რ ო ვ ი — ყოველივე ეს რვა წლის წინათ მოხდა.

კრუჩინინა — მას შემდეგ მისი რაიმე ცნობა თუ გქონდათ?

მუროვი — არა, თვითონვე მთხოვეს შემეწყვიტა ყველანი-
ირი დამოკიდებულება. ჩვენ ვზრდით, ჩვენი გვარი მივეციოთ,
ჩვენი შემკვიდრე იქნება და თავი დაანებეთო. მართლაც და,
სწორედ რომ განესაჯოთ, ამაზე კარგი რა უნდა უსურვო უსა-
ხელო ბავშვს. შემედლო დამშვიდებული ყყოფილიყავ, რადგან
მისი ბედი ცხრე სახარბიელო შეტუნა.

კრუჩინინა — იმ ვაჟის გვარი თუ იცით?

მუროვი — დამავიწყდა. ვგონებ, ივანოვი იყო, თუ პერე-
კუსინინა. რალაც მსგავსი ამ გვარებს შორის... არ მახსოვს,
მგონი, პოდტატარნიკოვი. თუ ეგრე გნებავთ, შემიძლია ცნო-
ბები შეგიკრიბოთ. აქერთი კაცი ჩამოვიდა. იმ მხარის ვაჟებს
ყველას იცნობს და დღესვე გაცნობებთ. ნილ სტრატონიჩთან
ხომ იქნებით?

კრუჩინინა — დიახ, ვიქნები.

მუროვი — ნებას მიბოძებთ რამდენიმე სიტყვა კიდევ
მოგახსენოთ?

კრუჩინინა — ბრძანეთ!

მუროვი — იმ მწუხარებისათვის, რაც მოგაყენეთ, სასტი-
კად დავისაჯე. ჩემმა ცხოვრებულმა მეუღლემ, მართალია, სიცოც-
ხლე გამიმწარა, მაგრამ აუგად მაინც არ ვახსენებ, რადგან
ამ სასჯელის ღირსი ვიყავი და მეორეც ის, რომ დიდი ქონე-
ბა დამიტოვა. ჩემი გაუხარელი ცხოვრების შემდეგ თქვენმა
ხილვამ ისევე აღაგზნო სული ძველი ვნებით. მე ყმაწვილი რო-
დი ვარ, რომ ჩემს გრძნობას ვაზვიადებდე. აზრთა აწონ-და-
წონვა კარგად ვისწავლე. რახან ვამბობ აღმაგზნო მეუჭი, მაშა-
სადამე, მართლაც აღმაგზნო და სხვა სიტყვა ამის გამოსათქმე-
ლად არ არსებობს. მხოლოდ ახლა ვგრძნობ, რა ბედნიერება
დავკარგე! ეს ბედნიერება ისე დიდია, რომ არავითარი მსხვერ-
პლის წინაშე არ შევდრკები; თქვენ მაჯობეთ, დამამარცხეთ
და გთხოვთ პატიებას, გთხოვთ შერიგებას. შეგრიგდეთ! დამარ-
ცხებული ვარ და რა პირობაც გნებავთ მიკარნახეთ, — ყველა-
ფერში ხმის ამოუღებლად დაგმორჩალდებით.

Handwritten notes and signatures in Georgian script are scattered across the page, including 'კრუჩინინა' in the top left and 'მუროვი' in the middle right.

კრუჩინინა — რა მწარეა მაგ სიტყვების მოსმენა! თქვენ არ დააფასეთ ნორჩი, უმანკო გრძნობა სიყვარულით სავსე ქალიშვილისა და ახლა ვილაც ხანშიშესულ დედაკაცის წინაშე, რომელსაც უკვე უცხოვრია, სული გაცყინვია, მის წინაშე თავს იმდაბლებთ, იმდაბლებთ მხოლოდ იმიტომ, რომ ის ცნობილი ადამიანია.

მუროვი — მაგრამ, ლიუბა, ნუთუ იმ სიყვარულის ნაპერწკალი შენში არ დარჩა?

კრუჩინინა — ლიუბა აქ აღარ გახლავთ, აქ თქვენს წინაშე ვლენა ივანოვნა კრუჩინინა დგას.

მუროვი — შენ ისე მდიდარი იყავი გრძნობით, სიყვარულით, ისეთი უხვი!

კრუჩინინა — მაგ სიტყვების მნიშვნელობა მე აღარ შესმის, გადავეჩვიე.

მუროვი — უკაცრავად! მე ქალს ვიცნობდი, ახლა კი ჩემს წინ აქტრისაა. მაშ სხვანაირად ვილაპარაკებ, ხომ არ ინებებთ, რომ ჩემს მამულში დამეწვიოთ? ხომ არ ინებებთ იქ დარჩენა და დიასახლისობის? დაბოლოს, ხომ არ ინებებთ ატაროთ ქალბატონ მუროვას სახელი?

კრუჩინინა — ყველა მაგ შეკითხვებზე შეკითხვითვე მოგმართავთ: სად არის ჩემი შვილი? და ვიდრე მას არ ვნახავ, ჩვენ შორის სხვაგვარი საუბარი შეუძლებელია. აი, ჩემი სცენაზე გასვლის დროც დადგა. (გადის).

მუროვი — ნახვამდის! (უკან მისდევს). მე მომთმენი ვარ და იცოდეთ, რომ იმედს არასოდეს არ ვკარგავ. (გადის. შემოდის ნეზნამოვი მოღუშული. კართან შედგება და სცენას აკვირდება).

გამოსვლა მე-8

ნეზნამოვი, შემდეგ შმაგა

ნეზნამოვი — შმაგა! შმაგა! მოდი, აქ მო-მეთქი! არ გეყურება?

(შმაგა გარედან: „მითხარ, ხომ არ მცემ?“).

არა, შენც ერთი! შენზე ხელის გასვრა რაში მჭირდება!

(შმაგა შემოდის. ნეზნამოვი ხელს საყელოში ჩაავლებს).

თქვი, ახლავე მითხარ, იქ ისინი რას ჩურჩულებდნენ, ჩემზე რას ამბობდნენ?

შმაგა — დაიცა, ნუ მახრჩობ! ხელი ცოტა გამიშვი, ცოტა ამომასუნთქე და ყველაფერს გეტყვი, არაფერს დაგიმაღავ.

ნეზნამოვი — (ხელს გაუშვებს). მაშ თქვი!

შმაგა — რას ამბობდნენ? რასა და სისულელეს.

ნეზნამოვი — ეგ ხომ მეც ვიცი.

შმაგა — ჰოდა, თუ იცი, რაღა გაჯავრებს?

ნეზნამოვი — ნუ ^{კამათობ} კამათობ, თქვი რა გაიგონე.

შმაგა — მართალი გითხრა, ყური არ დამიგდია. ან რისთვის უნდა დამეგდო ყური? სისულელის მეტს რას გავიგონებდი და ეგ ავლადიდება ხომ შინაც ბევრი გვაქვს.

ნეზნამოვი — ~~კრუჩინინასთან ერთად~~ ^{მახსენებდნენ}, რაღაცას ჩურჩულებდნენ.

შმაგა — ჩურჩულებდნენ, თუ ხმამაღლა ამბობდნენ, სულერთია, სისულელეს ამბობდნენ...

ნეზნამოვი — ჰოდა, დამცინიან! [საშინელებაა, აუტანელია! მერე ^{ნუ} ხომ გულწრფელი, ღრმა გრძნობა გამოგამჟღავნებ? ^{ნუ} ეგ, ნუცა რისთვის ან რაით ვუამბე ყველაფერი?

შმაგა — ჰოდა, საქმეც ეგ არის.

ნეზნამოვი — ^{აქვე} კიდევ ეს საღამოც ნილ სტრატონის თან! ^{რომ} რომ იცოდნენ, რა ამბით ^{გაზაღებდნენ} გაზაღებდნენ. ნეტავ ^{საი} საი უნდა იყოს ^{რამე} რამე, ^{ან} ან სისაძულეს ხომ არ აწყობენ? ხომ არ უნდათ, რომ პატიოსანი დედაკაცი, ღირსი ღრმა პატივისცემისა, გამასხარად ^{გაეღონ} გაეღონ?

შმაგა — შენ ამბობ — ღირსი პატივისცემისა?

ნეზნამოვი — (თავზე ხელს იტაცებს). ეჰ! ^{თავითონ} თავითონ არ ^{არა} არა ^{ეს} ეს პატივისცემისა თუ ^{საზღო} საზღოა? ^{წყაჩხუბანის} ~~წყაჩხუბანის~~

შმაგა — ჰოდა, თუ არ იცი, ნურც ეტმასნები, ნურც იმათ და ნურც იმას.

ნეზნამოვი — მოიცა! წარმოიდგინე, ღარიბ-ღატაკმა კაცმა, კაცმა, რომელსაც გროშიც არ უნახავს, მოულოდნელად ერთი გროვა ოქრო იპოვნა...

შმაგა — მაგას რაღა აჯობებს.

ნეზნამოვი — მოიცა! და უცებ ოქროს მაგიერ ნაგავი აღმოჩნდა, მაშინ? ^{ხომ} ხომ

შმაგა — მაშინ, ის კაცი თუ ისე ხარბი ყოფილა, რომ ოქროს ეგრე მოლანდებია, ასეთი ფერისცვალების შემდეგ სხვა

რა დარჩენია გარდა იმისა, რომ ლურსმანზე გამობმული თოკით მარყუჟი გამოსკვნას და თავზე ჩამოიცვას.

ნ ე ზ ნ ა მ ო ვ ი — მაშ, ყური მიგდე!

შ მ ა გ ა — (ხელს ჩაიქნევს). დაიწყო ან ლა ამანაც ფილოსოფია! არა, გრიშა, არა, მაგ შენი ფილოსოფიით, თუ ძმა ხარ, გული ნუ გამიწყალე, ნუ მომქანცე!

ნ ე ზ ნ ა მ ო ვ ი — ხომ არის რალაც განსხვავება კეთილსა და ბოროტს შორის?

შ მ ა გ ა — ამბობენ, რალაც განსხვავება უნდა იყოსო, მაგრამ ეს ჩვენი საქმე სულაც არ არის. ნუ, მაგ შენი ფილოსოფიით ბოლოს ნუ მიღებ, თორემ, იცოდე, მეც შენსავით დავმწუხრდები. ეჰ, მაგას სჯობია „მხიარულ ახალგაზრდათა საკრებულოში“ წავიდეთ.

ნ ე ზ ნ ა მ ო ვ ი — ოო, ბარბაროსები! რას უშვრებიან ამ ჩემს საწყალ გულს? მაგრამ ვიღაცა პასუხს გამცემს ჩემი ტანჯვისათვის, ან ისინი, ანდა ის!.. (კარისკენ მიდიან).

მოქმედება მეოთხე

მთვარიანი ღამე. მოედანი დიდ მემამულის [ბაღში, რომელიც ბებერი ცაცხვებით არის შემოფარგლული. მოედანზე მძიმე ფეხიანი თუჯის მერხები. სცენაზე გამოდის დიდი სახლის ტერასა მხვიარა მცენარეებით, ფათალოებითა და კასრიან ყვავილებით. ტერასაზე სახლის რამდენიმე კარი და ფანჯარა გამოდის.

გამოსვლა 1-ლი

ერთ მერხზე ნ ე ზ ნ ა მ ო ვ ი და მი ლ ო ვ ზ ო რ ო ვ ი სხედან, მეორეზე შ მ ა გ ა, რომელიც ხან მთვარეს შეჰყურებს, ხან აქეთ-იქით იცქირება, ოხრავს და ხან ერთ პოზაში დგება და ხან მეორეში

მი ლ ო ვ ზ ო რ. — შმაგა, რათ ოხრავ, რით ხარ ეგრე უკმაყოფილო, ჩემო კარგო?

შ მ ა გ ა — მთვარეზე ვარ გაჯავრებული.

მი ლ ო ვ ზ ო რ. — რატომ?

შ მ ა გ ა — რატომ და რას მიცქერის? მერე, რა სულელური გამომეტყველება აქვს! სწორედ პირმრგვალ ვოგოს ჰგავს, ვოგოს, რომელიც ჭიშკართან პირდაღებული დგას, იღრიკება და თვითონაც არ იცის, რა აცინებს.

მილოვზორ. — შენ, ჩემო კარგო, პოეზიის არა გაგვეგება
რა. მე კი ვზივარ და ვფიქრობ: ჰეი, რა ლამეა!

შმაგა — რა კარგია ასეთ ლამეს...

მილოვზორ. — ვოლგაზე სეირნობა?

შმაგა — არა, ტრაქტირში ჯდომა.

მილოვზორ. — რა სისულელეა! ტრაქტირში ჯდომა ზამ-
თარშია კარგი, როცა გარეთ ქარიშხალია, ყინავს. ჩვენი სახ-
ლები მეტ ნაწილად ცივია ან ნესტიანი, ტრაქტირში კი თბი-
ლა, სინათლეა.

შმაგა — მზიარულებაც არის.

მილოვზორ. — ზაფხულში იქ ცხელა, ბუღია, ჩემო კარგო.

შმაგა — შენც უბრძანე, რომ ფანჯარა გამოაღონ, სუფთა
ჰაერიც გექნება და პოეზიაც! მთვარე პირდაპირ შენს თეფშში
იციქობა, ფანჯარასთან იასამანი ან ცაცხვი ყვავის, ნარინჯის
სუნი ყნოსვას ატკბობს...

მილოვზორ. — როგორ, ცაცხვისგან?

შმაგა — არა, ბროლის სუროდან, სუფრაზე აქ დროს რომ
გიდგას. მამლები ყივიან, ის მამლები, რომლის მოხრაკეაც
ჯერ ვერ მოუსწრიათ.

მილოვზორ. — მამლები! პროზაა, ჩემო კარგო. შენ, ალ-
ბათ, ბულბულები გინდოდა გეთქვა!

შმაგა — ეგ ფულზე კიღია. ფული თუ ბლომად გაქვს,
ბულბულებამდე იჯდომები, თუ ცოტა, მამლის ყივილამდე.
ბულბული რიქრაჟს უგალობს, სტვენს და სტვენს საღამო ხანს
და მერე ისევ რიქრაჟისას ჩაარაკრაკებს თავის სიმღერას.
მამალი კი მხოლოდ შუაღამეს სცნობს, ის ჩვენი ხრონომეტ-
რია, იყივლებს თუ არა, საწყალი კაცი უნდა ადგეს და ტრაქ-
ტირი დასტოვოს, თორემ კინწისკვრით გააგდებენ. (მთვარეს
შესცქერის და თან ოხრავს). არა, უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ნამ-
დვილი სატანჯველია! მდიდარ კაცთან სტუმრად მოვსულვართ,
ბატონო! მერე არ იკითხავთ რისთვის? იმისთვის, რომ ბუნე-
ბას შევხაროდეთ? იჯექ ეგრე და მთვარეს შეჰყურე ასე, რო-
გორც მგელი შესცქერის ხოლმე ზამთრის ღამეში. ეგრე მგე-
ლიც უცქერის მთვარეს და ბოლოს ერთს ისე გულშემზარა-
ვად შეჰპმუფლებს! გრიშა, მოდი, ჩვენც ავღმუფლდეთ, ორ-

ხმად, ჰა? შენ იღმუველე და მე ბანს გეტყვი. იქნებ მიხვდეს რასმე ის ჩვენი მასპინძელი.

ნეზნამოვი — გეტყობა, არც ისე ცუდად უნდა გრძნობდე თავს, რახან ხუმრობა შეგიძლია. მე კი, ძმაო, ძალიან ცუდად ვარ.

შმაგა — ჰოდა, მეც არა ნაკლებ.

ნეზნამოვი — ბუფეტთან მიხვალ თუ არა, დარდიც გავგეღის.

შმაგა — შენ ხელს რა გიშლის?

ნეზნამოვი — ეგ საშუალება მე არ მიშველის, პირიქით, უფრო ცუდად იმოქმედებს.

მილოვზორ. — არა, მაგას ნუ მეტყვი, ჩემო კარგო!

შმაგა — შენც სცადე, ბრიყვო, სცადე!

ნეზნამოვი — ნუ მეხვეწები! მგონი, მართლაც ვცდი.

შმაგა — მართლაც და, აბა ეს რას გავს? კაცმა სტუმრები დაპატიჟა და გართობა ველარ მოუხერხებია.

მილოვზორ. — არა, ამ საქმეში შენ სტუმარი ხარ, ჩემო კარგო, ნიღმა თავისი საქმე კარგად იცის. დარბაისელნი ბანქოს თამაშობენ, ახალგაზრდები მანდილოსნებთან საუბრობენ.

შმაგა — აქტიორები?

მილოვზორ. — აქტიორებს რაღა გართობა უნდათ. საზოგადოება თვითონ მათ უნდა გაახალისონ.

შმაგა — ჰოდა, თუ ეგრეა, ჯერ შენ დაგვექოქე, როგორც წესია, ხმის აწევაში დაგვეხმარე, თან ფანტაზიაც მოიმარჯვე, და მაშინ ჩვენც გავახალისებთ საზოგადოებას.

მილოვზორ. — ყველაფერს თავისი წესი და რიგი აქვს, ჩემო კარგო: აი, ჩაისაც მიირთმევენ. არ გინდა?

შმაგა — არა, ჩაი თქვენ მიირთვით! (ონრავს. შემოდის კორინკინა).

გამოსვლა მე 2

ნეზნამოვი, მილოვზოროვი, შმაგა და კორინკინა

კორინკინა — ბატონებო, რათ გაუბრძნებოთ საზოგადოებას? (ნეზნამოვს). ეგრე გაფხორილი მანდ რას უზიხართ? რატომ ჩვენთან არ მოხვალთ?

ნეზნამოვი — მე რაღასთვის დაგჭირდით?

კორინკინა — კრუჩინინამ ორჯერ გიკითხათ. თქვენზე ძალიან კარგი აზრისაა.

ნეზნამოვი — კარგი აზრისაა თუ ცუდის, ჩემთვის ერთია. არ მიყვარს, როცა ჩემზე ლაპარაკობენ. ეჰ, ნეტავი თავს დამანებებდეთ! სალაპარაკოდ თითქოს სხვა არა გქონდეთ რა!

კორინკინა — რა მიუკარებელი რამა ხართ! თქვენზე კარგის თქმაც არ შეიძლება? კრუჩინინას აზრით, თქვენ ნიკით სავესე, მაღალი სულით დაჯილდოებული კაცი ყოფილხართ.

შმაგა — აქტიორისთვის ეგ სულ ზედმეტი ზარგია.

მილოვზორ. — კომიკებისთვის, რა თქმა უნდა, მაგრამ სხვა ამპლუაც ხომ არსებობს?

შმაგა — მაგალითად, შენ. ყოველდღე შეყვარებულის როლს ასრულებ, ყოველდღე სიყვარულის ახსნაში ხარ და სულის ნატამალიც არ არის შენში.

მილოვზორ. — აქაური საზოგადოებისთვის მაინც კმარა, ჩემო კარგო.

შმაგა — მაყურებლისთვის კმარა, მაგრამ საშინაო მოხმარებისთვის, ძმაო, მაინც ცოტაა.

ნეზნამოვი — მინდა ვიცოდე, ნამდვილი, დიდი არტისტები ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაში, როგორი არიან? ნუთუ იქაც ისევე თვალთმაქცობენ, როგორც სცენაზე?

კორინკინა — უთუოდ. დიდი გამოცდილებაა საჭირო, სიტოცხლის მანძილი უნდა გაიარო, რომ ნამდვილი გრძნობა ყალბისაგან გამოარჩიო.

ნეზნამოვი — მაშ, დაბერებას უნდა ვუცადოთ, არა? მანამდე ყველა უნდა გატყუებდეს, სულელად გთვლიდეს. მაღლობას მოგახსენებთ. ისევე ისა სჯობს, რომ არავინ არ გწამდეს.

კორინკინა — დიახ, გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ მგერვა.

შმაგა — სული მართლაც აქვს ნეზნამოვს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ მოსაზრება აკლია, არ იცის რა უყოს მას, ან რაში მოიხმაროს.

ნეზნამოვი — შენ მართალს ამბობ.

შმაგა — იცით, ნინა პავლოვნა, მინდა ვიცოდე, თქვენ თუ გაქვთ სული?

კორინკინა — ეგ რაღა სისულელეა?

შმაგა — გეთანხმებით, რომ მე, აქტიორი შმაგა, კეთილ-შობილ სახლში შესაშვები არა ვარ. ჰოდა ნურც შემისვებენ, არ მეწყინება, მაგრამ თუ შემისვით, კიდეც მეტიც — დამპატიყეთ, მაშინ კეთილ ინებეთ და მხედველობაში მაიღეთ ჩემი ყოფაცხოვრება, ჩემი ჩვეულებანი, და თუ სულიც გაქვთ, უბრძანეთ რომ...

კორინკინა — მესმის, მესმის, სულიც მაქვს და ბრძანებაც გაცემულია. იმიტომაც მოველ, მოველ, რომ დაგიწვიოთ.

შმაგა — ასეთი სასიამოვნო წინადადებით მოსულხართ და აქამდე სდუშხართ! კიდეც კარგი, მოუთმენლობით რომ არ გარდავიცვალე, თორემ სისხლის სამართლის საქმე შეიქნებოდა. (მივა ნუნამოვთან). გრიშა! დანებე თავი ფილოსოფიას, წავიდეთ! რაში გვეპატნავება პოეზია, ბუნება, მთა-ბარი, ტყე და მთვარე! ჩვენ ხომ ველურება არა ვართ, განათლებული ხალხი ვართ!

ნუნამოვი — მართლაც და, ძმაო, ერთობ დიდი მოწყენილობაა! მაშ წავიდეთ, განათლებულო კაცო, წავიდეთ ბუფეტისაკენ! წავიდეთ იქით, საითაც მიმიწევს ბედისწერა!

კორინკინა — (მილოვზორვს ჩუმად). მგონი, ატაცებულია. ერთხელ კიდეც კარგად შეაფუცხუნეთ.

მილოვზორ. — ვეცდები. (ხველანი სახლისკენ მიდიან. წინ კრუჩინინა და დუდუკინი შემოეყრებათ).

გამოხვლა მმ-3

ნუნამოვი, შმაგა, მილოვზოროვი, კორინკინა,
კრუჩინინა და დუდუკინი

კრუჩინინა — საით, ბატონებო, მე ხომ არ გამირბიხართ?
კორინკინა — ოჰ, არა, ახლავ დაბრუნდებიან. მე თვითონ მოგვევროთ.

შმაგა — არის არტისტის ცხოვრებაში წუთი, როცა იგი მშვილდით გატყორცნილ ისარივით მიჰქრის მიზნისაკენ. მისი შეჩერება მაშინ ტყუილი შრომაა!

კრუჩინინა — მერე და, როდის დგება ამგვარი წუთი?

შმაგა — მაშინ, როდესაც დანა-ჩანგალი ახმაურდება და დაიძახებენ: საუზმე მზად არისო.

ნეზნამოვი — წავიდეთ! გეყო მასხრობა! (კორინკინა, ნეზნამოვი, მილოზხორთვი და შმაგა სახლში შედიან).

დუდუკინი — შმაგა საქმელ-სასმელზე ლაპარაკს რომ დაიწყებს, ალტაცების გრძნობა იტაცებს, მაღას გვიღვიძებს. ამიტომაც ვპატიეობთ ხოლმე.

კრუჩინინა — ეგეც ერთგვარი ნიჟია, მაგრამ მაინც, ვფიქრობ, არ არის საჭირო მისი წაქეზება.

დუდუკინი — რას იზამთ! ჩენი პროვინციის ცხოვრება იმდენად მოსაწყენია, რომ შმაგაც გვაზარებს. სადაური მქადაგებელი მე ვარ! ჩემი მრწამსი ასეთია: იცხოვრე და სხვაც აცხოვრე. ხომ არ მოგწყინდათ, ან თავი ხომ არ მოკაბეზრეთ?

კრუჩინინა — და განა არის სადმე სხვაგან მეტი მზიარულება? ყველგან ერთი და იგივეა. მაგრამ მაინც უნდა წავიდე.

დუდუკინი — რატომ მერე?

კრუჩინინა — მეტად მალეღვებს აქაურობა. ყოველივე ეს ჩემს მწარე წარსულს მაგონებს.

დუდუკინი — დროა წარსული დაივიწყოთ.

კრუჩინინა — ვივიწყებდი კიდეც, მაგრამ აი, შემთხვევით აქ მოვხვდი და ყველაფერი ისევ გაცოცხლდა.

დუდუკინი — დაივიწყეთ, დაივიწყეთ! დროა ისარგებლოთ თქვენი ნიჟით, დიდებით. დროა თავი დაფნის გვირგვინებზე მშვიდად იგრძნოთ.

კრუჩინინა — რა სიამოვნებით დავმშვიდდებოდი, მაგრამ ვინ მაცლის. გუშინ კინალამ მოვკვდი.

დუდუკინი — როგორ? განა რა მოხდა?

კრუჩინინა — წარმოიდგინეთ, თურმე მატყუებდნენ, მატყუებდნენ, როდესაც მწერდნენ, რომ შენი შვილი მოკვდაო; ის კი თურმე ცოცხალი იყო, თურმე გადარჩა და ვილაციისთვის უშვილებიათ.

დუდუკინი — მერე ვისთვის?

კრუჩინინა — არავითარი ცნობა არ არის. არავინ იცის. ყველას ვკითხე, ვისი კითხვაც შეიძლებოდა. ზოგს ახსოვს, რომ მართლაც ყოფილან აქ ვილაც ვაჭრები, თუ დიდკაცები,

ბავშვი აღსაზრდელად აუყვანიათ და წასულან. სად წაიყვანეს, არავენ იცის. მათი კვალიც არ დარჩენილა.

დუღუკინი — ახლა რაღა დროს კვალის ძებნაა? ვისაც ბავშვი უშლიდა, ვისაც მისი დამალვა სჭირდებოდა, მერწმუნეთ, იგი კარგადაც დამალავდა.

კრუჩინინა — მაშ თქვენ ფიქრობთ, რომ მათ განზრახ ჩაიდინეს ეს ბოროტება, ჩაიდინეს, რომ ბავშვი თავიდან მოეშორებინათ?

დუღუკინი — უეჭველია. მაშ რათ მოგუწოდნენ, მოკვდაო.

კრუჩინინა — დიახ, რა თქმა უნდა... მაგრამ იცით, რა... მაშ მაინც მირჩევთ დავმშვიდდე, არა?

დუღუკინი — ერთსა და იმავეზე მუდმივი ფიქრი არ არის კარგი. საქმეს ველარ უშველით და გაგიჟება კი შეიძლება.

კრუჩინინა — შეიძლება, შეიძლება! ახლა მივხვდი, რომ ადვილად შეიძლება კაცი ჭკუაზე შეიშალოს.

დუღუკინი — თქვენც ბედისწერას უნდა მიენდოთ, თუ თქვენ შეილს პოვნა უწერია, — მოინახება. (ვერანდაზე მუროვი გამოჩნდება). მანამ კი ვიცხოვროთ, ვიმხიარულოთ! სიცოცხლე სიხარულისთვის გვაქვს მონიჭებული. (შემოდის მუროვი).

ბამოსვლა მმ-4

კრუჩინინა, დუღუკინი და მუროვი

მუროვი — უკანასკნელი რობერი ჩაათავეს. ახალი წება უნდა შედგეს.

დუღუკინი — მომიტევეთ! ერთ წამს მოთამაშებებს ავხედავ და უმალ აქვე გავჩნდები. (გადის).

მუროვი — ნებას მიბოძებთ გემუსაიფოთ?

კრუჩინინა — გნებავთ რამე შემატყობინოთ?

მუროვი — დიახ, მაგრამ სამწუხაროდ, არასასიამოვნო რამ.

კრუჩინინა — არაფერია, თქვით! სასიამოვნო ამბებით არც ისე ვარ განებივრებული.

მუროვი — ის კაცი ვნახე, წელან რომ გეუბნებოდით.

კრუჩინინა — მერე, რა გაიგეთ?

მუროვი — ის ვაჰარი ~~პროსტოკვა~~ შინი ყოფილა...

კრუჩინინა — თქვენ სთქვით ივანოვიო?

მუროვი — შემეშალა. შემდეგ მომაგონდა. ჰოდა, ასე რომ... ვაჰარი პროსტოკვაშინია. თავისი შვილობილით სამი თუ ოთხი წლის წინათ აშტარხანს სავაჰრო საქმეებზე წასულა და იქ რაღაც გადამდები სენით ორთავ ავად გამხდარან, ორთავ მომკვდარან.

კრუჩინინა — ეგ რომ მართალი იყოს, ქვრივი ხომ მაინც დარჩებოდა? ბარემ გეთქვათ, სამთავ დაიხოცნენო.

მუროვი — არა, როგორ შეიძლება! ქვრივი რათ უნდა მომკვდარიყო? ეგ რა სათქმელია! ქვრივი დარჩებოდა, უსათუოდ დარჩებოდა.

კრუჩინინა — მერე სად არის, რას იქმს?

მუროვი — ახალგაზრდა კაცზე ჯაფრით გათხოვილა. თავისივე ნოქარს ცოლად გაჰყოლია.

კრუჩინინა — გვარი?

მუროვი — რა მოგახსენოთ. თუმც ეგეც ადვილი გასაგებია. საკმარისია ვიკითხო, ვისზე გათხოვდა ნეპრიპოკინის ქვრივი და ყველაფერი აშკარა იქნება.

კრუჩინინა — აკი თქვით, ვაჰრის გვარი პროსტოკვაშინიაო და ახლა ნეპრიპოკინად როგორ იქცა?

მუროვი — ნუთუ? თუმცა არ შეგედავებით. გვარი ხშირად მშლება.

კრუჩინინა — ერთი შეკითხვა კიდევ. მთელს თქვენს ნათქვამში, რაც წელან და ახლა მითხარით, ერთი იოტის ოდენი სიმართლე მაინც თუ არის?

მუროვი — (იციანს). შეკითხვა ერთობ კატეგორიულია. ნუ გეეჭვებათ, სიმართლეა.

კრუჩინინა — სახელდობრ?

მუროვი — რომ თქვენი შვილი უკვე მოკვდა, რომ დიდიხანია რაც ის ამ ქვეყნად აღარ არის. დროა ეს ამბავი დაივიწყოთ.

კრუჩინინა — დაივიწყეთ, მე როდღი გიშლით.

მუროვი — არა, ამას თქვენ გირჩევთ. მიჰყევით თქვენ არტისტულ საქმეს, რომელიც ისე ჩინებულად მიდის. თქვენ ხომ ჩვიდმეტი წლის გოგონა არ ხართ, დროა სენტიმენტებს თავი გაანებოთ, გონიერება იქონიოთ და ცხოვრებას უფრო დინჯად შეხედოთ.

კრუჩინინა — როგორ ბედავთ, რომ მე რჩევა-დარიგებას მაძლევთ?

მუროვი — თქვენ მაიძულეთ. მთელ ქალაქში დადინართ, კათხულობთ. ვილაც შეშლილი მოხუცი გიპოვნიათ... როგორ ფიქრობთ, სასიამოვნოა ყოველივე ეს ჩემთვის? აბა დაფიქრდით! მე ერთი დიდი მემამულეთაგანი ვარ. ჩქარა არჩევნები დაიწყება. კენჭი უნდა ვიყარო ერთ დიდ თანამდებობაზე და თქვენ ამ დროს რაღაც ჭორებს ავრცელებთ; თქვენ გამო ყოველ წუთს დავიდარაბას უნდა ველოდე.

კრუჩინინა — მე თქვენთან რა მესაქმება! მე ჩემ შვილს დავეძებ და ამას ვერავინ ვერ დამიშლის.

მუროვი — აი რა! ისევ გაძლევთ წინადადებას დაივიწყოთ ეგ მელიოდრამები და შემირიგდეთ, თქვენთვის ყოველმხრივ ხელსაყრელ პირობით. და თუ არ გინდათ, წადით აქედან.

კრუჩინინა — არც პირველი მნებავს და არც მეორე. მე მოვალე ვარ ორი წარმოდგენა კიდევ ჩავატარო და მერე, წავალ თუ დავრჩები, ჩემი ნებაა.

მუროვი — მოვალე ხართ? ეგეთი რა მოვალეობაა? აქაური შემოსავალი თუ გაცდუნებთ, მე გაგინაღლებთ. ხარჯს ანტრეპრენიორსაც მე აფუნაზლაურებ.

კრუჩინინა — თქვენ უკვე გამინაღდეთ სიკეთე ბოროტებით. ხოლო იმ ბოროტებას, რომელიც ჩემს მიმართ ჩაიდინეთ, მთელი თქვენი ქონებით ვერ გამოისყიდით. მე თქვენსავით მდიდარი როდი ვარ, მაგრამ მთელ ჩემ ქონებას არ დავიშურებდი, ოღონდ თქვენ არ მენახეთ და არც არასოდეს არ შეგხვდებოდეთ. მე თქვენ გერიღებოდით და თქვენ მომძებნეთ.

მუროვი — იცით რა, თქვენი ხატრით მე მუქთად, თქვენის მხრივ ყოველგვარ ხარჯის გაუწევლად წავიდლოდი აქედან, მაგრამ რა ვქნა, რომ არ იქნება, — მე ხომ აქაური ვარ! ჩემი ცხოვრების ყველა საბაბი აქ არის თავმოყრილი. თქვენ კი აქ არა გაგაჩნიათ რა, გარდა თქვენი ოცნებისა. ოცნება კი ყველგან შეიძლება. დამიჯერეთ, ჩემთან ჩხუბი არ გამოვადგებათ. მე აქ ყოვლის შემძლე კაცი ვარ და ბევრი მომხრეც მყავს.

კრუჩინინა — მე თქვენი არ მეშინია. ვიცი, რომ თქვენ

ყველაფერს იკადრებთ, მაგრამ რაც დააშავეთ, იმაზე უარესს ვერაფერს ველარ მოიგონებთ.

მუროვი — (მხრების აწვეით). როგორც გენებოთ!
(შემოდის დუდუკინი).

გამოსვლა მ-5

კრუჩინინა, მუროვი, დუდუკინი

დუდუკინი — კვლავ თქვენ ფერხით ფარ. გნებავთ ბალ-ში გავისეირნოთ?

კრუჩინინა — არა, აქ გრილა. ოთახში შევალ. ნუ გამა-ცილებთ, გზას მარტოც ვიპოვნი.

დუდუკინი — როგორც გენებოთ. (კრუჩინინა მიდის).

მუროვი — ნილ სტრატონიჩი, მითხარით, გეთაყვა, ვინ არის ის ახალგაზრდა აქტიორი, რომელიც ეხლა თქვენსა ვნახე? ნიჭიერია?

დუდუკინი — დიახ, ვგონებ. ოღონდ, სამწუხაროდ, არა-ვინ არის აქ ისეთი, რომ მისგან რამე კარგი ისწავლოს, ვერც კარგ მაგალითს ხედავს. ეგ კი, სწორედ ახლა უნდა სწავ-ლობდეს. პროვინციაში მისი ნიჭი, რა თქმა უნდა, გაიყინება.

მუროვი — გარეგნობის მიხედვით არც თუ ისე ახალგაზ-რდა უნდა იყოს.

დუდუკინი — უწესო ცხოვრება, ქეიფი, უძილო ღამეები მაგათ ჩქარა აბერებს.

მუროვი — როგორ გგონიათ, რა ხნის იქნება?

დუდუკინი — ოცი წლის თუა, მეტი არავითარ შემთ-ხვევაში.

მუროვი — შეუძლებელია. მე კი მგონია, ოცდაათის მაინც იქნება.

დუდუკინი — რათ იკითხეთ?

მუროვი — კადნიერად იქცევა, ხმამაღლა ლაპარაკობს, მსჯელობაც თამამი აქვს.

დუდუკინი — მისგან ბევრს ნუ ითხოვთ! მაგათი წესი ეგეთია. თავის დაჭერა არ ეხერხებათ.

მუროვი — ფანჩატური გადააკეთეთ?

დუდუკინი — გადავაკეთე და მემუნიციპებისთვის ესტრადა მოვაწყვე.

მუროვი — ვინ არის ეგ მსახიობი, სადაურია?

დუდუკინი — მისი გვარი ნეზნამოვია, სადაურია, ეგ კი არ ვიცი. რა? გინდათ იცოდეთ მისი ვინაობა?

მუროვი — არა, ისე ვიკითხე. მასში რაღაც არის. ეტყობა, უბრალო ჩამომავლობის არ უნდა იყოს.

დუდუკინი — თავისი ჩამომავლობა თვითონაც არ იცის.

მუროვი — მაგისტანებს შინ ტყუილად უშვებთ.

დუდუკინი — მაგათთან ერთად როგორღაც უფრო მზიარულად ხარ. ან კი ვის რას უშლიან? არ ვიცი, მე კი კარგად მექცევიან, და!

მუროვი — თქვენ? ეს ცოტაა. საჭიროა, რომ ყველას კარგად ექცეოდნენ. წელან შევნიშნე, რომ უწინ ახალგაზრდები უკუროსებს მეტი პატივისცემით ექცეოდნენ მეთქი და, წარმოიდგინეთ, სიტყვა შემომიბრუნა: უწინ უფროსნი, ალბათ, უფრო ჭკვიანნი და დარბაისელნი იყვნენო. სულელური პასუხია. მაშ თქვენ ამბობთ, რომ ოცი წლის თუ იქნება, არა?

დუდუკინი — დიახ, დაახლოებით.

მუროვი — ტბა ამოაწმენდინეთ?

დუდუკინი — დიახ, ამოვაწმენდინე. თევზებიც მოვაშენე, ახლა ველარც იცნობთ.

მუროვი — საყურადღებო სანახავი იქნება.

დუდუკინი — მობრძანდით, გაჩვენებთ. (მიდიან ბაღის სიღრმეში. სახლიდან გამოდის კორინკინა, თან მილოვზოროვი მოყვება).

გამოსვლა გვ-6

კორინკინა და მილოვზოროვი

მილოვზორ. — საით მიეჩქარებით?

კორინკინა — მინდა ნილ სტრატონიჩს ორიოდუ სიტყვა ვუთხრა.

მილოვზორ. — მერეც მოასწრებთ.

კორინკინა — რა დაგმართვია? რაღაც მინახებულ გუნებაზე ხარ?

მილოვზორ. — დიახ, მახლავს ეგ ცოდვა. ახლა ნაზიკვარ, ჭკვიანიც, მქვერმეტყველიც და თქვენ მაინც გამირბიხართ.

კორინკინა — მერე რა ვუყოთ! წარმოიდგინე, ახლა შენ-
თვის სულ არ მცალია. ნეზნამოვი ისევ მორცხვობს?

მილოვზორ. — არა, სმაში ისიც ჩაერია! შმაგასთან ერ-
თად სუფრას არ შორდება. ორთავეს ხალხი შემოხვევია. შმაგა
ენამახვილობს, ნეზნამოვი კი, თავს ვინმე თუ წამოსწევს ან
წამოიყოყოიებს, მაშინვე კბილს გესლიანად გაჰკრავს, ენით
შოლტავს. გარშემო კი ერთი ხორხოცია, გაჩაღებული ქეი-
ფია, გაქანებული სმა და ხან ერთი ეძახის — ჩემთან, ბ-ნო ნეზ-
ნამოვ, ჩემთან დალიე, ხან მეორე — არა ჩემთანო. შმაგა კი
გაიძახის: მეც თქვენთან ვარ, კამპანიის ხატრისთვისაო.

კორინკინა — მე აქ შენთან ბაასი გავაბი და ნილ სტრა-
ტონიჩი კი მიწდა ვნახო.

მილოვზორ. — ჰოდა, აგერ ისიც მოდის! კრუჩინინამ
ორჯერ შემოიხედა სასადილოში, უსმინა ნეზნამოვის მონო-
ლოგებს, უსმინა და ისევ ცივად გაბრუნდა.

კორინკინა — ნილ სტრატონიჩი უნდა მივუგზავნო, თორემ
წავა აქედან. შევატყვე — მოეწყინა. (შემოდის შმაგა).

გამოსვლა მე-7

კორინკინა, მილოვზორთვი და შმაგა

შმაგა — აი, ახლა შეიძლება კაცი ბუნების მშვენებით დატ-
კბეს, ეს მთვარეც როგორღაც უფრო ჰკვიანურად გამოიცი-
ქირება.

მილოვზორ. — ნეზნამოვი სადღაა?

შმაგა — ისევ იქ.

მილოვზორ. — მერე და იქ რათ მიატოვე, ჩემო კარგო?

შმაგა — შენ თვითონ წადი მასთან, თუ ეგრე ძაან გენატ-
რება. მართალია, ჩემი მეგობარია, მაგრამ ზოგჯერ მაინც
მორიდება სჯობს!

მილოვზორ. — მეგობარია და გეშინია? ჩინებულა, ჩემო
კარგო.

შმაგა — აბა, შიდი ერთი, ბიჭი ხარ და სცადე! აგერ მო-
დის კიდევ. გინდა მოვისიო?

მილოვზორ. — არა, არა, ჩემო კარგო! დაეხსენ, გეთა-
ყვა, თავი გაანებე! (შემოდის ნეზნამოვი).

ბამოსვლა 80-8

კორინკინა, მილოვზოროვი, შმაგა და ნეზნამოვი

ნეზნამოვი — (კორინკინას). აა, თქვენც აქ ბრძანდებით?

კორინკინა — მაშ სად მიბრძანებთ, რომ ვიმყოფებოდე?

ნეზნამოვი — ჩემთვის სულერთია. მე კი მაინც მიყვარხართ, მიყვარხართ.

კორინკინა — დიდი მადლობა მომიხსენებია.

ნეზნამოვი — თქვენ? არ გიყვარვართ?

კორინკინა — როგორ ფიქრობთ?

ნეზნამოვი — როგორ უნდა ფიქრობდე? აბა მე რა ვიცი.

კორინკინა — გამოიციანით.

ნეზნამოვი — ძალიან მესაჭიროება ახლა მაგის გამოცნობა. პირდაპირ მითხარ, წმინდა გულით.

კორინკინა — როგორ არა, ელოდეთ! ან კი როგორ მიბედავთ ასეთ ლაპარაკს?

ნეზნამოვი — ვითომ რატომაც არ უნდა ვილაპარაკო?

კორინკინა — არ გაბედოთ, გესმით?

ნეზნამოვი — გაბედვით კი გაგებდავ, მაგრამ იცით რა, თქვენ უფრო კარგი ყოფილხართ, ვიდრე მეგონა.

კორინკინა — მერე, როგორი გეგონეთ?

ნეზნამოვი — შეკითხვებით კიდეც?

კორინკინა — დიას, გეკითხვებით.

ნეზნამოვი — მე კი მეგონა, რომ არაფერს ისეთს სახარბიელს არ წარმოადგენდით. თქვენ და არარაობა ერთი მეგონეთ.

კორინკინა — ოჰ, ღმერთო ჩემო! ერთი ამისაც დამიხედეთ! ჯერ ერთი, მოწყალეო ხელმწიფევე, თქვენ საკმაოდ ახალგაზრდა ბრძანდებით იმისთვის, რომ ადამიანზე რაიმე მსჯელობა იქონიოთ, ან დააფასოთ იგი. თქვენ ამისთვის ჯერ ბიჭი ხართ.

ნეზნამოვი — კარგი, ეს ერთი. მეორე? მეორე რაღა? აი, მეორეს კი ველარ იტყვიოთ! გინდათ, მეორეს მე გასწავლით!

კორინკინა — არ ვსაჭიროებ.

ნეზნამოვი — არ საჭიროებთ კი არა, ვერ იტყვიოთ. ქალი რომ გაცხარდება, ჰგონია, მწარე ჭეშმარიტებას მოგახლის.

დაიწყებს დიდი ბაქი-ბუქით, ჯერ ერთიო, დაიჩემებს და ამ ჯერ ერთს ხუთიოდ სიტყვით ამოსწურავს, საფანელი შემოაკლდება; მერე მეორეო იძახებს და სათქმელი კი არაფერი ექნება.

კორინკინა — უჰ, რა საძაგელი რამ ხართ!

ნეზნამოვი — მაგრამ იხტიბარს მაინც არ გაიტეხენ. როდესაც აღარც სიტყვა და აღარც მოსაზრება ეყოფათ, ლანძღვას დაიწყებენ. მეორე ის, რომ რეგვენი ხარ, სულელი ხარო, მოგახლიან. ასე არ არის?

კორინკინა — ეგრეა სწორედ. მეორე ის, რომ ბრიყვი ხარ, გაუთლელი ხარ.

ნეზნამოვი — აი, მაგისტვის გმადლობთ! რა ბუნებრივად ჯაგრობთ, ეს უკვე კარგია!

კორინკინა — და თუ მეორედ მაგისტანა სისულელები გაგიბედნია, კიდევ უფრო ბუნებრივად გავჯაგრდები. ისეთ სილას გაგაწნავ..

ნეზნამოვი — რალა მეორედ და არა ახლა?

კორინკინა — არ მსურს. მორჩა და გათავდა.

ნეზნამოვი — არა, თუ შეიძლება! გთხოვთ, ეს რა დიდი საქმეა, დიდი ჯაფა არ დაგადგებათ.

კორინკინა — ბრაზმა გამიარა. ახლა ეს ხუმრობა გამოვა. მე კი მართლა მინდოდა.

ნეზნამოვი — ხუმრობით მაინც იყოს!

კორინკინა — რას ჩამაცივდით? თუ ასეა, აი ესეც თქვენ! (ლოყაზე ხელს ალერსით მოუცაცუნებს).

ნეზნამოვი — აა, მაშ ეგრე, არა? ახლა კი მიფრთხილდით. ახლა სრული უფლება მაქვს...

კორინკინა — ვითომ რა? რა უფლება?

ნეზნამოვი — უნდა გაკოცოთ. მაშ რით უნდა გადაუხადოქალს ასეთი შეურაცხყოფა?

კორინკინა — რა გეშარტება, ხომ არ გაგიყლი?

ნეზნამოვი — არა, მორჩა, ამას ლაპარაკი არ უნდა!

კორინკინა — რას სჩადით, ნეზნამოვ! რა სისულელეა! ხედავ. ნილ სტრატონიჩი მოდის.

ნეზნამოვი — ნილ სტრატონიჩი, თორემ!.. შინ ხომ ერთად წავალთ. (შემოდის დუდუკინი).

გაგონსვლა მ-9

კორინკინა, მილოვზოროვი, შმაგა, ნეზნამოვი და
დუდუკინი

კორინკინა — ნილ სტრატონიჩ, კრუჩინინა მარტო და-
ტოვეთ? მგონი, შინ აპირებდა წასვლას.

დუდუკინი — როგორ თუ შინ? არა, არა, უფაზშოდ მისი
გაშეება არ შეიძლება! როგორმე შეაჩერეთ, ჩემო კარგო!

კორინკინა — მე რას გამიგონებს!

დუდუკინი — მაშ წავიდეთ და ერთად ვთხოვოთ.

კორინკინა — წავიდეთ! ერთ წამს მოიცადეთ. (მოუბრუნდებ-
ა ნეზნამოს და შმაგას). ბატონებო, ვახშამზე კრუჩინინასთან
ბავშვების გამო სიტყვას ნუ ჩამოაგდებთ.

ნეზნამოვი — ბავშვების გამო? ვითომ რატომო?

დუდუკინი — ჰო, დიახ, დიახ, არავითარ შემთხვევაში,
ბატონებო, არავითარ შემთხვევაში.

ნეზნამოვი — ეგ ხომ უცნაურია! იქნებ სიტყვამ მოიტა-
ნოს? ან ეგებ ფანტაზია რამ მომივიდეს?

დუდუკინი — არა, გთხოვთ, თუ ჩემი ხათრი გაქვთ! გთხოვთ,
როგორც პირად პატივისცემას. მე, როგორც მასპინძელი,
ვცდილობ, ჩემს სტუმრებს არაფერი საწყენად არ დარჩეთ.

ნეზნამოვი — კარგი, ბავშვების გამო არ შეიძლება. სრულ-
წლოვანთა გამო თუ შეიძლება?

დუდუკინი — ეგ თქვენი ნებაა!

შმაგა — არა, გრიშა, მოდი ბარემ დიდედაზე ან პაპაზე
ვილაპარაკოთ.

ნეზნამოვი — (ხარხარებს). სწორია! დამშვიდებული ბრძან-
დებოდეთ, ისეთ ასაკზე ვილაპარაკებთ, რომელიც ბავშვის
ასაკისაგან ძალიან შორს იქნება. (დუდუკინი და კორინკინა გადი-
ან). ეს რა ამბავია, რა ველური განკარგულებანი? ეს რაღაც
ახალი თამაშია? ვახშამი საუბრის იშვიათი პროგრამით!

მილოვზორ. — დაგავიწყდა, ჩემო კარგო, წელან რას გეუბ-
ნებოდნი?

ნეზნამოვი — ჰო, დიახ! ახლა მესმის! (თავში ხელს წაიგ-
ლებს).

მილოვზორ. — მაშასადამე, მართალია! შენ კი, ჩემო კარგო, ჩემი მოკვლა გინდოდა.

ნეზნამოვი — ეგ რა დიდი ბედენაა! ნეტა მოგკლან და! ჰა, რას უდგებხარ? (შმაგა ჩამოშორდება). აი, მე კმაყოფილი ვიქნებოდი, ვინმე მართლა რომ მომკლავდეს! ეი, შმაგა, რას ვამირბიხარ, რის გეშინია?

შმაგა — (შორიდან). გატიკნილი ვარ და მეშინია.

ნეზნამოვი — აქ მო! იყბედე რამე!

შმაგა — რა უნდა ვიყბედო? ხუმრობის უნარი ამ სუფთა ჰაერზე სულ დამეკარგა. ცოტა თუ არ შევუკეთეთ..

ნეზნამოვი — ჩვენც შევუკეთებთ და მერე ეგრე! იცი, შმაგა, შემთხვევით მუდამ უნდა ვსარგებლობდეთ. პატიოსან საზოგადოებაში მე და შენ არც ხშირად გვპატიებენ. ადამიანურადაც ხშირად როდი გვექცევიან. აქ კი მე და შენ ისეთივე სტუმრები ვართ, როგორც ყველანი.

შმაგა — სწორეა, აქაურობა სულაც არ გავს „იმათ ხარისხოვნებას,“ რომლებთანაც საღამო ისე არ გაივლის, რომ მასპინძელი ერთხელ ლამაზად არ მივთვლოთ. სხვანაირად იქ არასგზით არ შეიძლება.

ნეზნამოვი — დიახაც რომ აქ ძალიან კარგად ვართ! თუმცა მე და შენ არც თუ კარგად ვიქცევით, თითქოს აყალმაყალის სუნიც მომდის. ესე იგი, აყალ-მყალი კი არა, ჩვენგან რაღაც სისაზიზღრე უფროა მოსალოდნელი.

შმაგა — მაგისი სუნი მეც საკმაოდ მცემს! რას იზამ, საკუთარ ქერქიდან ხომ ვერ გამოძვრები! (გამოდინა დუდუკინი, კრუჩინინა, კორინკინა თანხლებით. ერთს შამპანურის ბოთლები მოაქვს, მეორეს სინით საქმელები და სუფრას შლიან. ბალის სიდრმიდან მურავი გამოდის. სახლიდან გამოდიან სტუმრები, რომელთაგან ზოგი ვერანდაზე რჩება და ზოგიც ბაღში ჯგუფ-ჯგუფად ჩამოდგებიან).

• გამოსვლა 89-10

ნეზნამოვი, მილოვზოროვი, შმაგა, დუდუკინი, კრუჩინინა, კორინკინა, მუროვი და სტუმრები

დუდუკინი — მაგას რას ბრძანებთ, ელენა ივანოვნა! ძლივს-ძლივობით გვეღირსა თქვენი ნახვა, ჩვენ საზოგადოებაში

ძლივს გხედავთ... თქვენს აქ ყოფნას ოქროს ასოებით აღვნიშნავთ და თქვენ კი წასვლას აპირებთ!

კრუჩინინა — დიდ მადლობას მოგახსენებთ, ნილ სტრატონიჩ! დიდი სიამოვნებით დავრჩებოდი, მაგრამ არ შემიძლია. მხოლოდ დღევანდელი საღამო მაქვს თავისუფალი, სხვა დროს სულ წარმოდგენებია და ვიღლები. მინდა ცოტა მაინც დავისვენო.

დუდუკინი — დასვენებას მაინც მოასწრებთ, ქალბატონო, მოასწრებთ! ნახევარი საათი მაინც გვაჩუქეთ!

კრუჩინინა — არ შემიძლია, ნილ სტრატონიჩ, არ შემიძლია. აი, ამხანაგებს გამოვეთხოვები, გამცილებელს მოვძებნი და წავალ.

დუდუკინი — არა, არა, ეგრე აქედან ვერ გაგიშვებთ! ეს საღამო, როგორც წესი და რიგია, ისე უნდა დასრულდეს. ცოტა ხანს დაბრძანდით, აი დივანი. ნინა პავლოვნა, განკარგულება თუ გაეცით?

კორინკინა — ყველაფერი მზად გახლავთ. (მსახურთ). მოართვით! (შამპანურს მოართმევნ).

კრუჩინინა — ეგ სულ მეტია, ნილ სტრატონიჩ, მე არ ვიახლებით, მწყენს.

დუდუკინი — უამისობა არ შეიძლება, ჩვენში ძვირფას სტუმრებს ყოველთვის ასე აცილებენ. მიირთვით, ცოტა მაინც, რამდენიც შეგიძლიათ. (კრუჩინინა ჭიქას აიღებს). ბატონებო, მობრძანდით, თითო ჭიქა დავლიოთ, ელენა ივანოვნა ვადღეგრძელოთ!

მუროვი — დილა სიამოვნებით ვიღებ თქვენს წინადადებას, მით უმეტეს, რომ ჯერ მადლობაც არ მომიხსენებია იმ ნეტარებისათვის, რომელიც ელენა ივანოვნამ თავისი ნიჭით გვაგრძნობინა (ჭიქებს ყველანი აიღებენ).

დუდუკინი — ბატონებო, წინადადება შემომაქვს: ვადღეგრძელოთ არტისტი, რომელმაც სიცოცხლე შეჰმატა ჩვენს მყრუებულ ქალაქს, ჭაობიან გუბეს. მე, ბატონებო, ~~ბატონებო~~ არ მისწავლავ და ჩემებურად უბრალოდ ვიტყვი, ვიტყვი, რომ ჩვენ ქალაქში განათლებულ კაცს ორი საქმე აქვს: ბანქოს თამაში და კლუბი; მაშ პატივი ვცეთ ნიჭს, რომელმაც

დაგვაფიწყა ჩვენი ჩვეულებრივი დროს ტარება და სხვა უცხო და თან ლამაზ ქვეყანაში გადაგვტყორცნა. ჩვენ გვძინავს, ბატონებო, და მადლობა გამოვუტყობდით იმ რჩეულთ, რომელნიც ხანდახან გვადვილებენ, გვაგონებენ იმ იდეალურ ქვეყანას, რომელიც დაგვიფიწყეთ. (ხმები: «ვაჟა, ვაჟა!»). ნიჭი თავისთავადაც ძვირფასი განძია, მაგრამ როდესაც ის შეერთებულია ჭკუა-გონება-გულკეთილობასა და სხვა სულიერ თვისებებთან, მაშინ იგი ისეთ განძად იქცევა, რომლის წინაშეც მუხლი უნდა მოვიყაროთ. ბატონებო, შევსვით იშვიათი ნიჭისა და კარგი ქალის, ელენა ივანოვნას, სადღეგრძელო! (ყველანი ჭიქით შეეხებიან კრუჩინინას ჭიქას და სვამენ).

ნეზნამოვი — (თავის ჭიქას შმაგას ჭიქას შეახლის). შმაგა, კარგი არტისტი სადღეგრძელო დავლიოთ, კარგი ქალების სადღეგრძელო ჩვენი საქმე არ არის! მერე და, ვინ გაარჩევს, ვინ კარგია და ვინ ავი.

დუდუკინი — ნეზნამოვ, რა თქვით?

ნეზნამოვი — უკაცრავად!

კრუჩინინა — ბატონებო, მე საკმაოდ დაჯილდოებულ ვარ ნიფთიერადაც, ზნეობრივადაც, მაგრამ ის პატივისცემა, რომელიც თქვენ მე გამომიცხადეთ, მოვალე ვარ ჩემს ამბანაგებთან ერთად გავიზიარო. ბატონებო, მე ვადღეგრძელებ ხელოვნების ყოველ მსახურს, ყოველ მუშაკს, ამ დიად საქმეს რომ ემსახურება, ვადღეგრძელებ ყველა მათ, განურჩევლად ნიჭისა და ხარისხისა!

დუდუკინი — ჭეშმარიტია, ჩინებულია, კეთილშობილი სადღეგრძელო! ნინა პავლოვნა, მილოვზოროვ, ნეზნამოვ, შმაგა, თქვენი სადღეგრძელო იყოს!

მუროვი — ~~ბატონებო, თქვენი სადღეგრძელო!~~

შმაგა — ძლივს მეც ველირსე, ჩემ სადღეგრძელოს სვამენ.

კრუჩინინა — ახლა კი, ნილ სტრატონიჩ, წავალ, დროა.

ნეზნამოვი — არა, საით? რა ბრძანებაა, ასე ვერ გაგიშვებთ! ნება მიბოძეთ! ასე არ შეიძლება. ერთი სადღეგრძელო კიდევ. (ყვირის). ეი, მოიტათ ღვინო! ნება მომეცით, ორიოდ სიტყვა მეც მოგახსენოთ. არ დაგავიანებთ! მიხდა გითხრათ ის, რაც გულში მაქვს. არ მინდა, რომ ეს აქვე ჩაიხრჩოს!

კრუჩინინა — ბრძანეთ, ბრძანეთ! მე დიდი სიამოვნებით მოვისმენთ. იმედი მაქვს, დანარჩენებაც მოვისმენენ.

ნეზნამოვი — სიტყვა ჩემია და გთხოვთ არ შემაწყვეტინოთ.

დუდუკინი — ბრძანეთ!

მილოვზორ.

შმაგა

} — თქვი, თქვი!

ნეზნამოვი — ბატონებო, გთხოვთ დაგლიოთ იმ დედების სადღეგრძელო, რომლებიც თავის შვილებს ღვთის ანაბარა სტოვებენ.

დუდუკინი — დაჩუმდით! რას ამბობთ?

კრუჩინინა — (აღელვებული). არა, თქვით! თქვიო!

ნეზნამოვი — ვუსურვოთ იმ დედებს, ცხოვრების დღენი განვლონ ბედნიერებასა და სიხარულში! მათი გზა, დაე, ია-ვარდით იყოს მოფენილი, დაე, არაფერმა არ შეაშფოთოს, არ მოწამლოს მათი სიხარული და არსებობა. არაფერმა არ მოაგონოთ იმ ობოლთა მწარე ხვედრი, რომელნიც მათ შიატოვებს. აბა რათ უნდა შეაშფოთო ან შეაძრწუნო მათი მყუდროება? რათ უნდა შეაკროთ მათი განცხრომა? მათ ხომ, რაც შეეძლოთ და რაც იცოდნენ, — ყველაფრით მოიხადეს ვალი თავის პირმშოს წინაშე! იქვითინეს და, რამდენიც შეეძლოთ, ცრემლი აფრქვიეს მის სარეცელთან. დაჰკოცნეს ნაზად და შემდეგ — მშვიდობით, ჩემო მტრედო, იარე როგორც გენებოს, ცამ და მიწამ გზარდოს და გასაზრდოს! უკეთესი კი იქნებოდა, რომ მომკვდარიყავი! რაც მართალია მართალია, — სიკვდილი საუკეთესო ჯილდო იქნებოდა ამ ქვეყნად ასეთ ახლადმოვლენილ სტუმრისათვის, მაგრამ ყველას ხომ არ ეწევა ასეთი ბედნიერება! (თავს ჩაღუნავს, ერთ წამს ჩაფიქრდება). არიან ისეთი გრძნობიერი დედებიც, რომლებიც მარტო კოცნა-ცრემლებს როდი აკმარებენ თავის პაწიებს, ყელზე რაიმე ოქროს ნივთს ზედწარწერით ჩამოაჭიდებენ და ეტყვიან: ატარე, არ დამივიწყო? მაგრამ რა უნდა ახსოვდეს საწყალს? რისთვის უნდა ახსოვდეს? ან რისთვის უნდა ვაგონებდეთ მას ამით თავის მუდამ მწარე და სამრახის ხვედრს? მას ხომ უშიშროდაც ყველა, ვისაც არ ეზარება, ნაბიჭვარსა და ღობის ძირას მიგდებულს

უწოდებს... მაგრამ ნეტავ თუ იციან ასეთმა დედებმა, რომ ეს ბედშავი, ყველასგან ტყუილ-უბრალოდ შეგინებულ-შეურაცხყოფილი ბავშვი, რა ცხარე ცრემლებს აფრქვევს მშობელ დედისგან დატოვებულ საჩუქარზე?.. სადა ხარ, დედა, სად ნეტარებ, ხმა გამეც, ერთი წვეთი ცრემლისა მაინც დამაფრქვეე, შემომსუბუქე ტანჯვა-წამება! ეს სახსოვრები ხომ გულს დალავენ!.. (კრუჩინინა მივარდება ნეზნამოვს და გულიდან მედალიონს ააწვეტს).

კრუჩინინა — ის არის, ის! (დაბარბაცდება და დივანზე უგრძნობლად დაეცემა, ყველანი მისცვივიან).

დუდუკინი — ღმერთო ჩემო! კვდება! ექიმი, ჩქარა ექიმი! თქვენ მისი შვილი ხართ. თქვენ მოჰკალით იგი!

ნეზნამოვი — მე მისი შვილი?

დუდუკინი — ჰო, რამდენი წელიწადია გეძებთ! ის დაარწმუნეს, რომ თქვენ მკვდარი იყავით. მაგრამ რაღაც სასწაულს მაინც ელოდა. თავის ოცნებაში მუდამ გხედავდათ, გელაპარაკებოდათ.

ნეზნამოვი — სხვა შვილები არა ჰყოლია?

დუდუკინი — რა სათქმელია!

ნეზნამოვი — მე კი დამარწმუნეს. ბატონებო, რათ მომატყუეთ?

კორინკინა — ჩუმად, ჩუ! გონს მოდის.

ნეზნამოვი — ბატონებო, მე შურს არ ვიძიებ, მხეცი არა ვარ. ბავშვი ახლა ვარ, მე ჯერ ბავშვი არ ვყოფილვარ. დიახ, ბავშვი ვარ. (კრუჩინინას წინ მუხლებზე დაეცემა). დედიკო! დედა! დედა!

კრუჩინინა — დიახ, ცაცებს მიწვდიდა და მიძახოდა: დედა! დედა!

ნეზნამოვი — აქა ვარ, დედა!

კრუჩინინა — დიახ, ის არის!.. გრიშა, ჩემო გრიშა! რა ბედნიერებაა! რა კარგია სიცოცხლე! (შვილს ვაღერსება. თავზე ხელს უსვამს). ბატონებო! ნუ აწყენინებთ. კარგი აღამიანია. ახლა დედა იპოვნა და უფრო კარგი იქნება.

ნეზნამოვი — (ჩუმად). დედა, შამა სადღაა?

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — მამა... (მიმოიხედავს გარშემო, მუროვი პირს მი-
იბრუნებს). მამა... (ნახად). მამაშენი ღირსი არ არის ძებნისა; მაგ-
რამ ის კი შინდა, რომ გვხედავდეს, მხოლოდ გვხედავდეს; ჩვენს
ბედნიერებას კი მას არ გავუნაწილებთ. რათ გინდა მამა? შენ
კარგი აქტიორი დადგები, შეძლება გვაქვს... გვარი... ჩემს გვარს
დაირქმევ და შეგიძლია ამაყად ატარო იგი. არც ერთ სხვა
გვარს ის არ ჩამოუვარდება!

დ უ დ უ კ ი ნ ი — მე მეგონა, თქვენ გარდაიცვალეთ.

კ რ უ ჩ ი ნ ი ნ ა — სიხარულისაგან როდი კვდებიან. (შვილს
მხვავა).